ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008
დარჩა 45 დღე

№ 146 (12 522) 24 ივნისი სამშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



**თარგამაძე გერმანიის ჩემპიონია**

ქართული ფეხბურთი »»» 2-5

**სკანდალი რუსეთში: ჰიდინკმა ბისტროვი ნაკრებიდან გააგდო**

ევრო 2008 »»» 7



EURO2008 Austria-Switzerland

| ნახევარფინალი | |
|---|---|
| 25 ივნისი | |
| ბაზელი | |
| გერმანია-თურქეთი | 22:45 |
| 26 ივნისი | |
| ვენა | |
| ესპანეთი-რუსეთი | 22:45 |

# Corriere dello Sport: გიხაროდენ, იტალიავ, ლიპი ბრუნდება!



## ხუციშვილი ოლიმპიკში

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა აზერბაიჯანს მიაშურა



»»» 2



## რონალდო: ფერგიუსონი გაბრაზდება? სულაც არ მაღელვებს

»»» 10

## ტოპის ჩეხეთის ნაკრებში იწვევენ

კლაუსი დაინტერესებულია, ჩეხებიც...

»»» 6



ლეგიონერი. იუგენდლიგა

# თარგამაძე გერმანიის ჩემპიონია



დავით თარგამაძე

გუშინ, ვოლფსბურგში, 19-წლამდელთა შორის გერმანიის ჩემპიონატი დასრულდა. დასკვნით შეხვედრაში, რომელიც ვოლფსბურგში გაიმართა, აგილობრივ ჭაბუკთა გუნდი "ფრაიბურგის" თანატოლებს დაუპირისპირდა. შეხვედრა სტუმრებმა ანგარიშით 2:0 მოიგეს. საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველი **დავით თარგამაძე** ფრაიბურგელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო. თარგამაძემ 79 წუთი დაყო მოედანზე და კარგადაც გაისარჯა. გერმანული წყაროების მტკიცებით, სტუმართა რიგებში თარგამაძე საკმაოდ აქტიური გახლდათ. 22-ე წუთზე **რაჰმან სოიუდოღრუმ** ანგარიში სწორედ თარგამაძის მიერ წამოწყებული შეტევის შედეგად გახსნა. 59-ე წუთზე **ბექტაზიმ** მეორედ გაუტანა მასპინძლებს და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**დავით ცაბაძე**

ჩემპიონთა ლიგა 2008/09. თარიღები გარკვეულია

# დინამო საივლისოდ

15 ივლისიდან ევროპის 28 კლუბი, მათ შორის თბილისის "დინამოც", ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში ერთვება. ამ რაუნდის 14 გამარჯვებული, და იმედია, მათ შორის საქართველოს ჩემპიონიც იქნება, დაემატება 18 კლუბს, რის შემდეგაც გაირკვევა მეორე საკვალიფიკაციო რაუნდში მონაწილე 16 გუნდი, პლუს ამას, წინასწარ განთესილი კლუბები, რომლებიც მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის შედეგად, ჯგუფურ ეტაპზე ვაკანტურ 16 ადგილს შეავსებენ. უეფამ უკვე გაწერა წილისყრისა და სათამაშო დღეების კალენდარი, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

**წილისყრის თარიღები**

01.07.2008. **პირველი და მეორე საკვალიფიკაციო რაუნდები.** ნიონი. 14:00
01.08.2008. **მესამე საკვალიფიკაციო რაუნდი.** ნიონი. 14:00
28.08.2008. **ჯგუფური ეტაპი.** მონაკო. 20:00
19.12.2008. **მერვედფინალი.** ნიონი. 14:00
20.03.2009. **მეოთხედფინალი, ნახევარფინალი, ფინალი.** ნიონი. 14:00

**სათამაშო დღეები**

15/16.07.2008. **პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი.** პირველი მატჩები
22/23.07.2008. **პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი.** საპასუხო მატჩები
29/30.07.2008. **მეორე საკვალიფიკაციო რაუნდი.** პირველი მატჩები
05/06.08.2008. **მეორე საკვალიფიკაციო რაუნდი.** საპასუხო მატჩები
12/13.08.2008. **მესამე საკვალიფაციო რაუნდი.** პირველი მატჩები
26/27.08.2008. **მესამე საკვალიფიკაციო მატჩები.** საპასუხო მატჩები
16/17.09.2008. **ჯგუფური ეტაპი.** I ტური
30.09/01.10.2008. **ჯგუფური ეტაპი.** II ტური
21/22.10.2008. **ჯგუფური ეტაპი.** III ტური
04/05.11.2008. **ჯგუფური ეტაპი.** IV ტური
25/26.11.2008. **ჯგუფური ეტაპი.** V ტური
09/10.12.2008. **ჯგუფური ეტაპი.** VI ტური
24/25.02.2009. **მერვედფინალი.** პირველი მატჩები
10/11.03.2009. **მერვედფინალი.** საპასუხო მატჩები
07/08.04.2009. **მეოთხედფინალი.** პირველი მატჩები
14/15.04.2009. **მეოთხედფინალი.** საპასუხო მატჩები
28/29.04.2009. **ნახევარფინალი.** პირველი მატჩები
05/06.05.2009. **ნახევარფინალი.** საპასუხო მატჩები
27.05.2009. **ფინალი.** რომი

# სეგრტმა ასათიანი და მუჯირი მოინახულა



პეტარ სეგრტი

წინა ნომერში **პეტარ სეგრტთან** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. "ლელოსთან" საუბარში სეგრტმა აღნიშნა, რომ ვენაში, იტალია-ესპანეთი მატჩის შემდეგ, მოსკოვის "ლოკომოტივის" ვარჯიშზე მისვლას გეგმავდა. სეგრტი ვენის მახლობლად დაბანაკებულ რუსულ "ლოკომოტივს" გუშინ, ნაკრები გუნდების მენეჯერ **თამაზ ბოკერიასთან** ერთად ეწვია.

*"დიახ, მოსკოვის "ლოკომოტივი" ვნახეთ. ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი რაშიდ რახიმოვი ადრე ავსტრიაში ასპარეზობდა. სეგრტი რახიმოვს იქიდან იცნობს. მალხაზ ასათიანი და დავით მუჯირიც მოვინახულეთ და მათი მდგომარეობით დავინტერესდით. სეგრტი ჩვენი ფეხბურთელების შესახებ რახიმოვს ესაუბრა. "ლოკომოტივის" მწვრთნელმა ხორვატ კოლეგასთან საუბარში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მიერ რუსი თანატოლების თბილისური მატჩი გაიხსენა და აღნიშნა, მოსკოვში ორივე გუნდს რთული გამოცდა ელისო.*

*რაც შეეხება ლოკომოტიველ ქართველებს, მუჯირი აქამდე მოსკოვში მკურნალობდა და ორი დღეა, რაც გუნდს ავსტრიაში შეუერთდა. დღეს, "ლოკომოტივი" მორიგ ამხანაგურ მატჩს "არტმედიასთან" გამართავს. მუჯირის თამაში გამორიცხულია. ალბათ ასათიანიც ვერ ითამაშებს, რადგან, წინა თამაშზე კოჭში ჩაარტყეს",* - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა თამაზ ბოკერიამ.

**დავით ცაბაძე**

# ციმაკურიძის ფრე და საგოლე პასი

## გიგიაძე ისევ დუბლებშია

ლუგანსკის "ზარია" ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს და მორიგი ამხანაგური მატჩიც გამართა. ლუგანსლეკები ზაპოროჟიეს "მეტალურგს" გაეჯიბრნენ და მეტოქეები ფრეზე გაიყარნენ – 2:2. ლუგანსკელი **გიორგი ციმაკურიძე** 46-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში და საგოლე პასი მიითვალა.

ემზადება სიმფეროპილის "ტავრიაც". ტავრიელებმა ორი სხვადასხვა შემადგენლობით გამართეს ამხანაგური მატჩები. სიმფეროპოლელთა გუნდში დაბრუნებული **ვასილ გიგიაძე** კვლავ დუბლებში ათამაშეს. "ტავრიის" რეზერვისტები ავსტრიულ "გრიოდიგუსთან" 1:2 დამარცხდნენ. გიგიაძემ 90 წუთი ითამაშა.

**დავით ცაბაძე**

# კვირკველიასა და სალუქვაძის ფრე

რუსულ პრემიერლიგაში შესვენებაა და ყაზანის "რუბინი" ავსტრიაში ემზადება. ჩვენებურთა გუნდმა მომდევნო ამხანაგური მატჩი ადგილობრივ პირველლიგოსან "ფეკლაბრუკთან" გამართა და ფრეს დასჯერდა -1:1. ყაზანელთა სასტარტო შემადგენლობაში მხოლომ მცველი **ლაშა სალუქვაძე** იყო და 60 წუთი დაყო მოედანზე. მეკარე **ნუკრი რევიშვილს** არ უთამაშია. **დავით კვირკველია** ანსალდის ნაცვლად მე-60 წუთიდან ჩაერთო თამაშში.

ამ მატჩამდე, "რუბინმა" ავსტრიული "ვაკერი" 2:0 დაამარცხა. ხვალ ყაზანელები "ვაკერს" ერთხელაც გაეჯიბრებიან.

**დავით ცაბაძე**

"ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტული პრესის ვეტერანი მუშაკი, "ლელოს" რედაქტორის ყოფილი მოადგილე, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი

**უშანგ ჭიჭინაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# ქართველი ბავშვები ლაციოში

## გაგუას მისი სჯერა, თუკი...

რა არის ქართული ფეხბურთის აქილევსის ქუსლი? შესაძლოა, ბევრს კითხვა უადგილოდ მოეჩვენოს, რადგან თავადაა აქილევსის ქუსლი. თუმცა, მთლად ასეც არაა საქმე. ჩვენში ხეირიანი საყრდენი ნახევარმცველი ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა და დღესაც ასეა.

ამიტომაც გაგვახარა ინფორმაციამ, რომელსაც ახლახანს რომის "ლაციოს" ოფიციალურ ვებგვერდზე ჩვენმა ჟურნალისტმა **ნუკრი ნეფარიძემ** მიაგნო - "ლაციოს" იუნიორთა გუნდში **ლევან ელიზბარაშვილი** ჩაირიცხა, რომელიც 1991 წელსაა დაბადებული და ცენტრალური ნახევარმცველია.

ჯერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ნაკრები გუნდების მენეჯერ **თამაზ ბოკერიას** დავუკავშირდით და გვითხრა, რომ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა. 17-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, **გელა შეყილაძემ** კი დაგვიკონკრეტა, რომ ელიზბარაშვილი "ნორჩ დინამოელში" **რევაზ გაგუასთან** ვარჯიშობდა და ბოლოს ამ უკანასკნელს დავუკავშირდით.

"ნორჩი დინამოელის" მწვრთნელ რევაზ გაგუას საქართველოს ნაკრებისათვის ლამის ასამდე მოთამაშე გაუზრდია და ლევან ელიზბარაშვილიც მისი "კოლექციიდანაა".

**რეზო გაგუა:**

- ლევან ელიზბარაშვილი ჩემთან ვარჯიშობს, თუმცა "ლაციოს" ვებგვერდზე მისი დაბადების წელი არასწორადაა მითითებული, ლევანი ერთი წლით პატარაა და 1992 წელსაა დაბადებული. ის საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრი იყო და პორტუგალიაში, დეკემბერში გამართულ ტურნირზე ითამაშა.

როგორც ვიცი, იტალიელებს ელიზბარაშვილი მოეწონათ და ზაფხულში ელოდებიან, ოღონდ იმ პირობით, რომ იტალიური უნდა ისწავლოს.

**- საინტერესოა, როგორ დაახასიათებდით?**

- დიდი მომავალი ექნება, თუკი გაცილებით მეტს იშრომებს. სხვათა შორის, უფრო მაღალია, ვიდრე ეს "ლაციოს" ვებგვერდზეა მითითებული, 186სმ-ია, საყრდენი ნახევარმცველია, ტექნიკურია, ბურთს კარგად ფლობს და საკმაოდ ნორმალური დარტყმა აქვს. მისი მინუსი ისაა, რომ თავით თამაში არ იცის. იმედია, იტალიაში ამ ნაკლსაც გამოასწორებს. თუმცა, ვიმეორებ, ბევრი ნიჭიერი მოთამაშე მახსოვს, რომელთაც შრომა დაზარებიათ და ამით პერსპექტივას ხაზი გადაუსვეს. იმედია, ლევანი იშრომებს და შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

ბოლოს თავად ლევან ელიზბარაშვილს ველაპარაკეთ:

- იტალიაში გასინჯვაზე სამი კვირის წინ ვიყავი. რეკომენდაცია ჯანი კარნევალიმ გამიწია. სულ ოთხი დღე მაკვირდებოდნენ და ორჯერ ვითამაშე - ერთხელ ორმხრივ მატჩში და მეორედ რომის გარეუბნის გუნდთან. ბოლო შეხვედრა სამ ტაიმად ჩატარდა, ბოლომდე ვითამაშე და ბურთიც გავიტანე. მწვრთნელს მოვეწონე და რომში 20 ივლისს დამიბარა, თან იტალიური უნდა ვისწავლო. ალბათ, "ლაციოს" იუნიორთა გუნდში ვითამაშებ.

**- შენთან ერთად კიდევ რომელიმე ქართველს ხომ არ ელოდებიან?**

- როგორც ვიცი, საფეხბურთო აკადემია "ოლიმპის" ფეხბურთელს ლუკა გუგუჩიასაც ელოდებიან. ის ჩემზე ერთი წლით უფროსია, 1991 წელსაა დაბადებული, მარჯვენა ნახევარმცველია.

**მერაბ მამულაშვილი**

*P.S. გარდა ზემოთ ნათქვამისა, შევიტყვეთ, რომ ლევან ელიზბარაშვილის აყვანა ვალერი გაზაევს ცსკა-ს დუბლებში სურდა, ალექსანდრ მოსტოვოი და ნიკოლაი პისარევი (ორივე აგენტია) ესპანეთში მოწყობას პირდებოდნენ, მაგრამ როდესაც სარბიელზე რომის "ლაციო" გამოჩნდა, 16 წლის ფეხბურთელმა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა იტალიელთა წინადადება ყველა სხვა ვარიანტს ამჯობინა.*

# ხუციშვილმა ოლიმპიკს მიაშურა

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ გასული ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი **მიხეილ ხუციშვილი** კარიერას აზერბაიჯანულ "ოლიმპიკში" გააგრძელებს. "აზერისპორტის" ცნობით, კლუბმა და მოთამაშემ მოლაპარაკებები უკვე დაასრულეს და ქართველი ბაქოელთა წინადადებას დათანხმდა.

გასულ სეზონში "ოლიმპიკმა" აზერბაიჯანის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. გუნდს ჩემპიონობის შესანიშნავი შანსი ჰქონდა, მაგრამ ბოლო ტურში წაიფორხილა და ოქროს მედლები თანაქალაქელ "ინტერს" დაუთმო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ხვალ ეროვნულის წილისყრაა

25 ივნისს, 14 საათზე, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში უმაღლესი ლიგის კლუბების წარმომადგენლები შეიკრიბებიან და კალენდრის დასადგენად წილისყრაში მიიღებენ მონაწილეობას. შეგახსენებთ, მომავალი ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 12 კლუბი სამ წრედ იასპარეზებს, თასის გათამაშებაში კი ჯგუფური ეტაპი უქმდება და ტურნირი ტრადიციულ ფორმატს უბრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ფოლკსვაგენის ცენტრში

ქართულ საფეხბურთო სკოლა "საბურთალოსა" და გერმანულ საფეხბურთო კლუბ "მაგდებურგს" შორის, 25 ივნისს, 17.00 საათზე თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდება.

ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ "ბასას" მახლობლად მდებარე "ფოლკსვაგენის ცენტრში" გასამართ პრეზენტაციას "მაგდებურგის" ხელმძღვანელობა და მთავარი მწვრთნელიც დაესწრებიან.

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**.

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX**.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ აქვსენტი გილაურთან

# ქალი იქით, კაცი აქეთ

## გილაურს სეპაჰანური და ორი თეირანული გუნდი ეპატიჟება

აქვსენტი გილაურმა ირანში ოთხი სეზონი მოილია. ამ სპეციფიურ ქვეყანაში თამაში და ცხოვრება ლეგიონერებისთვის იოლი არ არის, მაგრამ ფეხბურთელის ხვედრი ასეთია – იქ უნდა წავიდეს, სადაც ყველაზე კარგად აფასებენ მის გარჯას.

გილაურს საქართველოს რამდენიმე გუნდში უთამაშია და ყველგან საკვანძო ფეხბურთელი იყო. ალბათ, ასეთივე გახლდათ ის სპარსულ გუნდებში, სხვანაირად იქ ოთხი წელიწადი ვერ გაჩერდებოდა.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, აქვსენტი ისევ ირანში ითამაშებს, თუმცა შესაძლოა, გუნდი გამოიცვალოს. მანამდე კი ის შვებულებას თბილისში ატარებს და "ლელოსთან" ინტერვიუსთვისაც მოიცალა.



აქვსენტი გილაურს ირანში ბევრჯერ უყოჩაღია

**შარშან თეირანის "ესტეღლალიდან" პერიფერიულ "პეგაში" გადახვედი – რატომ მიიღე ასეთი, ცოტა არ იყოს, უცნური გადაწყვეტილება?**

- "ესტეღლალთან" კონტრაქტი რომ დამიმთავრადა, "პეგამ" უკეთესი პირობები შემომთავაზა. როგორც გუნდი, "ესტეღლალი" "პეგას" ჯობია, მაგრამ დაფინანსებით ჩამორჩება მას. "პეგა" გილანის მხარის, ქალაქ რაშთის გუნდია. "პეგა" რძის პროდუქტების ქარხანაა, რომელიც ჩვენს გუნდს აფინანსებს.

**- "ესტეღლალში" გატარებული წლები საკმაოდ შედეგიანი იყო...**

- ეგრეა, პირველ "ესტეღლალურ" სეზონში ირანის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავედით, მომდევნო, 2006 წელს ირანის ჩემპიონები გავხდით, შემდეგ ისევ მეორე ადგილი მოვინაგრეთ. წლეულს კი ძალიან ახლოს ვიყავი ირანის თასის მოპოვებასთან "პეგაში".

**თასის ფინალის პირველ შეხვედრაში "პეგამ" შენი გოლით 1:0 მოუგო "ესტეღლალს", თეირანში კი 0:3 წააგეთ – საპასუხო შეხვედრაში უშანსოდ იყავით?**

- თეირანში ხუთი გოლი რომ გაგვეტანა, ათს გაგვაშვებინებდნენ. გვერდით მსაჯებს დროშა არ აუწევიათ, ყველა თამაშგარე, ასე ვთქვათ, გაატარეს. ყველას უნდოდა, "ესტეღლალს" აეღო თასი. ეს თეირანული გუნდი ოთხი წელიწადია, აზიის საკლუბო ტურნირებზე რომ ვერ თამაშობს და ახლა ყველანაირად უწყობენ ხელს. ერთხელ "ესტეღლალმა" აზიის საფეხბურთო კონფედერაციაში განაცხადის შეტანა დააგვიანა და ამიტომაც მოხსნეს აზიური ტურნირებიდან. თასის აღების შანსი ალბათ მაინც გვქონდა, პირველ მატჩში 3:0 უნდა მოგვეგებო, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ.

**ირანის პერიფერიაში ცხოვრებას როგორ შეეგუე?**

- საერთოდ, რთულია ირანში ცხოვრება, მაგრამ უკვე ყველაფერს შევეჩვიე. გართობა ფაქტობრივად არ არის, ულკოჰოლო კაფე-ბარები და კინოთეატრები, სადაც კაცები და ქალები ცალ-ცალკე სხედან. სხვათაშორის, ავტობუსში და სამარშრუტო ტაქსებშიც კაცების და ქალების ადგილები ცალ-ცალკეა გამოყოფილი.

**სტადიონზეც ასეა?**

- სტადიონზე ქალებს საერთოდ არ უშვებენ, გამონაკლისი შესაძლოა, მხოლოდ უცხოელე ბისთვის დაუშვან და ისიც მხოლოდ VIP ლოჟაში. ვინც ძალიან მორწმუნეა, ცოლს ტელევიზორშიც არ აყურებინებს ფეხბურთს იმის გამო, რომ მამაკაც ფეხბურთელებს შორტები აცვიათ.

**- თეირანში ალბათ შედარებით ადვილია ცხოვრება...**

- კი, თუმც როგორც კი რამდენიმე თავისუფალი დღე გამომიჩნდება, ოჯახთან ერთად ირანიდან დუბაიში მივდივარ.

**- ქალთა ფეხბურთი ირანში აკრძალულია?**

- არა, ოღონდ ქალ ფეხბურთელებს ირანში შორტების ნაცვლად შარვლები აცვიათ და მხოლოდ გრძელმკლავიანი მაისურები. ქალთა ფეხბურთზე დასწრება მამაკაცებს ეკრძალებათ.

**"პეგა" შეძლებული კლუბიაო, გვითხარი, თუმც ირანის თვრამეტგუნდა ჩემპიონატში მხოლოდ მეთხუტმეტე ადგილზე გახვედით...**

- "პეგა" შარშან გადავიდა უმაღლეს ლიგაში და გასულ სეზონში გუნდის მიზანი არგავარდნა იყო, დამდეგ სეზონში კი "პეგას" სულ სხვა მიზანი ექნება. უკვე აგვიშენეს ახალი, 35 ათასიანი სტადიონი.

**- "პეგასთან" კონტრაქტს აგრძელებ?**

- ეს ჯერ არ გადამიწყვეტია, არ მინდა ვიჩქარო, რადგან სხვა შემოთავაზებებიც მაქვს – ისპაჰანის "ზობაჰანი" და კიდევ ორი თეირანული გუნდი მიწვევს – "საიფა" და " ფეიქანი". ირანში ათ დღეში დავბრუნდები და გადაწყვეტილებასაც იქ მივიღებ. ირანის ჩემპიონატი კი 5-6 აგვისტოს იწყება.

**- ირანული პრესა იუწყება, ლეგიონერთა ლიმიტი უნდა შემცირდესო...**

- ამ დროისთვის ირანულ გუნდს ხუთი ლეგიონერის ყოლის და მოედანზე სამის გაყვანის უფლება აქვს. შესაძლოა, დამდეგი სეზონიდან ლიმიტი ხუთიდან სამამდე შემცირდეს. იმასაც კი ამბობენ, ირანში მხოლოდ ეროვნულ ნაკრებში მოთამაშე ლეგიონერები უნდა ჩამოვიყვანოთო.

**- ირანში ლეგიონერთა რაოდენობამ მართლაც მოიმატა, რაც ალბათ იმითაცაა გამოწვეული, რომ სპარსულ კლუბებში მიმზიდველი და სტაბილური ფინანსური სიტუაციაა...**

- მასეა, ზოგიერთი პირველი ლიგის გუნდში ფეხბურთელის ყოველთვიური ანაზღაურება 15-20 ათასი დოლარია, ასეთი ხელფასი უმაღლესი ლიგის ბევრ ფეხბურთელს არ აქვს. რა გასაკვირია, რომ პირველ ლიგაშიც არც თუ ცოტა ლეგიონერია.

**-ირანში უცხოელი მწვრთნელებიც მომრავლდნენ, "პეგას" კი სპარსი მწვრთნელი ჰყავს - რას იტყოდი მასზე?**

- ნადერ დასნეშანმა "პეგა" მეორე წრეში ჩაიბარა და მისი ხელმძღვანელობით 29 ქულა დავაგროვეთ, მეორე წრის ჩემპიონები გავხდით. ის კარგი პიროვნებაა და სპეციალისტიც ძლიერია, ირანში სახელი იმით დაიგდო, რომ ფიზიკურ მომზადებას დიდი ყურადღებას უთმობს და ამ კომპონენტში გამორჩეულია. დასნეშანმა მარცხენა-ნახევარმცველად გამამწესა, რაც ჩემთვის ჩვეული პოზიციაა.

**მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ირანელები რომელ გუნდს ქომაგობენ?**

ირანში თითქმის ყველა ევროპულ ნაკრებს ჰყავს თავისი გულშემატკივარი. ყველაზე უფრო ირანელები თურქეთის ნაკრებს გულშემატკივრობენ, რადგან თურქებიც მუსულმანები არიან. ფსონები კი ირანში არ იდება, ტოტალიზატორი და სხვა ნებისმიერი სათამაშო ბიზნესი იქ აკრძალულია.

**შენ ვის ქომაგობ ევრო 2008-ზე?**

რუსეთს, რადგან ეს ნაკრები კარგ ფეხბურთს თამაშობს.

დავით თავართქილაძე

---

სკანდალი

# გიორგი დემეტრაძე: არსენალი ჩემს მოცილებას ცდილობს



**უკრაინაში მოთამაშე ქართველი ლეგიონერი გიორგი დემეტრაძე კიდევ ერთხელ გაეხვია სკანდალში. ამჯერად, მას კიევის „არსენალთან" გაუფუჭდა ურთიერთობა. როგორც უკრაინულმა „ფუტბოლმა" მათთვის სანდო წყაროებიდან დაადგინა, „არსენალი" თავის ფეხბურთელს, გიორგი დემეტრაძეს ვარჯიშის უფლებასაც არ აძლევს, თანაც ამ აკრძალვას არაფრით ხსნის. იმავე სანდო წყაროს ცნობით, „არსენალი" დემეტრაძესთან კონტრაქტის გაწყვეტას იმ მოტივით აპირებს, რომ .. ფეხბურთელი არ დადის კლუბის ვარჯიშებზე! „ფუტბოლი" თავად ფეხბურთელსაც დაუკავშირდა და მცირე ინტერვიუ ჩაიწერა, რომელსაც აქვე გთავაზობთ:**

- გიორგი მართლა გაქვთ პრობლემები „არსენალის" ხელმძღვანელობასთან?

- დიახ, ეს სრული სიმართლეა. მე არ მაძლევენ ჩემი მოვალეობების შესრულების საშუალებას, გუნდთან ახლოსაც არ მაკარებენ. არაერთხელ მივმართე კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **ალექსანდრ გოლოვკოს**, რომ ვარჯიშის უფლება მომცენ, ან წერილობით ამიხსნან, რატომ არ მაძლევენ ვარჯიშის საშუალებას. ალბათ, ჩემი მოცილება სურთ. კონტრაქტით კვლავ „არსენალს" ვეკუთვნი კიდევ ერთი წელიწადი. უკვე ავუხსენი, რომ თუ არ სურთ, რომ კლუბში ვითამაშო, გადამიხადონ ის გასამრჯელო, რაც კონტრაქტით მეკუთვნის და წავალ. როგორც ვატყობ, მათ ეს არ სურთ და უნდათ ყველაფერი მე დამაბრალონ, თითქოს არ ვასრულებ ჩემს მოვალეობებს და ასე დაზოგონ ფული.

**- თქვენს სიტუაციის შესახებ ხომ არ მიმართეთ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას და პროფესიულ ლიგას?**

- უკვე შევადგინე სათანადო საბუთები და ჩავაბარე, ახლა ველოდები მათ პასუხს.

**- როგორც ვიცით, მარტო არ ხარ, ვისაც „არსენალში" კონტრაქტთან დაკავშირებით პრობლემები აქვს..**

- დიახ, თითქმის ანალოგიურ სიტუაციაშია **პოლ ესოლი**. მას არ უხდიან კონტრაქტით განსაზღვრულ გასამრჯელოს. ადრე ასეთივე სიტუაცია იყო **მიზინთან** დაკავშირებითაც. სამწუხაროა, მაგრამ „არსენალში" მსგავსი სკანდალი ხშირად ხდება. არ მესმის რატომ..

შეგახსენებთ, რომ გიორგი დემეტრაძე შარშანაც ყურადღების ცენტრში იყო უკრაინაში, როდესაც ლეგიონერებზე ლიმიტის დაწესების გამო იჩივლა სასამართლოში. სავარაუდოდ, ამან დალუპა მისი კარიერა დონეცკის „მეტალურგში." დემეტრაძე კიევის „არსენალში" აღმოჩნდა, თუმცა ახლა მას კიევშიც სერიოზული პრობლემები აქვს.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი ონიანთან

# რატომღაც, ანორთოსისი ჩაიშალა

## ონიანი უკრაინაში წასვლას იმედოვნებს

**გიორგი ონიანისთვის** იენის "კარლ ცაისი" დამთავრდა. გუნდი მეორე ბუნდესლიგიდან გავარდა და ქართველმა ცენტრალურმა მცველმა კლუბი მიატოვა. გიორგი ახლა საქართველოშია და ჯერ კიდევ არ იცის, სად გააგრძელებს კარიერას.

**- გიორგი, ჯერ იმაზე ვისაუბროთ, "კარლ ცაისის" შემადგენლობაში რატომ ვერ ხვდებოდი?**

- სხვადასხვა მიზეზი იყო. ახალი ჩასული ვიყავი, როდესაც დავშავდი. კარგად ვერ მიმკურნალეს, შეკრება გამიცდა და სანამ ფორმა ალვიდგინე, დრო გავიდა. მერე თვითონ "კარლ ცაისის" საქმეები აირია და მწვრთნელი შემადგენლობის შეცვლას მოერიდა. არადა, მცველებში სერიოზული პრობლემები გვქონდა, ვგრძნობდი, ყველას ვაჯობებდი, მაგრამ რად გინდა, მაინც არ მათამაშებდა.

ჩვენ რომ ძლიერი მეკარე არ გვყოლოდა, ამ დაცვით კიდევ უფრო უარეს დღეში ჩავვარდებოდით. ერთხელ მთავარ მწვრთნელ პენინგ ბიურგერს ვკითხე, შანსს თუ მომცემ-მეთქი. კი, მაგრამ მეტი უნდა ივარჯიშოო.

**- გულახდილად თქვი, ზარმაცობდი?**

- რას ვზარმაცობდი, "კარლ ცაისში" თავს რომ ვიკლავდი, იმდენი ცხოვრებაში არ მივარჯიშია. გიჟი კი არ ვარ, ეს შანსი ხელიდან გამეშვა.

**- მწვრთნელთან ურთიერთობა მართლა აგერია?**

- სამწუხაროდ, ასე იყო და სწორედ იმ საუბრის შემდეგ. საუბარში შევყევი, მაინტერესებდა, რატომ არ მათამაშებდა და მივხვდი, მიზეზებს იგონებდა. ერთხელ "მიუნხენ 1860-თან" შეცვლაზე სულ რაღაც 10 წუთი მათამაშა. ამის მიხედვად, საგოლე გადაცემა გავაკეთე. მატჩის მერე ჩამეხუტა, თითქოს შეუცვლელი ვიყავი და ვიფიქრე, ახლა ამოვისუნთქე-მეთქი.

თურმე, სულ ტყუილად. შემდეგ მატჩში 4:0-ზე ორი წუთი მათამაშა და თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. ვკითხე, დამცინი-მეთქი. ორი წუთი ხომ გათამაშე, პრემიას მიიღებ და მეტი რა გინდაო? აი, ამან გამაგიჟა, ისე მითხრა, თითქოს მხოლოდ პრემიისთვის ვთამაშობდი - თამაში მინდა, ფული არ მჭირდება-მეთქი. ხომ ვიცოდი, რასაც აკეთებდა, იუნიორებიდან ორი ბავშვი მოიყვანა, პატრონობდა და ჩემი დაყენება ამიტომ არ აწყობდა.

**- "კარლ ცაისიდან" კი წამოხვედი, მაგრამ სად ითამაშებ?**

- გუნდს ისევ ვეძებ. სხვათა შორის, იენელთა გენერალურმა დირექტორმა კასტელინგემ დარჩენა შემომთავაზა, მაგრამ მესამე ლიგაში თამაში ნაღდად არ მსურდა. "კარლ ცაისიდან" ბუნდესლიგაში მოხვედრაზე ვოცნებობდი და არა ქვემოთ დაშვებაზე. სამწუხაროდ, წელს ეს ვერ მოვახერხე.

**- რადგან იენელებს უარი უთხარი, გამოდის, უკეთესი ვარიანტები გაქვს?**

- არის ვარიანტები გერმანიაშიც, მაგრამ უფრო უკრაინაში მოხვედრის მეიმედება. სერიოზულად ვფიქრობდი კვიპროსში გადასვლაზე. ვიცოდი, რომ თემურ ქეცბაიას „ანორთოსისში" ჩემი წაყვანა სურდა, მაგრამ, რატომღაც, ეს ტრანსფერი ჩაიშალა და ახლა ერთადერთი მამუკა ჯულელს ველოდები. სიმართლე გითხრათ, ასეთ გაურკვევლობაში ყოფნა მიჭირს.

**- გერმანიაში გატარებულ ერთწლიან პერიოდში საკუთარ შესაძლებლობებს შეფასებდი - შენი აზრით, გერმანიაში თამაშს შეძლებ?**

- ეჭვიც არ მეპარება. "მიონხენგლადბახთან" ძალიან კარგად ვითამაშე და ამან თავდაჯერებულობა შემძინა. ეს გუნდი ბუნდესლიგაში დაბრუნდა და რადგან მათთან თავი არ შევირცხვინე, გამოდის, ამ დონეზე გამოსვლა ჩემთვის პრობლემა არ იქნება. ბუნდესლიგაშიც ადამიანები თამაშობენ და მიუწვდომელი დონე ნაღდად არ არის. მე ისიც მაიმედებს, რომ ფიზიკურადაც მოვლონიერდი. საქართველოდან წასული ფეხბურთელისთვის კი ეს გერმანიაში ბევრს ნიშნავს.

**- საქართველოში დროებით დაბრუნებას გამორიცხავ?**

- ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთს თავი დავანებო. აქ რომ დავბრუნდე, ვიცი, ერთ კვირაში ნევროზს ავიკიდებ.

**მერაბ მამულაშვილი**




## მილოცვა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავენ მძლეოსნობაში ჰელსინკისა და მელბურნის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორს, მსოფლიოს სამგზის რეკორდსმენს, ღირსების და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერს **ნადეჟდა დვალიშვილ-ხნიკინას.**

ევრო 2008. ინტერვიუ შოთა არველაძესთან

# რუსებმა ჰოლანდიელთა შეცდომები გამოიყენეს




შოთამ რუსებს არშავინი მოუწონა

**ევროპის ჩემპიონატის მთავარ სენსაციად რუსების მიერ ჰოლანდიელთა დამარცხებაა მიჩნეული. ამ მატჩის შემდეგ, "სპორტ ექსპრესი" "აიაქსის", "ალკმაარისა" და საქართველოს ნაკრების ყოფილ ფორვარდ შოთა არველაძეს დაუკავშირდა და რამდენიმე კითხვით მიმართა. საუბარი უმთავრესად რუსეთ-ჰოლანდიის მატჩს შეეხო. ეს ინტერვიუ ქართველი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს და მას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**

**- ახლახან განაცხადეთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე "მფრინავი ჰოლანდიელების" გარდა "მფრინავი რუსების" გუნდიც აღმოაჩინეთ. შვედების შემდეგ რუსეთის ნაკრებმა მეოთხედფინალში ჰოლანდიას სძლია...**

- რუსეთის ნაკრების ახეთი კარგი თამაში, ბუნებრივია, უმეტესწილად გუუს ჰიდინკის დამსახურებაა. რუსების მიერ ჩატარებული ბოლო ორი მატჩის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ ტურნირის საუკეთესო გუნდია. ფეხბურთის ექსპერტები და მიმომხილველები თუ აქამდე მხოლოდ ჰოლანდიელთა ბრწყინვალე თამაშზე საუბრობდნენ, ახლა უკვე იმავეს ამბობენ რუსეთის ნაკრებზეც. ჩემი აზრით, რუსეთს ასეთი კარგი გუნდი აქამდე არ ჰყოლია. სისწრაფე, სათამაშო დისციპლინა, ხარისხი, გუნდური თამაში და უამრავი საგოლე მომენტი.

**- ჰოლანდიასთან რუსეთის თამაშმა 1998 წელი ხომ არ გაგახსენათ, როცა თქვენი და ვან დერ საარის "აიქსი" მოსკოვის "სპარტაკთან" შინ 1:3 დამარცხდა...**

- მხოლოდ ანგარიში გამახსენდა. მაშინ ასეთი სისწრაფეები არ იყო თამაშში. თუმცა, "სპარტაკს" მაღალი კლასის ფეხბურთელები არ აკლდა და ეს ჩვენც კარგად ვიცოდით. მაშინ ტაქტიკური შეცდომები დავუშვით. ეს კი მოსკოველებმა კარგად გამოიყენეს და მოგვიგეს.

**- მაინც რითი გაგაოცათ რუსეთის ნაკრებმა?**

- ჩემთვის სიურპრიზი იყო ჰიდინკის ტაქტიკა. შვედებისა და ჰოლანდიელების წინააღმდეგ რუსეთმა დაცვიდან არ ითამაშა. კარგად მახსოვს, ნელიწადნახევრის წინ "ნარინჯისფრებმა" რუსეთის ნაკრები ამსტერდამში რომ გაანადგურა. თუმცა მაშინ რუსეთის ნაკრები, ამჟამინდელთან შედარებით, ცუდად თამაშობდა. რუსეთმა, ევრო 2008-ის სასტარტო მატჩშიც გამოაცა. ესპანელებს მათ თითქმის ვერაფერი დაუპირისპირეს და დიდი ანგარიშითაც დამარცხდნენ. მომდევნო მატჩებში კი უკეთესი და უკეთესი თამაში აჩვენეს.

**- ჰოლანდიასთან მატჩის შემდეგ, არშავინმა თქვა - ერთმა დიდებულმა მწვრთნელმა თერთმეტი ნიჭიერი ჰოლანდიელი დაამარცხაო. ეთანხმებით ამ შეფასებას?**

- არშავინი ახალგაზრდა და მოკრძალებული ადამიანია. დღეისათვის ის ჩემპიონატის და საერთოდ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. მატჩის წინ, მწვრთნელმა შეიძლება ბევრი რამ თქვას, არაერთი გადასაჭრელი ამოცანა დააყენოს. მოედანზე კი მწვრთნელის ჩანაფიქრებს, ფეხბურთელები ახორციელებენ. მოთამაშეებმა მოედანზე მაღალ დონეზე უნდა შეასრულონ დავალება, თანაც ისეთი ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ, როგორიც ჰოლანდიაა. რა თქმა უნდა, მწვრთნელი ბევრს წყვეტს და მარცხსა თუ გამარჯვებაში, მისი წვლილი დიდია. თუმცა ფეხბურთელი მეორე პლანზე არ უნდა გადავისროლოთ. ახლაც მახსოვს, თუ როგორ დაფრინავდნენ რუსები ჰოლანდიელებთან მატჩში.

**- რუსეთის ნაკრებიდან არშავინის გარდა ვინ მოგეწონათ?**

- პავლიუჩენკო. თუმცა მთლიანად გუნდის თამაში იყო სასიამოვნო. ვიცი, რუსეთის ნაკრები ნახევარფინალისტობით არ დაკმაყოფილდება და ფინალში გასვლისთვის იბრძოლებს.

მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

ევრო 2008. სპეციალისტის აზრით

# სისტემური მიდგომა და რა თქმა უნდა, გუუს ჰიდინკი

**რამდენჯერმე** შემოგთავაზეთ ქართველი სპეციალისტების აზრი ავსტრია-შვეიცარიაში მოძიგძიგე ამბებზე და ახლაც ვთხოვეთ კომენტარები ჩვენს მწვრთნელებს. თბილისის "დინამოს" ყოფილი მწვრთნელი გია გეგუჩაძე მეოთხედფინალებზე საუბრობს, საქართველოს 16-წლამდელთა თავკაცი გიორგი დევდარიანი კი მეოთხედფინალებიდან ყველაზე რეზონანსულ, ჰოლანდია-რუსეთის მატჩს მიმოიხილავს.

**გია გეგუჩაძე:**

სიურპრიზი იყო რუსეთის კარგი თამაში ჰოლანდიასთან. მატჩის შედეგი დიდად განაპირობა მწვრთნელის ფაქტორმა – გუუს ჰიდინკის ცოდნამ და პროფესიონალიზმა თავისი გაიტანა. ცუდი თამაში არ იყო გერმანია-პორტუგალია. მომწონს მწვრთნელის სისტემური მიდგომა – მხოლოდ კარგი შემსრულებლების იმედად არ უნდა იყო. გერმანია გუნდური მექანიზმია და პორტუგალიასთან მის გამარჯვებას ვწინასწარმეტყველებდი. ვფიქრობ, ფინალში გერმანია გავა, ნახევარფინალისტთა მეორე წყვილზე კი პროგნოზისგან თავს შევიკავებ. რომელ ფეხბურთელს გამოვარჩევ? ყველაზე უფრო ბოლო თამაშებში არშავინი და დავიდ ვილია მომეწონა.

**გიორგი დევდარიანი:**

- რუსეთმა ჰოლანდიას ყველა კომპონენტში აჯობა, მთავარი კი სამი ფაქტორი იყო. პირველი: აუტსაიდერის როლში ყოფნა ყოველთვის მომგებიანია და რუსებს უფრო მეტი მოტივაციაც ჰქონდათ; მეორე: ფიზიკური კონდიციები რუსებს უკეთესი აღმოაჩნდათ, ალბათ იმიტომაც, რომ რუსეთის ნაკრების ფეხბურთელებმა გასულ სეზონში უფრო ნაკლები მატჩი ითამაშეს, ჰოლანდიელი ფეხბურთელები კი ისეთ კლუბებში თამაშობენ, სადაც გაცილებით დაძაბული სეზონი ჰქონდათ; მესამე: მწვრთნელის ფაქტორი - ჰიდინკმა ერთხელაც გვაჩვენა, რომ გენიოსია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სადაც ფეხბურთში ფული ჩაიდო, შედეგიც გაჩნდა – რუსეთი ამის კიდევ ერთი კარგი მაგალითია.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ბაქარ მირცხულავასთან

# ბენფიკასთან წინასწარი ხელშეკრულება გავაფორმე

**საქართველოს 17-წლამდე ნაკრების ფეხბურთელმა ბაქარ მირცხულავამ იანვარში ლისაბონის "ბენფიკას" ახალგაზრდულ გუნდში ორი კვირის განმავლობაში ივარჯიშა და მას შემდეგ პორტუგალიურ გრანდთან კონტრაქტის გაფორმებას ელოდებოდა. „ბენფიკაში" ქართველი ახალგაზრდის გადასვლა საკმაოდ გაჭიანურდა, მირცხულავა ექვსი თვე ელოდებოდა პორტუგალიელთა პასუხს. და აი, რამდენიმე დღის წინ ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილმა ფეხბურთელმა „ბენფიკასთან" წინასწარი ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელი თანახმაა პორტუგალიელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმოს. ძირითადი ხელშეკრულება კი რამდენიმე დღეში ლისაბონში უნდა გაფორმდეს. როგორც გავიგეთ, ბაქარ მირცხულავას გერმანული და ფრანგული გუნდების ვარიანტებიც ჰქონდა, თუმცა პორტუგალიელებმა იაქტიურეს და თუ რაიმე არ შეიცვალა მირცხულავა მალე ლისაბონური გუნდის წევრი გახდება. „ლელო" ბაქარ მირცხულავას ქუთაისში შეხვდა და გაესაუბრა.**

**- გილოცავ „ბენფიკასთან" კონტრაქტის გაფორმებას, როგორც იქნა ექვსთვიან ლოდინს წერტილი დაესვა და ალბათ, შენც შვებით ამოისუნთქე...**

- „ბენფიკაში" გადასვლას იანვრის შემდეგ ველოდებოდი. ვნერვიულობდი დიდ ხანს რომ გაიწელა ეს საქმე. ერთი კვირის წინ პორტუგალიელებმა ფედერაციაში ფაქსით წინასწარი ხელშეკრულება გამოაგზავნეს და მასზე მამაჩემმა მოაწერა ხელი. ამ ხელშეკრულების მიხევით ჩვენ თანახმა ვართ, რომ პორტუგალიაში ჩავიდეთ და „ბენფიკასთან" სამწლიან კონტრაქტზე მოვაწეროთ ხელი. 16 წლის ვარ და პროფესიული კონტრაქტის გაფორმება ჯერ არ შემიძლია. ხელშეკრულებას იქაც მამაჩემი მოაწერს ხელს. 18 წლის რომ გავხდები კონტრაქტი ერთი წლით ავტომატურად გაგრძელდება, მერე კი ვნახოთ ჩემზეა დამოკიდებული თავს როგორ წარმოვაჩენ. მთავარია, რომ ყველაფერი დადებითად გადაწყდა.

**- როგორც ვიცით სხვა გუნდების ვარიანტებიც გქონდათ?**

-მოსკოვის „სპარტაკიც" მიწვევდა, მაგრამ მამაჩემის რჩევით „ბენფიკას" ვარიანტი ვამჯობინე.

**- „ბენფიკაში" რომელ ასაკობრივ გუნდში ითამაშებ?**

- იანვარში 17-წლამდე გუნდში ვიყავი, თუმცა ბოლოს ორი ვარჯიში „ბენფიკას" დუბლებში ჩავატარე. როგორც ფედერაციაში მითხრეს შესაძლოა დუბლებში ვითამაშო.

**- პორტუგალიაში როდის მიემგზავრებით?**

- ჩვენი გუნდი 19 ივლისს იკრიბება და ბრაზილიაში მიემგზავრება შეკრებაზე. 19 ივლისამდე პორტუგალიაში აუცილებლად უნდა ჩავიდე. მანამდე მამაჩემი მიემგზავრება. მოწვევა უკვე ჩამოუვიდა, რამდენიმე დღეში ლისაბონში იქნება და სამუშაო ვიზას დამახვედრებს. პორტუგალიაში მარტო ვიქნები. მამაჩემი მალევე დაბრუნდება საქართველოში. გუნდის ხელმძღვანელებს უთქვამთ, მშობლებთან ერთად ახალგაზრდა ფეხბურთელები კომპლექსდებიან და აჯობებს დამოუკიდებელ ყოფას აქედანვე შეეჩვიოსო. თანაც ასე იძულებული ვიქნები პორტუგალიურიც მალე ავითვისო.

**- პორტუგალიურში ალბათ უკვე ემზადები?**

- კი, ცოტ-ცოტას ვსწავლობ. ელემენტარული სიტყვები პორტუგალაში ყოფნის დროსაც ვისწავლე.

**- ბექა ცოტა ხნით ქუთაისის „ტორპედოში" თამაშობდი, თუმცა ქუთაისური გუნდიდან იმ იმედით წამოხვედი, რომ „ბენფიკასთან" მალევე გააფორმებდი კონტრაქტს. ხომ არ აჯობებდა ამ პერიოდში „ტორპედოში" გეთამაშა და ფორმა შეგენარჩუნებინა?**

- საქმე იმაში გახლდათ, რომ პორტუგალიელების ზარს დღე-დღეზე ველოდებოდი, „ტორპედომ" კი ორწლიანი კონტრაქტი შემომთავაზა, რაზეც ბუნებრივია უარი ვთქვი.

**- ამ ხნის განმავლობაში ფორმას როგორ ინარჩუნებდი?**

- ქუთაისში ჩემი ასაკის გუნდებში ვვარჯიშობდი და ტურნირებშიც გამოვდიოდი. ფორმიდან არ ამოვვარდნილვარ, ყოველდღიურად ვვარჯიშობ და მზადყოფნაში ვარ.

**- ევროპის ჩემპიონატზე ვის გულშემატკივრობ?**

- პორტუგალიას ვქომაგობდი, მარამ სამწუხაროდ მათ თავიანთი პოტენციალი ბოლომდე ვერ გამოავლინეს და მეოთხედფინალში გერმანიასთან დამარცხდნენ.

**- ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევ?**

- ჩემი ფავორიტი კრისტიანო რონალდოა, თუმცა მისგან გაცილებით მეტს ველოდი. ჩემს პოზიციაზე, ცენტრალურ მცველებს შორის კი პეპეს გამოვარჩევდი.

**- პეპეს შეტევებში ჩართვა უყვარს, შენ როგორი სტილის მცველი ხარ?**

- მთლიანად დაცვაზე ვარ ორიენტირებული, თუმცა თუ საშუალება მომეცა შეტევებზეც არ ვამბობ უარს.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# ზესტაფონური სამზადისი გრძელდება

ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე მიმდინარე სამუშაოებზე რამდენიმე დღის წინათ ვრცლად გიამბეთ. უეფას კომისიის დასახვედრად იმერული კლუბის მესვეურები კვლავ გამალებით ემზადებიან. ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება მალე დასრულდება. თითქმის დამთავრებულია საპატიო სტუმართა სექტორი, მოწესრიგდა საკომენტატორო ჯიხურები, საკონფერენციო დარბაზი, გასახდელები, დოპინგ-კონტროლის, მსაჯთა და დელეგატთა ოთახები.

ერთმა ზესტაფონელმა ბიზნესმენმა კი საკუთარი ხარჯებით სტადიონთან მდებარე აუზის შენობის ფასადის გარემონტება ითავა. ქალაქის გამგეობამ კი სტადიონთან მისასვლელი გზების შეკეთება და ავტოსადგომის ტერიტორიის მოწესრიგება დაიწყო.

ივნისის ბოლო რიცხვებში უეფა გადაწყვეტს, მისცეს თუ არა "ზესტაფონს" საშინაო მატჩის საკუთარ ქალაქში ჩატარების უფლება. უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ფეროელთა მეტოქე 1 ივლისს გაირკვევა. თავად გუნდი კი მოახლოებული ოფიციალური შეხვედრებისთვის ჯერ ურეკში, შემდეგ კი თურქეთში მოემზადება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ლოკომოტივს ჩერნოგორიელები განსჯიან

"ლოკომოტივი"-"ეტცელას" განმეორებით მატჩს ჩერნოგორიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. მთავარი მსაჯი **პაველ რადოვანოვიჩი** იქნება, ასისტენტების ფუნქციებს კი **დეიან საკოვიჩი** და **ვესლან რადუნოვიჩი** შეასრულებენ. სათადარიგო არბიტრად **ლაშა სილაგავა** დანიშნეს.

მსაჯთა დამკვირვებლად უეფა ახლო წარსულში ცნობილ ავსტრიელ არბიტრს, **გიუნტერ ბენკოს** მოავლენს, დელეგატი კი ისრაელიდანაა – **იოავ სტრაუსი.**

მატჩი 28 ივნისს გაიმართება. შეგახსენებთ, პირველი შეხვედრა ლუქსემბურგში ნულოვანი ფრით დასრულდა. ამ ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, "ლოკომოტივის" მეტოქე რუსული "სატურნი" იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სეთურიძე: ფიურტი, ფრაიბურგი თუ კოტბუსი?



იენის „კარლ ცაისის" ქართველ ნახევარმცველ **გიორგი სეთურიძეს** შვებულება დაუსრულდა და 23 ივნისის დილით გერმანიაში დაბრუნდა. როგორც შევიტყვეთ, რამდენიმე დღე გიორგი „კარლ ცაისის" ბაზაზე ივარჯიშებს და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ „ფიურტი" შეკრებას არ დაიწყებს. სეთურიძეს გასინჯვაზე სწორედ „ფიურტი" იწვევს.

თუმცა 23 წლის ქართველით არამარტო „ფიურტი", არამედ „ფრაიბურგი" და კოტბუსის „ენერგიც" დაინტერესდნენ. გიორგის სურვილიც გერმანიაში დარჩენაა.

სეთურიძეს სხვა ვარიანტებიც გააჩნია. დანამდვილებით ვიცით, რომ **კახა ცხადაძემ** ბაქოს „სტანდარდში" მიიწვია, საქართველოში დაბრუნება კი რუსთავის „ოლიმპმა" შესთავაზა. მაგრამ მას აქ თამაში აღარ სურს და ევროპაში დამკვიდრებაზე ფიქრობს.

გიორგის ახალი მენეჯერი ეხმარება, რომელიც გერმანელია. მასთან სეთურიძემ მცირე ხნის წინ ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. „ფიურტი", „ფრაიბურგი" და „ენერგი" ქართველთან მოლაპარაკებას ახალი მენეჯერის მონაწილეობით აწარმოებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# მანჩხავა ლიტვის სათავეში

ლიტვის A ლიგაში მე-11 ტურის მატჩები გაიმართა, ჩვენთვის საინტერესო „ვეტრას" და „კაუნასის" მატჩი იყო. შეგახსენებთ, რომ მხოლოდ ჩემპიონ „კაუნასში" დარჩნენ ქართველი ფეხბურთელები. „კაუნასში" **ნუკრი მანჩხავა** და **აკაკი ხუბუტია** ირიცხებიან. მართალია, უკვე მე-6 წუთზე „კაუნასი" **ვიტაუტას ლუკშამ** დააწინაურა, მაგრამ „ვეტრამ" შეძლო ქულის გადარჩენა – 1:1. მანჩხავამ 90 წუთი ითამაშა „კაუნასის" დაცვის ხაზში, ხუბუტია კი არ გამოჩენილა. „კაუნასი" 27 ქულით პირველ ადგილზეა და ორი ქულით უსწრებს „სუდოვას", თუმცა ამ უკანასკნელს ორი თამაშით ნაკლები აქვს გამართული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




# გოგიტა გოგუა მამა გახდა



ნალჩიკის „სპარტაკი" სეზონისთვის მომზადებას კისლოვოდსკში, გროზნოს „ტერეკთან" შეხვედრით დაასრულებს.

„სპორტ-ექსპრესის" ინფორმაციით, საკონტროლო შეხვედრას საქარველოს ნაკრების წევრები, თავდამსხმელი **დავით სირაძე** და ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა** გამოტოვებენ.

საქმე ისაა, რომ დათო სირაძემ შეკრებისას ცხვირი თანაგუნდელმა გაუტეხა,. რაზეც ადრეც ვწერდით. მართალია, მან ვარჯიში უკვე დაიწყო, მაგრამ ცხვირის ტკივილი თამაშში ხელს უშლის.

რაც შეეხება გოგიტა გოგუას, მას ახლახან პირველი შვილი შეეძინა (რასაც ვულოცავთ) და ორიოდე დღით მთავარ მწვრთნელს დაეთხოვა.

ქართველებიდან "ტერეკთან" მხოლოდ მცველი **ალეკო ამისულაშვილი** ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ქაოსი გომესის გარშემო

## შტუტგარტი 30 მილიონს ითხოვს. ვინ მოიგებს აუქციონს: ბაიერნი, იუვენტუსი თუ ბარსელონა?



მარიო გომესმა აღარ იცის, რაზე იფიქროს

"შტუტგარტისა" და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელ **მარიო გომესის** შვაბური კლუბიდან წასვლა თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. ბოლო დროს მის გარშემო ატეხილ დავას საბოლოო ჯამში ის მოჰყვა, რომ ფორვარდს "შტუტგარტის" ხელმძღვანელებთან ურთიერთობა უკიდურესად დაეძაბა. ამის მიზეზი შვაბური კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **დიტერ ჰუნდტი** გახლავთ, რომელმაც თავისი განცხადებებით "ბაიერნის" შეფები დააფრთხო, რის შემდეგაც რეკორდმაისტერის ბოსებმა მოლაპარაკებისთვის დაგეგმილი შეხვედრა გააუქმეს. ამას გარდა, ჰუნდტმა ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში გომესზე ირონიულად თქვა, ევროპის ჩემპიონატზე ისე კარგად თამაშობს, რომ მისი ფასი მინიმუმ 30 მილიონი დოლარიაო. სუპერმარიოს სატრანსფერო ფასი მართლაც 30 მილიონია (ასე წერია მის კონტრაქტში, რომელსაც ვადა 2012 წლამდე აქვს), მაგრამ გომესი კონტინენტის პირველობაზე აშკარად ძალიან ცუდად გამოიყურება, რაზეც თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მან სასტარტო შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

*"ჰერ ჰუნდტის განცხადებებმა შოკში ჩამაგდო. სამიოდ კვირის წინათ ის ამბობდა, რომ ჩემი ფანია, დღეს კი მაკრიტიკებს. როდესაც "შტუტგარტთან" კონტრაქტი გავაგრძელე, ამ ფაქტს აპლოდისმენტებით შეხვდა. კლუბის სხვა ხელმძღვანელებს უკვე დავუკავშირდი და ჩემი პოზიცია დავაფიქსირე: ასეთი განცხადებები ჩემთვის მიუღებელია,"* - აცხადებს მარიო "კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

"ბაიერნის" შეფები, რა თქმა უნდა, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ბუნდესთავდამსხმელი ხელში გაცილებით იაფად ჩაიგდონ. "შტუტგარტში" კი ყვირიან, რომ გომესი არ იყიდება. *"მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მარიოს გადაბირება აღარ გვინდა. მუშაობას გავაგრძელებთ,"* - ეს სიტყვები მიუნხენური გრანდის გენერალურ მენეჯერ **ული ჰიონესს** ეკუთვნის. ამ უკანასკნელმა ჩინებულად უწყის, რომ გომესით "იუვენტუსი" და "ბარსელონაც" არიან დაინტერესებულები.

*"წინასწარ ლაპარაკი საჭირო არ არის. გამორიცხული არაფერია. შესაძლოა, მომავალი სეზონის პირველი ვარჯიში უკვე "ბაიერნში" ჩავატარო. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ის გახლავთ, რომ თუ "შტუტგარტი" ჩემს სანაცვლოდ 30 მილიონ ევროს ითხოვს და არ აკლებს, ახალი გუნდის პოვნა ძალიან გამიჭირდება,"* - ამბობს გომესი.

### ბალაკი: რა დროს ტრანსფერზე ფიქრია!

ერთი სიტყვით, სუპერმარიოს თავში ახლა სრული ქაოსია. ფაქტია, რომ 22 წლის თავდამსხმელი მთლიანად მომავალზე, კონცენტრირებული, არადა, ევროპის ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა. ამიტომაცაა, ბუნდესკაპიტანმა **მიხაელ ბალაკმა** გომესი მაგრად რომ გააკრიტიკა. აი, რა თქვა ბალამ: *"ძალიან ცუდად მეჩიშნა ის, რომ მარიომ ტრანსფერზე ფიქრი ევროპის ჩემპიონატის დროს დაიწყო. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, ასეთი ფაქტები ფეხბურთელს სერიოზული ტურნირის დროს კონცენტრაციას აკარგვინებს. მე მას უკვე ვესაუბრე და ავუხსენი, რომ სანამ ევრო 2008 არ დამთავრდება, ტურნირის გარდა არაფერზე უნდა იფიქროს. მარიომ მითხრა, ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნებაო. ვნახოთ..."*

**მოამზადა გოტფრიდ ლენცმა**

ვარსკვლავი

# სად მიდის რონალდინიო?

**რონალდინიოს** აზრით, პრემიერლიგა ნებისმიერი ვარსკვლავისთვის იდეალური ადგილია. ბრაზილიელი ვარსკვლავის ინტერვიუ ტელეკომპანია "გლობოს" ეთერით გადაიცა. რონალდინიოს ინგლისური კლუბების დაინტერესება ძალიან ახარებს. სპეკულაციების თანახმად, მისი შეძენა "ჩელსის" უნდა. მოგეხსენებათ, "არისტოკრატების" მთავარ მწვრთნელად **ლუიშ ფელიპე სკოლარი** დანიშნეს. სკოლარი რონალდინიოს ყოფილი დამრიგებელია. ფეხბურთელმა მას ლონდონში გადასვლა ტელევიზიით მიულოცა, თუმცა ლონდონში თამაშის თაობაზე არაფერი უთქვამს.

რონალდინიოს რთული სეზონი ჰქონდა. ტრავმების გამო, მან თითქმის მთელი წელიწადი ჩააგდო. ესპანურმა მედიამ ბრაზილიელს კრიტიკის ნიაღვარი დაატეხა თავს. ფეხბურთელს "ბარსელონიდან" აზარგება უწინასწარმეტყველეს. რონალდინიომ ბოლოდროინდელი წარუმატებლობა ასე ახსნა: *"პრობლემები ერთმანეთს მიეწყო. გუნდი ფორმიდან ამოვარდა. კრიზისი ფეხბურთელებზეც აისახა. მეც ისევე გულდაწყვეტილი ვარ, როგორც ნებისმიერი ჩემი თანაგუნდელი. "ბარსელონისთვის" უტიტულოდ დარჩენა დიდი ტრაგედიაა. იმედია, უკეთ ავთამაშდებით. თავს კარგად ვგრძნობ. ჩემი სარეაბილიტაციო კურსი დასასრულს უახლოვდება. ვეცდები, ოპტიმალურ ფორმაში ჩავდგე და მსოფლიოს საუკეთესო გუნდის შემადგენლობაში ვითამაშო. ჩემი ოცნებაა, "ბარსელონაში" კიდევ ერთხელ დავეუფლო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს."*

რამდენიმე დღის წინათ "დიარიო სპორტმა" "ბარსელონის" ახალი მწვრთნელის **ხოსე გუარდიოლას** კომენტარი გამოაქვეყნა. გუარდიოლამ თქვა, რომ რონალდინიო, **სამუელ ეტოო** და **დეკუ** არ სჭირდებოდა. უფრო ადრე რონალდინიოს აზარგება კატალონიელთა პრეზიდენტმა, **ჟოან ლაპორტამაც** იწინასწარმეტყველა. ამიტომ გაუგებარია, რატომ დაუკავშირა რონალდინიომ თავისი მომავალი "ბარსელონას".

### ჰიკერსბერგერმა ავსტრია დატოვა

ავსტრიის ნაკრებს მწვრთნელი აღარ ჰყავს. გუშინ, **იოზეფ ჰიკერსბერგერი** პოსტიდან გადადგა. 60 წლის სპეციალისტმა პრესკონფერენციაზე დაიჩივლა, გადაღლილი და გამოფიტული ვარო. ჰიკერსბერგერმა ავსტრიის ეროვნულ გუნდში მეორე ვადა ჩაამთავრა. ის ამ ნაკრებს 1990 წლის მუნდიალზეც ხელმძღვანელობდა. პირველად, თანამდებობიდან წავიდა ევრო 92-ის შესარჩევი ციკლის ბოლოს, როცა ფარერებთან ნაგების გამო, ავსტრია კონტინენტური პირველობის მიღმა დარჩა.

შეგახსენებთ, რომ მეორე ვადით ის 2006 წლის იანვარში დაინიშნა. ავსტრიის ნაკრებმა მიმდინარე ევროპის პირველობაზე ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა.

### არსენალმა ნასრი იყიდა

როგორც იქნა, ლონდონურმა გრანდმა "მარსელის" ნახევარმცველი **სამირ ნასრი** იყიდა. ინფორმაციას ფეხბურთელის ვებგვერდი ავრცელებს. "არსენალმა" ტრანსფერში 16.8 მილიონი ევრო გადაიხადა.

ნასრი 20 წლისაა. ის ახლახან ევროპის ჩემპიონატზე იყო, სადაც ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ორივეჯერ შეცვლაზე. ახალგაზრდას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ეროვნულ ნაკრებში ნასრის 12 მატჩი აქვს ჩატარებული და 3 გოლის ავტორია, მათ შორის, ერთი საქართველოს ნაკრების კარში აქვს გატანილი.

გერმანია

# ფრინგსი თურქეთთან ითამაშებს!

## ბუნდესგუნდის ექიმებმა ტორსტენს მწვანე აუნთეს

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** გუშინ გამართული პრესკონფერენცია ბუნდესგუნდის ქომაგთათვის სასიხარულო ინფორმაციით დაიწყო. *"თურქეთთან მატჩისთვის აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელი მწყობრში იქნება,"* - განაცხადა ლიოვმა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ხვალ, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გერმანიას **ტორსტენ ფრინგსიც** დაეხმარება, რომელმაც პორტუგალიასთან მეოთხედფინალური მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა. ლიოვის თქმით, "ვერდერის" საყრდენი ნახევარმცველი მწყობრშია. იოგი: *"ტკივილები ისევ აწუხებს, მაგრამ პრობლემა ამოწურულია. გამაყუჩებლებით ითამაშებს და ხელი არაფერში შეეშლება. დღევანდელი გადასახედიდან თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ტორსტენი თურქეთთან შეხვედრაში აუცილებლად დაგვეხმარება."*



ტორსტენ ფრინგსს ბუნდესგუნდში დებიუტი 2001 წელს ჰქონდა

ჩელსი

# სკოლარიმ შვაინი მოიკითხა

## გერმანელ ვარსკვლავს მილანიც უთვალთვალებს

სპეკულაციების თანახმად, **ლუიშ ფელიპე სკოლარის ბასტიან შვაინშტაიგერის** შეძენა სურს. "ბაიერნის" ნახევარმცველმა გერმანია-პორტუგალიის მეოთხედფინალში შთამბეჭდავად ითამაშა. მან ერთი გოლი შეაგდო და ორი საგოლე გადაცემა მიითვალა. ამ თამაშის შემდეგ სკოლარი პორტუგალიის ეროვნულ გუნდს გამოეთხოვა და ინგლისს მიაშურა. 1 ივლისიდან ის "ჩელსიში" მუშაობას შეუდგება.

ინგლისური სააგენტოების მტკიცებით, შვაინის ინგლისში თამაში სურს. სპეკულაციები მისი ალბიონზე ტრანსფერის შესახებ პირველად გასულ ზაფხულს გავრცელდა. იმხანად ბასტიანს "არსენალში" გადასვლა უწინასწარმეტყველეს, თუმცა ფეხბურთელი მიუნხენში დარჩა. ერთი წლის წინათ ბავარიელებმა **ფრანკ რიბერი** შეიძინეს. რიბერიმ საუცხოო სეზონი ჩაატარა. შვაინშტაიგერი მის ჩრდილში აღმოჩნდა. მიმომხილველებს ამიტომაც მიაჩნიათ, რომ სპეკულაციები ბასტიანის მოსალოდნელი ტრანსფერის თაობაზე უსაფუძვლო არ უნდა იყოს. "ჩელსის" ძლიერი ნახევარმცველები სჭირდება. **შონ რიტ-ფილიპსსა და ფლორან მალუდას** არც ისე წარმატებული სეზონები ჰქონდათ. "დეილი მეილის" "არისტოკრატები" "ბაიერნს" 15 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ.

"გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, შვაინშტაიგერის შეძენა "მილანსაც" სურს. პოპულარული გამოცემის თანახმად, "როსონერი" მზადაა, მიუნხენურ გიგანტს კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა, 21.5 მილიონი ევრო გადაუხადოს. "მილანი" ინტენსიურ სატრანსფერო კამპანიას ატარებს. მან **მატიო ფლამინი** და **მარკო ბორიელო** დაიბევა. ეს უკანასკნელი "მილანისა" და "ჯენოის" საერთო საკუთრება იყო. "როსონერიმ" გენუელებს კომპენსაცია გადაუხადა.

შვაინი ევროპის ჩემპიონატზეა და თურქეთთან ხვალინდელი მატჩისთვის ემზადება. ის სატრანსფერო საკითხების განხილვას მხოლოდ გერმანიაში დაბრუნების შემდეგ აპირებს.



ბასტიან შვაინშტაიგერი

მოსალოდნელი დანიშვნა

# ტოპმიოლერი ჩეხეთის ნაკრებში?

## კლაუსს ბრიუკნერის შემცვლელად მოიაზრებენ, ტოპიც დაინტერესებულია...

**კარელ ბრიუკნერის** წასვლის შემდეგ, ჩეხეთის საფეხბურთო კავშირმა ეროვნული ნაკრებისთვის ახალი მთავარი მწვრთნელის ძებნა დაიწყო. გუშინ, გერმანულ მედიაში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ჩეხეთის ნაკრების დამრიგებლის პოსტზე დანიშვნის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი **კლაუს ტოპმიოლერია**, რომელსაც განის ნაკრებშიც ეპატიჟებიან. მაგრამ თუ საქმე არჩევანზე მიდგა, ფაქტია, რომ 56 წლის ტოპი ჩეხეთის ნაკრებს აირჩევს.

*"დიახ, ტოპმიოლერი ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. მას უკვე შევეხმიანეთ და დადებითი პასუხი მივიღეთ. ტოპმიოლერი ჩეხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობით დაინტერესებულია. თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, ახლო მომავალში მასთან მოლაპარაკებებს გავმართავთ და კონკრეტულ საკითხებზე დაველაპარაკებით,"* - აცხადებს ჩეხეთის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი **ვლასტიმილ კოსტალი** პრაღულ გაზეთ "პრავოსთვის" მიცემულ ინტერვიუში.



ტოპის რიგი დაუდგა: ჩეხეთი, განა...

როგორც გაირკვა, ბრიუკნერის მემკვიდრეობის ჩაბარება უკვე იუარეს გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმა** და ჩეხმა სპეციალისტმა **ივან ჰასეკმა**, რომელმაც სამშობლოში ეროვნული ნაკრების თავკაცის რანგში დაბრუნებას, საემიროებში დარჩენა და "ალ-აჰლიში" მუშაობის გაგრძელება ამჯობინა. ჩეხეთის კონკურენტი განაა, სადაც ტოპმიოლერისგან უკვე საბოლოო პასუხს ელოდებიან...

**მოამზადა გოტფრიდ ლენცმა**

იტალია

# გიხაროდენ, იტალიავ, ლიპი ბრუნდება!

## დონადონის წასვლა არ უნდა, მაგრამ... აბეტე: დავსხდებით და დავილაპარაკებთ



დონადონის წყალი შეუდგა

მსოფლიო ჩემპიონის ევროოცნება ესპანეთის ნაკრებმა დაამსხვრია. "სკუადრა აძურა" თამაშგარეთ დარჩა. იტალიის ნაკრების ახალი ორიენტირი მომავალი მუნდიალი და ტიტულის დაცვაა. აშკარაა ისიც, რომ გუნდში ცვლილებები მოხდება და როგორ შეძლებს გადახალისებული "აძურა" მთავარი საფეხბურთო ტახტის შენარჩუნებას, ამას ორი წლის შემდეგ, სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე ვნახავთ. მანამდე კი შესარჩევი ტურნირია გასასვლელი. როგორი სახით შეხვდება იტალიის ნაკრები საკვალიფიკაციო ციკლს?

ეს ის საკითხია, რომელიც ქართველ გულშემატკივარსაც უნდა აინტერესებდეს. "სკუადრა" ხომ ჩვენი მეტოქეა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, რომელიც სექტემბრიდან დაიწყება. ცვლილებები კი, შეიძლება, სამწვრთნელო სკამსაც შეეხოს. არ არის გამორიცხული, **რობერტო დონადონის** პოსტი დაატოვებინონ. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მას კიდევ ორი წლით გაუგრძელა კონტრაქტი. მაგრამ ხელშეკრულებაში ჩადებულია ერთგვარი ნალმი პუნქტის სახით, რომლის თანახმადაც დონადონის ბედი ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენებმა შედეგმა უნდა გადაწყვიტოს. საუბარია მინიმუმ ნახევარფინალზე. სწორედ ოთხეულში მოხვედრა აძლევდა მას მუშაობის გაგრძელების საშუალებას. "სკუადრა აძურა" კი ნახევარფინალს მიღმა დარჩა, შესაბამისად, დონადონის სანაკრებო ბედი ბეწვზე ჰკიდია - ან იქით, ან აქეთ.

თავად მწვრთნელი პოსტის დატოვებას არ აპირებს: *"გადადგომაზე არც მიფიქრია. საბოლოო შედეგზე პენალტების მიხედვით ნუ ვიმსჯელებთ. არც ის შეიძლება, რომ ამ მარცხმა იმედები გაგვიცრუოს. ესპანეთთან მატჩი ტურნირზე აზრს ვერ შემაცვლევინებს. ყველამ იცის, როგორ ვმუშაობდი და კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ თავში აზრადაც არ გამივლია პოსტის დატოვება, მით უმეტეს, 11-მეტრიანების სერიის შემდეგ".*

რას ფიქრობს ფეხბურთის ფედერაცია? პრეზიდენტი **ჯანკარლო აბეტე** ორ ცეცხლშუაა. ერთი მხრივ, კონტრაქტის ის ცნობილი მუხლი მას უფლებას აძლევს, "დონს" კარისკენ მიუთითოს. ესეც არ იყოს, იტალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ბევრი კრიტიკა დაიმსახურა, მაგრამ არის ადამიანური მომენტიც: იტალიას რომც მოეგო პენალტების სერიაში, დონადონი მაინც იმ რანგის მწვრთნელად დარჩებოდა, როგორიც პენალტების სერიამდე იყო, შესაბამისად, მის პროფესიულ დონეს ვერც "აძურას" გამარჯვება გაზრდიდა.

დონადონის აბეტესთან უკვე უსაუბრია: *"ჩვენ ვილაპარაკეთ. უბრალოდ, მე მას ვუთხარი, რომ ბედნიერი ვარ იმ პერიოდით, რაც ერთად გავატარეთ. ახლაც შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ სინიორ აბეტეს მიმართ უაღრესად კეთილგანწყობილი ვარ და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. პიროვნულად, ის კარგი ადამიანია. ფედერაციისგანაც, მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდი. შესაძლოა, ის საჯაროდ ყოველთვის არ მაქებდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ნატურა არ არის ასეთი... რაც შეეხება ესპანეთთან თამაშს. რა თქმა უნდა, გულნატკენი ვარ. ერთადერთი, რაც შემიძლია, ფეხბურთელებს მადლობა უნდა გადავუხადო. ვუყურებდი მათ სახეებს გასახდელში, ვუყურებდი მათ ცრემლებს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რაოდენ ძლიერ პერსონებთან მქონდა საქმე. ჩვენ ყველანი ვნანობთ, რაც მოხდა... მაგრამ ახლა მომავლისკენ უნდა ვიყუროთ. დღეიდან ახალი ერა იწყება".*

მართალს ბრძანებს დონადონი. ახალი ერა ნამდვილად იწყება, მაგრამ ვისთან ერთად? ჯერ ფედერაციის პრეზიდენტ აბეტეს მოვუსმინოთ. ჩანს, იტალიის მთავარი საფეხბურთო ჩინოსანი დონადონის გაშვებას არ გამორიცხავს: *"ბუნებრივია, ჩვენ ყველაფერზე ერთად ვიმსჯელებთ. უკვე გვქონდა საუბარი გარკვეულ საკითხებზე, ევროპის ჩემპიონატიც გავაანალიზეთ. ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც ყოველთვის ორიენტირებული უნდა იყოს მომავალსა და განვითარებაზე, საჭიროებს გარკვეულ დროს იმისთვის, რომ სიტუაცია საფუძვლიანად შეჯამდეს. არსად გვეჩქარება. რამდენიმე დღეში გვექნება დისკუსია და ვნახოთ, რა მოხდება... ესპანეთთან მარცხი კი ყველა ჩვენგანის იმედგაცრუებაა. ესეც ანალიზს ითხოვს და დღეს კონტრაქტებზე ვერ ვისაუბრებთ. შეცდომა იქნებოდა, გვეთქვა, რომ ყველაფერი დონადონის ბრალია. ცხადია, მწვრთნელს ფუნდამენტური როლი აკისრია, მაგრამ ყველა პოზიტივისა თუ ნეგატივის მის მხრებზე აკიდება არასწორია".*

### რას წერს პრესა

ამასობაში კი, იტალიური მედია უკვე მიესალმება **მარჩელო ლიპის** დაბრუნებას. დაჟინებით ამტკიცებენ, რომ რამდენიმე დღეში "სკუადრა აძურას" სწორედ "დიდი მაესტრო" ჩაიბარებს, მწვრთნელი, რომელმაც 24-წლიანი პაუზის შემდეგ იტალია კვლავ უმაღლეს საფეხბურთო კვარცხლბეკზე აიყვანა: **"იტალია, ლიპი ბრუნდება"** - ვკითხულობთ "კორიერე დელო სპორტის" პირველ გვერდზე. იგივე გამოცემა წერს: **"ესპანეთმა მოიგო იმიტომ, რომ უკეთ ითამაშა. დონადონი უნდა წავიდეს".**

"გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით კი, ლიპი პოსტზე დაბრუნდება 20 აგვისტომდე, როცა იტალია ამხანაგურ მატჩში ავსტრიას უნდა შეხვდეს. პოპულარული გამოცემა იმ თანხასაც ასახელებს, რასაც ფედერაცია დონადონის კომპენსაციის სახით გადაუხდის. საუბარია 450 ათას გირვანქაზე.

**"დონადონის ეპოქა დასრულდა კვირას, ფაბრეგასის პენალტთან ერთად,** - წერს "გაძეტას" ანალიტიკოსი **ლუიჯი გარლანდო, - ეს იყო ერთი ხაზის თუ ციკლის დასასრული ნაკრებისთვის, რომელიც ძალიან ჰგავს თავის მწვრთნელს, მთლიანობაში პატივსაცემ პერსონას, მაგრამ ძალზე მოკრძალებულს, თავისი ამბიციებისა და ხარისხის მხრივ".**

კიდევ ერთი ფრაგმენტი და კვლავ "კორიერე დელო სპორტიდან", რომელმაც დონადონი ყველაზე მკაცრად გააკრიტიკა: **"დონ, სამართლიანი იქნება, რომ წახვიდე. ესპანეთმა რაღაც უფრო მეტი აჩვენა, ვიდრე ჩვენ, იტალია კი საკუთარ თავს არ ჰგავდა"** - ამბობს "კორიერეს" მესვეტე **მარიო სკონჩერტი.**

**"იტალიამ ითამაშა ძველი "კატენაჩოს" სტილში. არა და, გვეგონა, რომ ეს სტილი ჩვენი რეპერტუარიდან საბოლოოდ გამქრალი იყო. ყველამ ნახა, რაოდენ საშინელ ფორმაშია ლუკა ტონი. დონადონი კი გაჯიუტდა, ტონის ცოცხალი თავით არ ცვლიდა და ის მალე გაიღებს ამის საფასურს"** - ეს კი **ალბერტო კოსტას** სიტყვები გახლავთ.

დავუბრუნდეთ ლიპის. პრესა უკვე მის ასისტენტებს ასახელებს - **ჩირო ფერარა** და მეკარების მწვრთნელი **ანჯელო პერუცი.** მარჩელო მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ უმუშევარია და ერთმანეთის მიყოლებით, მეტად საეჭვოდ, უარს ამბობს სარფიან შეთავაზებებზე - როგორც ამბობენ, ნაკრებში დაბრუნების მოტივით. როცა ამ თემაზე დაუსვეს კითხვა, ლიპიმ არაორაზროვნად უპასუხა: "არასოდეს თქვა - "არასოდეს"! ეს იყო ჰოლანდიასთან მატჩის შემდეგ.

ვისთან ერთად მოუწევს ლიპის მუშაობა? ვარაუდობენ, რომ **ჯენარო გატუზო, მასიმო ამბროზინი, ფაბიო კანავარო** და **მარკო მატერაცი** სანაკრებო კარიერას დაასრულებენ. მაგრამ ეს თუ მხოლოდ ვარაუდია, რაც რეალობასთან ნამდვილად ახლოსაა, **ალესანდრო დელ პიერომ** თავად განაცხადა, "აძურადან" წასვლის შესაძლებლობას სერიოზულად განიხილავს. ხოლო ახალ სახეებს რაც შეეხებათ, ლიპის მათი მოძებნა ნამდვილად არ გაუჭირდება. არჩევანი დიდია...

# ფინალს როზეტი გაუძღვება

## ნახევარფინალები შვეიცარიელ მასიმო ბუსაკასა და ბელგიელ ფრანკ დე ბლეეკერს ერგოთ



ფინალისა და ნახევარფინალების მსაჯები ფრანკ დე ბლეეკერი, რობერტო როზეტი და მასიმო ბუსაკა

ევროპის ჩემპიონატის ფინალს იტალიელი მსაჯი **რობერტო როზეტი** გაუძღვება. სათადარიგო არბიტრი შვედი **პეტერ ფროიდფელდტი** იქნება. უეფამ ეს ინფორმაცია გუშინ გაავრცელა. 40 წლის როზეტი საავადმყოფოს მთავარი ექიმია. 2002 წელს ის ფიფას რეფერი გახდა და მას შემდეგ არც ერთი მნიშვნელოვანი საკლუბო და სანაკრებო ტურნირი არ გამოუტოვებია.

როზეტიმ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხი შეხვედრა იმსაჯა. ევროპის მიმდინარე პირველობაზე ორი - ჩემპიონატის გახსნის მატჩი შვეიცარიისა და ჩეხეთის ნაკრებებს შორის, აგრეთვე ხორვატიისა და თურქეთის მეოთხედფინალი.

ხორვატები მისი მუშაობით უკმაყოფილონი დარჩნენ. მათი აზრით, როზეტის თამაში მაშინ უნდა დაემთავრებინა, როდესაც **ივან კლასნიჩმა** ანგარიში გახსნა. ეს დამატებული დროის ბოლო წუთზე მოხდა. იტალიელმა მსაჯმა თამაშს ორი წუთი დაამატა. თურქებმა წონასწორობა აღადგინეს და პენალტების სერიაში გაიმარჯვეს კიდეც.

ხორვატებს იტალიელის კიდევ ერთი გადაწყვეტილება არ მოეწონათ. კლასნიჩის გოლისას, **სლავენ ბილიჩს** ფეხბურთელის შეცვლა სურდა, რათა ამ გზით ძვირფასი დრო მოეგო. როზეტიმ შეცვლის ნებართვა არ მისცა. **სემიჰ სენთურქმა** სწორედ ამ დროს გაიტანა საპასუხო გოლი.

უცნაური ისაა, რომ როდესაც როზეტი ხორვატია-თურქეთის მსაჯად დანიშნეს, ხორვატებმა სიხარული ვერ დამალეს. სინიორ რობერტოს დედა მათი თანამემამულეა. ზაგრებულ გაზეთებში ასეთ სათაურებსაც კი ნახავდით - იქნება როზეტი ჩვენი მე-12 ფეხბურთელი?

აქვე გეტყვით, რომ ოთხშაბათს, გერმანია-თურქეთის ნახევარფინალს, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ბაზელში გაიმართება, შვეიცარიელი **მასიმო ბუსაკა** გაუძღვება, ხოლო ხუთშაბათს, ვენაში, ესპანეთი-რუსეთის მეორე ნახევარფინალს ბელგიელი **ფრანკ დე ბლეეკერი** იმსაჯებს.

რუსეთი

# ჰიდინკმა ბისტროვი დაითხოვა

რუსეთის ნაკრებში სკანდალია. **გუუს ჰიდინკმა** გუნდიდან დაითხოვა "სპარტაკის" თავდამსხმელი **ვლადიმირ ბისტროვი.** რუსული სააგენტოების ცნობით, უთანხმოება ესპანეთთან პირველი მატჩისას დაიწყო. ჰიდინკმა ფეხბურთელი მეორე ტაიმში შემოიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ბისტროვი ფორვარდია, მას უშუალო მოვალეობების გარდა, დაცვაში აქტიური თამაში დაავალეს.

ბისტროვი დაცვაში თამაშს მიჩვეული არ არის. ამიტომ მწვრთნელის არა ერთი გაფრთხილების მიუხედავად, მას უკან ჩასვლა და მცველების დამარება არ იკადრა. **დავიდ ვილიას** კი ამასობაში, ერთი მეორის მიყოლებით გაჰქონდა გოლები. ჰიდინკმა ბისტროვი შეცვალა. ამ უკანასკნელმა მინდორზე მხოლოდ 20 წუთი გაატარა. მოედნიდან გასვლისას ჰიდინკს ხელები ზურგს უკან ეწყო. მან შეგირდს დემონსტრაციულად არ ჩამოართვა ხელი.

თამაშის შემდეგ, გასახდელში, ფეხბურთელმა მწვრთნელს ახსნა-განმარტებები მოსთხოვა. მერე თანაგუნდელებს არ დაელოდა, ჩანთას ხელი დაავლო და ავტობუსისაკენ გაემართა. ჰიდინკს ბისტროვის საქმისადმი დამოკიდებულება არც შემდგომ დღეებში მოსწონდა. ჰოლანდიასთან მატჩის წინ მწვრთნელმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. მან ბისტროვი განაცხადიდან ამოშალა. ეს ინფორმაცია საზოგადოებამ მხოლოდ გუშინ შეიტყო. ჰიდინკს მომხდართან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. კონფლიქტის შესახებ არც რუსეთის საფეხბურთო კავშირის მალალჩინოსნებს უთქვამთ რამე.



# EURO 2008

ინტერვიუ ლუკას პოდოლსკისთან

# ბაიერნი აღარ მენდობა და ალბათ, აღარც ვჭირდები

## პოლდი კიოლნში დაბრუნებასაც აღარ გამორიცხავს. გადაწყვეტილება ევროპის ჩემპიონატის შემდეგ


ლუკას პოდოლსკი ბაიერნიდან წასვლაზე ფიქრობს

**ლუკას პოდოლსკი** ოპტიმისტურადაა განწყობილი და პორტუგალიის დამარცხების შემდეგ სჯერა, რომ გერმანიას არა მარტო ფინალში გასვლა, არამედ ევროპის ჩემპიონობაც შეუძლია. პოლდი პარალელურად თავის მომავალზეც ფიქრობს. რაკი გასულ სეზონში "ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებდნენ, ლუკასი რეკორდმაისტერიდან აბარგებაზე სერიოზულად ფიქრობს. პოდოლსკი არც იმას გამორიცხავს, რომ მიუნხენიდან კიოლნში დაბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მას დიდი ხანია, ყელში ამოუვიდა. ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ "ბაიერნი" მარიო გომესის გადაბირებისთვის იბრძვის. ეს კი მართლაც იმის ნიშანია, რომ პოლდი მიუნხენში არავის სჭირდება...

**- პერ პოდოლსკი, ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ხართ. ტრადიცია არ დარღვეულა - მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ რთული სეზონი გქონდათ, ნაკრებში ძველებურად კარგად ასპარეზობთ. კონტინენტის პირველობის დაწყებამდე განაცხადეთ, რომ ტურნირის დასრულების შემდეგ საკუთარ მომავალზე სერიოზულად დაფიქრდებოდით...**

- ევროპის ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მომავალზე უკვე სერიოზულად ვფიქრობ. თავის დროზე ბედნიერი გახლდით იმით, რომ "ბაიერნში" გადმოვედი, მაგრამ გასულ სეზონში აშკარად გამოჩნდა, რომ აღარ მენდობოდნენ. შესაბამისად, არცაა გასაკვირი, რომ ვფიქრობ, ალბათ, რეკორდმაისტერში აღარავის ვჭირდები-მეთქი. ნდობა დღემდე ვერ ვიგრძენი.

**- რატომ გგონიათ, რომ "ბაიერნში" არავის აღარ ჭირდებით?**

- გუნდი ახალ თავდამსხმელებს ეძებს. რა უნდა ვიფიქრო?

**- თქვენ ალბათ, იმას გულისხმობთ, რომ "ბაიერნი" შტუტგარტელი მარიო გომესით დაინტერესდა და მზადაა, საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადოს. ეს ინფორმაცია კარლ-ჰაინც რუმენიგემ ოფიციალურად დაადასტურა...**

- კონკრეტულ გვარებს არ დავასახელებ.

**- გულახდილად გვითხარით, "ბაიერნში" უბედური ხართ?**

- მოდით, ამ თემას ძალიან ნუ განვავრცობთ. ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს და რომ დასრულდება, მერე უფრო კონკრეტულად ვისაუბრებ.

**- უკვე არაერთი მსურველი გამოგიჩნდათ, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი...**

- ცხადია, არის გარკვეული შემოთავაზებები.

**- უმეტესობა უცხოეთიდან, არა?**

- არ დავკონკრეტდები.

**- როგორც გაირკვა, ბუნდესლიგაში დაბრუნებული "კიოლნის" ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ "თხებში" დაბრუნდეთ. რამდენად რეალურია ეს ვარიანტი?**

- შეუძლებელი არაფერია. "ბაიერნთან" კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ ყველამ იცის, რასაც ნიშნავს ჩემთვის "კიოლნი". ეს ჩემი მშობლიური კლუბია, სადაც, დარწმუნებული ვარ, რომ თავს ყოველთვის იდეალურად ვიგრძნობ.

**- "კიოლნიდან" "ბაიერნში" და მერე ისევ "კიოლნში" - არ ფიქრობთ, რომ ეს უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება?**

- მთავარი ის არის, რომ ფეხბურთელმა გუნდში თავი კარგად იგრძნოს. როცა ნაბიჯის უკან გადადგმაა საჭირო, ასეც უნდა მოიქცე.

**- მაგრამ ისიც ფაქტია, რომ "კიოლნში" ტიტულებს ვერ მოიგებთ, "ბაიერნში" კი ტიტულები ფაქტობრივად, გარანტირებული გაქვთ...**

- რამდენიმე ტიტული უკვე მოვიგე და სიმართლე გითხრათ, აღარ მაინტერესებს, კიდევ რამდენს მოვიგებ. ერთ რამეს მივხვდი: ფეხბურთელისთვის უმთავრესი სათამაშო პრაქტიკაა. თუ არ თამაშობ, ტიტულები რად გინდა? ფეხბურთელი იმიტომ გავხდი, რომ ფეხბურთი ვითამაშო და არა იმიტომ, რომ მედლები დავაგროვო. იმ ასაკში აღარ ვარ, რომ ჩემთვის სათადარიგოთა სკამზე ჯდომაც ბედნიერება იყოს.

**- მიუხედავად ყველაფრისა, "ბაიერნიდან" რომ წახვიდეთ, ყველა იტყვის, პოლდიმ მიუნხენში ვერ გაქაჩაო...**

- არ ვიცი, ვინ რას იტყვის, ერთი რამ კი ფაქტია - ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩემს შესაძლებლობებს ეროვნულ ნაკრებში ვამტკიცებდი და თანაც რეგულარულად. აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის იარსებებს. აი, თუნდაც თქვენ, გაიარეთ ქალაქში და ჰკითხეთ გამვლელებს, მოსწონთ თუ არა თქვენი გაზეთი. ზოგი იტყვის, რომ ძალიან მოსწონს, ზოგიც პირიქით. აუცილებელი არ არის, რომ ყველა ერთ აზრზე იყოს.

**- მოდით, კონკრეტულ კითხვას დაგისვამთ და იმედი მაქვს, კონკრეტულ პასუხს მივიღებ: წავა თუ არა ლუკას პოდოლსკი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ბაიერნიდან?**

- ამაზე უფრო კონკრეტული პასუხის გაცემის სურვილი არ მაქვს: დაველოდოთ ევრო 2008-ის დასრულებას.

**- და როდის დასრულდება თქვენთვის ევროპის ჩემპიონატი?**

- ფინალის შემდეგ.

**- დარწმუნებული ხართ, რომ გერმანია ფინალში ითამაშებს?**

- თუკი თურქეთთანაც ისეთი თავდაჯერებულები და დისციპლინირებულები ვიქნებით, როგორც პორტუგალიასთან, ფინალშიც გავალთ და ევროპის ჩემპიონებიც გავხდებით. ცხადია, უნდა გაგვიმართლოს კიდეც.

**გოტფრიდ ლენცი**

## რუმენიგე პოდოლსკის გაუჯავრდა

### კლინსმანს ლუკასის გაშვება არ უნდა

**პოდოლსკიმ** სხვა გერმანულ გამოცემებს დაუდასტურა, რომ ტურინის "იუვენტუსიდან" და "ტოტენჰემიდან" აქვს შეთავაზებები. ამასობაში, პოლდის განცხადებებმა "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ალაშფოთა. *"დიახ, ჩვენ თავდამსხმელს ვეძებთ და ამაში გასაკვირი არაფერია. მიზეზი თვითონ პოდოლსკია, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე განაცხადა, დიდი შანსია, რომ კონტინენტის პირველობის შემდეგ რეკორდმაისტერი დავტოვოო. ჩვენც სხვა გზა არ გვაქვს, თუ წავა, მის ტრანსფერს მომზადებულები უნდა შევხვდეთ, ამიტომაც დავინტერესდით მარიო გომესით,"* - განაცხადა რუმენიგემ "ველტისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

სამაგიეროდ, ლუკასის მხარეს დადგა გერმანიის ნაკრების მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი**, რომელმაც ფეხბურთელი დაიცვა. *"ორი წელიწადია, რაც პოდოლსკი "ბაიერნში" თავს არც ისე კარგად გრძნობს და ეს პირველი შემთხვევაა, როცა ხმა აიმაღლა. პირადად მე მას ყველაფერში ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ სწორად იქცევა,"* - თქვა ბირჰოფმა.

ამასობაში, "ბილდი" ავრცელებს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, "ბაიერნის" მომავალი მწვრთნელი **იურგენ კლინსმანი** პოდოლსკის გაშვების კატეგორიული წინააღმდეგია. ლუკასი ამბობს, კლინსი რეგულარულად ტექსტურ შეტყობინებებს მიგზავნის, კარგ თამაშს მილოცავს, წარმატებებს მისურვებს და მოკლედ, ყოველთვის მეკონტაქტებაო. "კიოლნი" კი მზად არის, ორი წლის წინათ დაკარგული შვილი დაიბრუნოს. "თხების" პრეზიდენტ **ვოლფგანგ ოვერატის** თქმით, "კიოლნს" აქვს იმის საშუალება, რომ პოლდის დიდი ხელფასი გადაუხადოს. *"თუ საუბრებს დავიწყებთ, მხოლოდ არენდის შესახებ და თუკი ბავარიელები პოდოლსკის განათხოვრებაზე თანახმანი არიან, მათ სიამოვნებით გავესაუბრები. მაგრამ სიმართლე გითხრათ, ლუკასი ევროპის ჩემპიონატზე იმდენად კარგად თამაშობს, რომ არა მგონია, მიუნხენელებმა გაუშვან,"* - აცხადებს ოვერატი.

ხორვატია

# ბილიჩი: ამ გუნდს დიდი მომავალი აქვს!

## ნიკო კოვაჩი წავიდა, შიმუნიჩი ნაკრებში რჩება

**თურქეთის** ნაკრებთან ნაგებული დრამატული შეხვედრის შემდეგ, ხორვატიის ნაკრებში გარკვეული საკადრო ცვლილებები იქნება. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გუნდის კაპიტანმა **ნიკო კოვაჩმა** გადადგა. "ზალცბურგის" ფეხბურთელმა ჟურნალისტებს ამცნო, რომ მისი სანაკრებო კარიერა დასრულებულია. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთივე ნაბიჯს გადადგამდა **იოზიპ შიმუნიჩიც**, მაგრამ ამ უკანასკნელმა ეროვნულ გუნდში დარჩენა გადაწყვიტა.

*"მწვრთნელთან ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ გადაწყვეტილება მიღებული მაქვს და თუ სასწაული არ მოხდა, აღარ შევცვლი. ვფიქრობ, სანაკრებო კარიერის დასრულების დრო მოვიდა,"* - განაცხადა კოვაჩმა თურქეთთან მარცხის შემდეგ და იქვე დასძინა, - *"გადაწყვეტილება დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მივიღე. ასე ნამდვილად არ მოვქცეულვარ იმის გამო, რომ თურქეთთან წავაგეთ და იმედგაცრუებული ვარ. ფსიქოლოგიური სტრესი იმდენად დიდია, რომ უმჯობესია, წავიდე. თანაც, დროა, ახალგაზრდებს მიეცეს შანსი."*


სლავენ ბილიჩი თურქეთთან მარცხის შემდეგ, პოსტის დატოვებაზე ფიქრობდა

ხორვატიის ნაკრები შინ შაბათს ნაშუადღევს გაემგზავრა. **სლავენ ბილიჩის** გუნდმა კონტინენტის პირველობა სასურველზე 9 დღით ადრე დატოვა. *"ბოლო წუთზე გაშვებულმა გოლმა ყველანი შოკში ჩაგვაგდო. ასეთ რამეს მტერსაც ვერ ვუსურვებ. თამაში მოგებული გვეგონა, სათადარიგოთა სკამზე უკვე ზეიმი იყო დაწყებული. არც მიკვირს, თერთმეტმეტრიანების სერიაშიც რომ დავმარცხდით. პენალტებს დაღდასმულები და განადგურებულები ვურტყამდით,"* - აღნიშნა **ლუკა მოდრიჩმა**, რომელიც ხორვატიის ნაკრების ნათელი წერტილი გახლდათ. პენალტის გატანა მანაც ვერ შეძლო, ისევე, როგორც **ივან რაკიტიჩმა** და **მლადენ პეტრიჩმა**.

*"ეს მატჩი და ასეთი მტკივნეული მარცხი ცხოვრების ბოლომდე გამყვება,"* - ეს კი ბილიჩის სიტყვებია. ევროპის ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი დარწმუნებული გახლდათ, რომ ხორვატიის ნაკრები ევრო 2008-ზე უფრო სერიოზულ წარმატებას მიაღწევდა, ვიდრე 1998 წლის მუნდიალზე, რომელიც ხორვატული ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა.

მართალია, ხორვატიამ ტურნირზე ძირითად დროში არცერთი მატჩი არ წააგო, მაგრამ "თურქული სასწაულის" შემდეგ, ბილიჩი თავს ძალიან ცუდად გრძნობდა: *"ერთის მხრივ ეს ძალიან მაგარი რამეა - ფეხბურთი სწორედ ასეთი შემთხვევების გამო გვიყვარს. მაგრამ მეორესმხრივ, ეს ტკივილი არასდროს დამავიწყდება."* ბილიჩი არ მალავს, რომ მარცხის შემდეგ, სერიოზულად დაფიქრდა არა მარტო პოსტის დატოვებაზე, არამედ საერთოდ, სამწვრთნელო კარიერის ნაადრევად დასრულებაზე, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ამაზე ფიქრი აბსოლუტური სისულელე იყო. *"წინ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლია და დამიჯერეთ, ხორვატია აუცილებლად დაბრუნდება. ამ გუნდს უდიდესი მომავალი აქვს!"* - აცხადებს ბილიჩი.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

EURO 2008

ესპანეთი-იტალიის გამოხმაურება. 24 წლის შემდეგ...

# კასილიასი ესპანეთის ეროვნული გმირია

ესპანეთისა და იტალიის ნაკრებების დაპირისპირებამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. აჟიოტაჟმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ესპანეთში ამ თამაშს 15 372 000 გულშემატკივარმა უყურა. როგორც გაირკვა, ეს ყველა დროის საუკეთესო რეკორდია. ესპანური ტელევიზიების ისტორიაში ამდენი მაყურებელი არც ერთ ტრანსლაციას არ ჰყოლია. საგანგებო გამოკვლევით დადგინდა, რომ მაყურებელთა მაქსიმალურმა რაოდენობამ ტელეეკრანებთან მაშინ მოიყარა თავი, როცა **სესკ ფაბრეგასი** გადამწყვეტი პენალტის დარტყმისთვის ემზადებოდა.

ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს, რომ მთელი ესპანეთი "სელექსიონის" ცხოვრებით ცხოვრობდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ესპანეთის ნაკრებს 1984 წლის შემდეგ მეოთხედფინალური დაბრკოლება გადალახული არ ჰქონდა. იტალიასთან მატჩში პირენეელები უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ძველი ტრადიციიდან გამომდინარე, გაჩნდა ეჭვი, რომ **ლუის არაგონესის** ბიჭებს არ გაუმართლებდათ და ნახევარფინალს მიღმა აღმოჩნდებოდნენ. ამ განწყობაზე თავად ესპანელი ჟურნალისტები წერდნენ. მაგალითად, "დიარიო მარკას" კორესპონდენტი **ხუან ხოსე ანო** მიმოხილვის დასაწყისში ასეთ რამეს ამბობდა: *"სათაური უკვე გამზადებული მქონდა - მორიგი უბედურება. პესიმისტი არ ვარ, უბრალოდ, იმ წამს მთელი ისტორია გამახსენდა. ჩვენ ხომ ყოველთვის დიდი იმედით ვიწყებდით, კარგ შთაბეჭდილებასაც ვტოვებდით, მაგრამ მუდამ რაღაც გვაკლდა ხოლმე. გავიხსენოთ 1986 წლის მუნდიალი. მექსიკაში არაჩვეულებრივი გუნდი გვყავდა, მაგრამ სახლში ნაადრევად დავბრუნდით. იგივე მოხდა 1986 წლის ევროპის პირველობაზეც. "სელექსიონმა" მასპინძელ ინგლისთან ღირსეულად ითამაშა. გულშემატკივრებს ულამაზესი ფეხბურთით დაამახსოვრა თავი, მაგრამ ბრძოლა მაშინაც ნაადრევად შევწყვიტეთ. ბოლო მწარე გამოცდილება 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატით თარიღდება. კვლავ არაჩვეულებრივი გუნდი და კვლავ სასოწარკვეთილება. ხსენებული სათაური ამიტომაც მქონდა გამზადებული, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა ისტორია შეცვალეს."*

ნანატრ გამარჯვებას, რა თქმა უნდა, კონკრეტული გმირები ჰყავდა. მოუსვენარი **დავიდ ვილია** იტალიელ მცველებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. აქტიური იყო **ფერნანდო ტორესიც**. **მარკოს სენა** ნახევარდაცვის ბურჯი გახლდათ, მაგრამ განგებამ ისე ინება, რომ უპრინციპულესი მეოთხედფინალის უპირველესი გმირი **იკერ კასილიასი** გახდა. კასილიასმა ოქროს ხელთათმანისთვის დუელი მოიგო. მან გენიალურ **ჯიჯი ბუფონს** აჯობა. ამაზე დიდი ჯილდო მსოფლიოს საუკეთესო მეკარის პრეტენზიის მქონე ადამინისთვის არ შეიძლება არსებობდეს.

ესპანელებს ოდნავ მეტად რომ გამართლებოდათ, საქმეს 11-მეტრიანების სერიამდე საერთოდ არ მიიყვანდნენ, მაგრამ იტალია დაცვაში ისე ჩაიკეტა, "სელექსიონის" სუპერფორვარდებმა ბუფონის კარს გასალები ვერ მოუნახეს. აქვე პირენეელთა გუნდში არსებულ ხარვეზებზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ჩავი ერნანდესმა** და **ანდრეს ინიესტამ** თამაში ჩააგდეს. თითოოროლა გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, ვილია და ტორესი გამოზომილ პასებს ვერ იღებდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, "სელექსიონმა" ნანატრ წარმატებას მაინც მიაღწია. ლუის არაგონესსა და მის ბიჭებს ახლა რუსული გამოცდა ელით. არაგონესმა **ჰიდინკი** ერთხელ უკვე გააცამტვერა. ვნახოთ, რას მოიტანს მორიგი დუელი.



არაგონესის პრესკონფერენცია:

## რუსები მაინც ვერ მოგვერევიან

ცხელ გულზე გაკეთებული განცხადებები ობიექტურობის განსახიერებად ძნელად თუ შეიძლება მივიჩნიოთ. ესპანელი ჟურნალისტები გამარჯვებასთან დაკავშირებულ ემოციებს კარგად აცნობიერებდნენ და თვლიდნენ, რომ პროფესიული ანალიზისა და შეფასებისთვის არაგონესთან მეორე დღეს დალაპარაკება იყო საჭირო. ტრიუმფალური გამარჯვების შემოქმედი კორესპონდენტებს, რა თქმა უნდა, არ დაზარდა და ხანგრძლივი პრესკონფერენცია გამართა. თქვენს სამსჯავროზე მისი საუბრის ყველაზე საინტერესო დეტალებს გამოვიტანთ. თავდაპირველად სენიორ ლუისს ესპანეთის სამეფო ოჯახის სტუმრობაზე ჰკითხეს. საქმე ის არის, რომ ქვეყნის მონარქი მეუღლესთან ერთად თამაშის დაწყების წინ გასახდელში ჩავიდა და ფეხბურთელებს წარმატება უსურვა. **ხუან კარლოს II** გასახდელს თამაშის შემდეგაც ესტუმრა. არაგონესი ამ ყველაფერს ასე იხსენებს: *"მეფე ჩვენი ქვეყნის სიმბოლოა და მისმა სიტყვებმა ჩვენზე კარგად იმოქმედა. მისმა უდიდებულესობამ საბრძოლო სულისკვეთებით დაგვმუხტა. პენალტების სერიაში გამარჯვების შემდეგ ხუან კარლოს II გასახდელში კიდევ ჩამოვიდა და გამარჯვება მოგვილოცა. ის პატარა ბავშვივით გახარებული იყო. ყველა ერთმანეთს ვეხუტებოდით და ვულოცავდით."*

როგორც მოგახსენეთ, ესპანეთის ნაკრებმა მოჯადოებული წრე გაარღვია და მეოთხედფინალური დაბრკოლება 24-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად გადალახა. წესით, ლუის არაგონესი ახლა ამ წარმატებით უნდა ტკბებოდეს, მაგრამ ის პროფესიონალია და მოახლოებულ ნახევარფინალზე ფიქრობს: *"რა თქმა უნდა, მიხარია, რომ 1984 წლის შემდეგ ნახევარფინალში პირველად გავედით, მაგრამ ეიფორია გასახდელში დავტოვე. ახლა ახალი ამოცანის წინაშე ვდგავართ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ფინალში გავიდეთ. შევეცდები, ბიჭებიც დავამშვიდო. ნებისმიერი პროფესიონალი დამეთანხმება, რომ ამ საქმეში ეიფორია დამღუპველი სენია. მუშაობას გავაგრძელებთ, ინტენსიურად ვივარჯიშებთ და იტალიასთან მატჩში წარმოჩენილ ხარვეზებს გამოვასწორებთ."*

არაგონესს საკუთარი შეგირდების შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება და დარწმუნებულია, რომ "სელექსიონი" ფინალში გავა: *"ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ტურნირის დასაწყისში დავამტკიცეთ, რომ რუსეთის ნაკრებზე ძლიერები ვართ, მაგრამ ყურადღებით თუ არ ვიქნებით, შესაძლოა, დავისაჯოთ. სიმართლე გითხრათ, გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარება. რუსებმა ჰოლანდიის გამოგდებით სენსაცია მოახდინეს, მაგრამ ჩვენ ველარ მოგვერევიან. მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად ისინი გაცილებით უკეთ ითამაშებენ. არშავინი ძალიან მომწონს. მართლა არაჩვეულებრივი ბიჭია, მაგრამ მე ფერნანდო ტორესი და დავიდ ვილია მყავს, არშავინი რომელ ერთს შეედრება?! მოკლედ, ყველა პირობა გვაქვს იმისთვის, რომ ფინალში გავიდეთ. მთავარია, კონცენტრაცია არ დავკარგოთ და მეტოქე საკადრისად დავაფასოთ. გულშემატკივრებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. მერწმუნეთ, ყველაფერი კარგად იქნება."*

ბოლოს, სენიორ ლუისს მეოთხედფინალის მონაწილე გუნდების თამაშის შეფასება თხოვეს: *"მატჩის შემდეგაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ საუკეთესო შეხვედრა არ ჩაგვიტარებია, თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, იტალიას ორი თავით მაინც ვაჯობეთ. მთავარია, ამჯერად გაგვიმართლა და ნახევარფინალში გავედით. გვარებს არ დაგისახელებთ, თუმცა რამდენიმე შეგირდის თამაშით უკმაყოფილო დავრჩი (ალბათ, ინიესტასა და ჩავის გულისხმობს). იმედია, რამდენიმედღიანი შესვენება სასიკეთოდ გამოადგებათ. ჩვენ ხარვეზების აღმოფხვრაზე ინტენსიურად ვიმუშავებთ. იტალიის თამაშს რაც შეეხება, უნდა გითხრათ, რომ "სკუადრა აძურას" ახალი სიტყვა არ უთქვამს. ისინი კვლავ დაცვით ფეხბურთს თამაშობდნენ, მაგრამ ჩვენდა სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ იტალიელ ნახევარმცველებსა და თავდამსხმელებს სახიფათო კონტრშეტევების მოწყობის საშუალება მოვუსპეთ. შესაძლოა, მათ პირლოსთან ერთად უკეთესად ეთამაშათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, "მილანის" ნახევარმცველი ბევრს ვერაფერს შეცვლიდა. ფინალში მაინც ჩვენ გავიდოდით."*

უსიამოვნო ინციდენტები:

## კასილიასის დედა სიკვდილს გადაურჩა

იკერ კასილიასი მეოთხედფინალის გმირად იქცა. "რეალის" მეკარეს ძირითადი და დამატებითი დროის განმავლობაში სამუშაო თითქმის არ ჰქონია. ოსტატობის დემონსტრირება მას მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ მოუხდა, როცა **კამორანეზის** დარტყმა აულო. აი, პენალტების სერიაში კი იკერი შეუდარებელი იყო. 11-მეტრიანებს ყოველთვის უდიდესი წნეხი და დაძაბულობა ახლავს. მაგრამ, ხომ იცით, დედის გული მაინც სულ სხვაა და მშობელი შვილის ამბებს განსაკუთრებით განიცდის. საქმე ის არის, რომ პენალტების სერიის დაწყებამდე კასილიასის დედამ ნერვიულობას ვერ გაუძლო და გონება დაკარგა. სენიორას შვილის გმირობის ნახვის საშუალება არ მიეცა. როცა ექიმებმა მისი გონს მოყვანა შეძლეს, თამაში უკვე დამთავრებული იყო და ესპანეთს ნახევარფინალის საგზური განაღდებული ჰქონდა. იკერმა დედამისის ავადმყოფობის შესახებ მოგვიანებით შეიტყო და რა თქმა უნდა, ძალიან შეწუხდა. სამეფო კლუბის გოლკიპერმა "დიარიო ასს" ასეთი რამ განუცხადა: *"დედაჩემი მეტისმეტად ემოციური ადამიანია და ყოველთვის ზედმეტად ბევრს ნერვიულობს ხოლმე. მით უმეტეს, მაშინ, როცა პრინციპულ მატჩს ვატარებ. როგორც ჩანს, დედა "სელექსიონს" ძალიან ქომაგობდა. ბუნებრივია, ყველაზე მეტად ჩემზე ნერვიულობდა. მადლობა ღმერთს, ინსულტი ან ინფარქტი არ დამართნია. ექიმების თქმით, დედაჩემს ნერვიულობით სისხლძარღვები შეუვიწროვდა და სისხლის მიმოქცევა დაერღვა. კიდევ კარგი, დროზე უშველეს, თორემ ყველაფერი ჩამშხამდებოდა. იმედია, საქმეს პენალტების სერიამდე აღარ მივიყვანთ და ნახევარფინალსა და ფინალს ძირითად დროში მოვიგებთ."*

კიდევ ერთი უსიამოვნო ინციდენტი მილანში მოხდა. ქალაქის ცენტრში გიგანტური ეკრანი იყო დამონტაჟებული, სადაც დაახლოებით 5 000 ადამიანი გახლდათ შეკრებილი. იტალიელებს შორის ესპანელთა 50-კაციანი ჯგუფიც აღმოჩნდა. პირენეელებმა გამარჯვებით, რა თქმა უნდა, ძალიან გაიხარეს და ხალხის მასაში ნამდვილი ესპანური ფიესტა წამოიწყეს. ამით განრისხებულმა მილანელებმა სტუმრები უმოწყალოდ სცემეს. თავად განსაჯეთ, რვა კაცი ცივი იარაღით დაიჭრა, ხუთს კი ბლაგვი საგნებით თავის ქალა გაუტეხეს, ექვსი ინჩასის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ექიმებს პროგნოზის გაკეთება უჭირთ.

## ევროპული პრესის გამოხმაურება

**"გაძეტა დელო სპორტი"**: ავბედითი პენალტები. თუმცა, პენალტები რა შუაშია. "აძურამ" 120 წუთი ტანჯვაში გაატარა. ესპანეთმა გაცილებით უკეთესი ფეხბურთი ითამაშა. ამიტომ დეროსისა და დინატალეს წურაფერს დავაბრალებთ. ყველაფერი გუნდის ბრალია. დონადონიმ ფეხბურთელები მაღალ დონეზე ვერ მოამზადა. 2006 წელს "სკუადრა აძურა" სულ სხვა ფეხბურთს თამაშობდა, მრავალფეროვანს, მიზანდასახულსა და ორგანიზებულს. ესპანეთთან მატჩში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ **დონადონიმ მარჩელო ლიპის** მიღწევები უკვალოდ გააქრო.

**"სტამპა"**: იტალია სახლში დამსახურებულად ბრუნდება. დიდი ამბიციის მქონე რობერტო დონადონიმ ასაკოვან ლუის არაგონესთან ტაქტიკური დუელი პირწმინდად წააგო. ესპანელები დიდი ძალებით გვიტევდნენ, მაგრამ ჩვენ არაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ თამაში მათ მოედანზე გადაგვეტანა. დონადონი სირცხვილით უნდა იწვოდეს. პირლოს დისკვალიფიკაციით თავის მართლება დემაგოგია იქნება. ჩვენ და ჩვენი მკითხველები კი დემაგოგიას არასოდეს ვილებთ. დროა, დონადონიმ სხვა სამსახური მონახოს. იტალიას იტალიური ფეხბურთი დაუბრუნეთ.

**"კორიერე დელო სპორტი"**: "არივედერჩი აძური". ისე წავაგეთ, რომ თავსაც ვერაფრით გავიმართლებთ. უიღბლობაზეც ვერ ვიწუწუნებთ. არ ვიცი, ტრაქტორიებში რაზე უნდა ვილაპარაკოთ. ამ დღეებში პასტის ჩუმად ჭამა მოგვიწევს. დამცირებულები ვართ. ესპანეთმა ყველა კომპონენტში გვაჯობა. სად დაიკარგა ჩვენი კონტრშეტევა?! დონადონი, ალბათ, წელიწადნახევრის შემდეგ მიხვდება, რომ **ლუკა ტონი** ფორმაში არ იყო და ძირითად შემადგენლობაში არაფერი ესაქმებოდა. იქნებ, ბებერ ალექსს გაეკეთებინა რამე. თუმცა, ეს უკვე ვარაუდებია.

**BBC**: გმირმა კასილიასმა ესპანეთი ნახევარფინალში გაიყვანა. რა თქმა უნდა, მისი ღვაწლი ძალიან დიდია. ორი პენალტის მოგერიება ყოველთვის განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს, მაგრამ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად მარკოს სენას მივიჩნევთ. ნატურალიზებულმა ესპანელმა ფენომენალური სამუშაო შეასრულა. მან ნახევარდაცვა დაიპყრო.

**"ა ბოლა"**: ჩვენმა ძმებმა, ესპანელებმა უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს. პორტუგალია გახარებულია და მეზობელს ფინალში გასვლას უსურვებს. რუსეთი აუცილებლად უნდა დამარცხდეს. "სელექსიონს" ამის უნარი ნამდვილად შესწევს.

**"ეკიპი"**: გმადლობ კასილიას, შენ საოცარი მეკარე ხარ. ჩვენთვის სულ ერთი იყო, ვინ გაიმარჯვებდა, ესპანეთი თუ იტალია, მაგრამ ყოველთვის გვიხარია, როცა პროფესიონალები დიდ ეპოქას ქმნიან. შენი წყალობით, ესპანეთმა "სკუადრა აძურას" 88-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად აჯობა.

**"ფიგარო"**: სანახაობრივი თვალსაზრისით, ძალიან ცუდი მეოთხედფინალი იყო. იტალიაზე არაფერს ვამბობთ. სამწუხაროდ, ესპანეთმაც ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი, თუმცა პენალტების შედეგი, რა თქმა უნდა, სამართლიანია. მთლიანობაში თუ ვიმსჯელებთ, სელექსიონმა გამარჯვებისთვის გაცილებით მეტი რამ გაიღო. ერთადერთი ადამიანი, რომელიც ასეთ ხვედრს არ იმსახურებდა, ჯანლუიჯი ბუფონი იყო. ის ნამდვილი გენიოსი და ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა.

**"გარდიანი"**: ეს რა ბიჭი გვყოლია. სესკ ფაბრეგასმა ესპანეთი გამოაცოცხლა. არაგონესს "არსენალის" ვარსკვლავი თავიდანვე რომ დაეყენებინა, საქმე პენალტებამდე არ მივიდოდა. ან თუნდაც სესკის მიერ შესრულებული 11-მეტრიანი რად ღირს. ახალგაზრდა ბიჭს ნერვიც არ შეტოკებია, აიღო, დაარტყა და გაიტანა.

**"დეილი ტელეგრაფი"**: სასიამოვნოა, რომ პრემიერლიგის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა ესპანეთის გამარჯვებაში სერიოზული წვლილი შეიტანა. ფაბრეგასმა გადამწყვეტი პენალტი გაიტანა. გარდა ამისა, შეცვლაზე შესვლის შემდეგ, უაღრესად პოზიტიური როლი შეასრულა. რა თქმა უნდა, იკერ კასილიასის ღვაწლი განსაკუთრებულია. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერები

# მაცალეთ რამდენიმე დღე

## პორტუგალიელი მეგავარსკვლავი რეალს უკვე სიზმარში ხედავს



საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **კრისტიანო რონალდოს** "რეალში" გადასვლას ბევრი აღარაფერი უკლია. ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ მრავალმილიონიანი კონტრაქტი გამზადებულია და მხოლოდ ხელის მოწერა დარჩა, თუმც "მანჩესტერ იუნაიტედი" ჯიუტობს: რონალდო არ იყიდება! - ისმის "ოლდ ტრეფორდიდან". ესპანურ "ასთან" ინტერვიუში თავად კრისტიანომაც დაადასტურა, რომ დიახაც, "რეალში" მიდის. მაგრამ ბევრიც გვინახავს, ამდენი დავიდარაბის შემდეგ არსადაც რომ არ წასულან. ვნახოთ...

კვირას, "რეალის" პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** პორტუგალიელ მეგავარსკვლავს საჯაროდ მოუწოდა, "მანჩესტერთან" მოლაპარაკებების დროს სიმტკიცე შეინარჩუნოს და არ დანებდეს. ეს უკვე ღია ბრძოლაა ორ გიგანტს შორის. საქმე ისე მიდის, ინგლისის ჩემპიონს უეფაში შეტანილი სარჩელის მოგების იმედი აღარც უნდა ჰქონდეს. აი, კალდერონის სიტყვები, რომელიც "თაიმსმა" დაბეჭდა:

*"თუ ის არჩეულ გზას არ გადაუხვევს, მისი ოცნება ნამდვილად ასრულდება. არა ერთხელ გვითქვამს, რომ პრობლემა ფეხბურთელსა და მანჩესტერულ კლუბს შორის ურთიერთობებშია და ჩვენ ამაში არ ვერევით. თუ ისინი მოაგვარებენ ამ პრობლემას და ინგლისელები დაგვიკავშირდებიან, მოლაპარაკებებს დაუყოვნებლივ დავიწყებთ".*

სამეფო კლუბის მწვრთნელმა **ბერნდ შუსტერმა** განაცხადა, რომ რონალდოს მოუთმენლად ელის: *"მომავალ სეზონში ჩვენი მთავარი ამოცანა ჩემპიონთა ლიგის მოგება იქნება. ამისთვის, "რეალს" ისეთი მაღალი დონის მოთამაშეები სჭირდება, როგორიც კრისტიანო რონალდოა. მე ვიცი, რომ კლუბი მზადაა, მასში ასტრონომიული თანხა გადაიხადოს. სიტუაცია, რომელშიც რონალდო აღმოჩნდა, სრულიად ბუნებრივია. მესმის "მანჩესტერის" მწვრთნელისაც. მის ადგილზე, არავინ დათანხმდებოდა, კონკურენტ კლუბში თავისი საუკეთესო მოთამაშის გაშვებას".*

ლეგენდარული **ზინედინ ზიდანიც** ამ ტრანსფერის გულშემატკივარია. ის ურჩევს რონალდოს, არჩევანი "რეალის" სასარგებლოდ გააკეთოს: *"მადრიდული კლუბი ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს, გამორჩეული მოთამაშეები მიიწვიოს. თუ "რეალს" სურვილი გაუჩნდა, ის ამ სურვილს აისრულებს კიდეც. კრისტიანოსთან დაკავშირებით, სიტუაცია მარტივი არ არის. მაგრამ ხომ ხედავთ, სამეფო კლუბი მზადაა, რონალდოში ნებისმიერი თანხა გაიღოს. სხვა რა შემიძლია ვთქვა? პორტუგალიელ ვარსკვლავს მოვუწოდებ, ერთი წუთით არ დაფიქრდეს. თუ ტრანსფერი განხორციელდა, ეს იქნება გაცილებით ძვირადღირებული გარიგება, ვიდრე ჩემს შემთხვევაში იყო".*

შეგახსენებთ, რომ თავის დროზე "რეალმა" ზიდანში 46 მილიონი გირვანქა გადაიხადა. რონალდოს მოსალოდნელ მადრიდულ ტრანსფერზე კომენტარი მისმა აწ უკვე ყოფილმა მწვრთნელმა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმაც** გააკეთა: *"მე მგონი, ყველა უნდა მიხვდეს, რომ იმ ჭორების გამო, რასაც ყვითელი პრესა რონალდოს გარშემო თხზავს, ის უფრო და უფრო ძლიერდება. სიმართლე თუ გნებავთ, კრისტიანოს დარი მორალურად ძლიერი ადამიანი ჯერ არ შემხვედრია. "რეალში" თამაშზე ის ბავშვობიდანვე ოცნებობდა. და მე დარწმუნებული ვარ, რონალდო აისრულებს ამ ოცნებას, მიუხედავად ყველანაირი სიძნელისა".*

ინტერვიუ კრისტიანო რონალდოსთან

### ფერგის არ დაურეკავს და მასთან სათქმელიც არაფერი მაქვს

**- კრისტიანო, უკვე გაარკვიეთ საკუთარი მომავალი?**

- ევრო 2008 ჩემთვის უკვე დასრულდა. ცოტა ამოვისუნთქე და დროა, საკლუბო საქმეებსაც მივხედო. ამ თემაზე "იუნაიტედს" მალე დაველაპარაკები და იმედია, ყველაფერს გავარკვევთ.

**- როგორია თქვენი უახლოესი გეგმები?**

- პირველ რიგში ოპერაცია. ფეხზე რაღაც პრობლემები მაქვს და ევროპის ჩემპიონატის დროს ამანაც შემიშალა ხელი. ვცდილობდი, ტკივილებისთვის ყურადღება არ მიმექცია, მაგრამ ასე ველარ გაგრძელდება.

**- "რეალთან" დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მიიღეთ?**

- ყველამ იცის ჩემი პოზიცია და არ ვაპირებ, მეასედ გავიმეორო: მოითმინეთ კიდევ რამდენიმე დღე და ყველაფერს გაიგებთ. ვფიქრობ, ახლო მომავალში ვითარებას ნათელი მოეფინება. სწორად გამიგეთ, ამ სიტუაციაში ჩემი სურვილი ბევრს არაფერს წყვეტს. როცა მეტის თქმა შემეძლება, აუცილებლად ვიტყვი, არაფერს დაგიმალავთ.

**- ვის უნდა დაელაპარაკოთ ამის თაობაზე?**

- ჯერ არ ვიცი. მაგრამ, ვინც არ უნდა იყოს, ვიტყვი იმას, რასაც ვფიქრობ და რაც მინდა.

**- ეს არ მოეწონება სერ ალექსს...**

- მე ჩემი აზრი მაქვს და გაბრაზდება თუ არა ფერგიუსონი, დიდად არ მაღელვებს. ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტილება მე უნდა მივიღო. ჩემი აზრი უცვლელი დარჩება.

**- როდის მიიღეთ წასვლის გადაწყვეტილება?**

- დიდი ხანი არ არის... ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ. ამ თემაზე მაშინ სპეციალურად არაფერს ვამბობდი, რადგან წინ უმნიშვნელოვანესი თამაში მელოდა. მთლიანად ფინალზე უნდა ვყოფილიყავი კონცენტრირებული. ამავე მიზეზით, ჩემს მომავალზე არაფერი მითქვამს ევროპის ჩემპიონატის დროსაც. მაგრამ რაკი ესეც დასრულდა, ტაბუ უნდა მოიხსნას.

**- ფიქრობთ, რომ გაგიშვებენ მანჩესტერიდან?**

- ძნელი სათქმელია. კიდევ გეუბნებით, ყველაფერი მხოლოდ ჩემზე არ იქნება დამოკიდებული. მაგრამ ერთ რამეში კი დარწმუნებული ვარ, რომ ამ ტრანსფერით ყველა მხარე მოგებული დარჩება.

**- "რეალში" გადასვლა თქვენთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება?**

- რა თქმა უნდა! ეს მხოლოდ წინ გადადგმული ნაბიჯი კი არა, სიზმარია. როგორც სკოლარიმ თქვა, ასეთი შეთავაზება ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შეიძლება მიიღო. თავადაც ამიტომ დათანხმდა "ჩელსიში" მუშაობაზე.

**- რა ფორმით გვამცნობთ კვანძის გახსნას?**

- ჩვეულებრივ, ოფიციალური განცხადება იქნება. იმედი მაქვს, ამ ოცნების ასრულებას წინ ვერავინ დაუდგება.

**- მართალია, თითქოს ბოლო დღეებში ფერგიუსონი ხშირად გირეკავდათ?**

- არა, არ არის მართალი. მე პირადად, მისთვის სათქმელი არაფერი მაქვს.

ბლექბერნი

# ინსი სამი წლით

## სერ ალექსის მეოთხე შეგირდი პრემიერლიგაში


პოლ ინსი

"ბლექბერნის" მთავარ მწვრთნელად **პოლ ინსი** დაინიშნა. 40 წლის სპეციალისტმა სამწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. მან გასული სეზონი მილტონ კეინესის "დონსში" გაატარა. პირველსავე წელს, ინსის შეგირდებმა მესამე დივიზიონის საგზური მოიპოვეს. პოლმა სამწვრთნელო კარიერა ორი წლის წინ, "მაკლსფილდ თაუნში" დაიწყო. მისი "ბლექბერნში" დანიშვნა წინ გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯია.

ინსს პროფესიონალი მწვრთნელის ლიცენზია არ აქვს. პრემიერლიგის კანონმდებლობით, უმაღლეს დივიზიონში დასაქმებულ ნებისმიერ სპეციალისტს ამგვარი ლიცენზია უნდა გააჩნდეს. პრემიერლიგამ ინსის შემთხვევაში, გამონაკლისი დაუშვა, ისევე, როგორც თავის დროზე **გარეთ საუთგეიტისა და ავრამ გრანტის** შემთხვევაში. ინსს ორი წელი მიეცა, იმისათვის, რომ საჭირო ლიცენზია აიღოს.

პოლმა ინგლისის ნაკრებში 53 მატჩი ჩაატარა. ის მეოთხე წევრია "მანჩესტერ იუნაიტედის" 1994 წლის შემადგენლობიდან (იმ წელს "ეშმაკებმა" ინგლისის ჩემპიონატი და ასოციაციის თასი მოიპოვეს), რომელიც პრემიერლიგის კლუბში დაინიშნა. ინსის გარდა, უმაღლეს დივიზიონში მოღვაწეობენ **მარკ ჰიუზი** ("მანჩესტერ სიტი"), **როი კინი** ("სანდერლენდი") და **სტივ ბრუსი** ("ვიგანი").

### აიმარი ნიუკასლში

**პაბლო აიმარი** "ნიუკასლში" გადასვლაზე თანახმაა. ეს ინფორმაცია ფეხბურთელის აგენტმა **გუსტავო მასკარდიმ** გაავრცელა. აიმარი "სარაგოსის" საკუთრებაა. მან არაგონულ კოლექტივს ორი წლის წინ, "ვალენსიიდან" მიაშურა. არგენტინელ ნახევარმცველში 10 მილიონი ევრო გადაიხადეს. ორ წელიწადში ფეხბურთელის ფასი განახევრდა. აიმარი სარაგოსელთა ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. გუნდი პრიმერა დივიზიონიდან გავარდა. ამიტომ ბიუჯეტის შეკვეცა მოუწევს. 28 წლის აიმარმა არა ერთი კლუბის ყურადღება მიიპყრო. მას საფრანგეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, იტალიასა და პორტუგალიაში ეპატიჟებიან. მასკარდი ამბობს, რომ მის კლიენტს ინგლისში გადასვლა სურს. ამიტომ "ნიუკასლის" ვარიანტს ყველაზე დიდი ინტერესით განიხილავს. ჯორდებს ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებიათ.

### პელე გაძარცვეს

ფეხბურთის მეფე გაძარცვეს. პელეს ეს უსიამოვნება სან პაულუს ერთ-ერთ გზაჯვარედინზე, შუქნიშანთან შეემთხვა. ის ძვირფას ავტომობილში იჯდა. მანქანას მისი პირადი მძღოლი მართავდა. გაჩერებულ ავტომობილს დაახლოებით ათი შეიარაღებული ბოროტმოქმედი დაესხა თავს. ძარცვა სულ რაღაც ორ წუთს გრძელდებოდა. თავდამსხმელებმა პელეს ძვირფასი მაჯის საათი, მობილური ტელეფონი, ძვირფასი ბეჭედი და ყელსაბამი გაიტაცეს. 67 წლის მეფე არ დაზარალებულა. მოგვიანებით, ჟურნალისტებთან საუბრისას, მან განაცხადა, რომ მძარცველებმა იცნეს. თუმცა ეს საკმარისი არგუმენტი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ბოროტ განზრახვაზე ხელი აეღოთ. სან პაულუს პოლიციამ განაცხადა, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მათთვის არავის მიუმართავს.

# ვილია ტოტენჰემში 25 მილიონად?

## ესპანური მედიის ცნობით, ვალენსია ლონდონურ კლუბს მოურიგდა


დავიდ ვილია

"ვალენსია" თანახმაა, **დავიდ ვილია** "ტოტენჰემს" მიჰყიდოს. ამ ინფორმაციას ესპანური სააგენტოები ავრცელებენ. ფეხბურთელი კომენტარების გაკეთებისაგან თავს იკავებს. ის ევროპის ჩემპიონატზე იმყოფება და გამალებით ემზადება რუსეთთან ნახევარფინალური მატჩისათვის. გაზეთები ვილიას მომავალთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას ავრცელებენ. ზოგიერთი გამოცემის მტკიცებით, დავიდი გაისადაც "ვალენსიაში" ითამაშებს. ზოგიერთი კი ირწმუნება, რომ ესპანელი თავდამსხმელი მომავალ სეზონს უცხოურ კლუბში შეხვდება.

ვილიას ყველაზე სარფიანი შეთავაზებები ინგლისიდან აქვს. გასული წლის იანვარში მისი შეძენა "ჩელსის" სურდა. "არისტოკრატებმა" გასულ ზაფხულსაც იაქტიურეს. **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ტრანსფერების სია ჯერ არ ჩამოუწერია. "ტოტენჰემი" დროს უქმად არ კარგავს. "მარკა" იუწყება, რომ ლონდონელებმა "ვალენსიას" 25 მილიონი ევრო (დაახლოებით 15 მილიონი გირვანქა) შესთავაზეს.

ვილიამ ევროპის ჩემპიონატის ოთხ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა. მიმომხილველთა ვარაუდით, ტურნირის შემდეგ, ფორვარდის ფასი გაიზრდება. "მარკა" ვარაუდობს, რომ "ტოტენჰემი" "ვალენსიას" ივნისის დასაწყისში მოურიგდა. ვილიას ტრანსფერის თემა "დეილი მირორმაც" აიტაცა. გამოცემამ პირადად ვილიასთან დაკავშირება მოახერხა. აი, მისი კომენტარი: *"თუ "ვალენსია" მეტყვის, რომ ჩემი გაყიდვა უნდათ, ყველა წინადადებას სიამოვნებით განვიხილავ. მე კლუბის შეცვლაზე არ ვფიქრობ. "მესტალიას" მხოლოდ "ვალენსიის" სურვილის შემთხვევაში დავტოვებ."*

# ტიფოზები სტანკოვიჩის წინააღმდეგ

## ზეწოლის გამო, იუვენტუსმა შეიძლება უკან დაიხიოს

იტალიური სააგენტოების ცნობით, **დეიან სტანკოვიჩი** "ინტერიდან", შეიძლება, "იუვენტუსში" წავიდეს. ამ ინფორმაციამ ტურინელი გულშემატკივრების აღშფოთება გამოიწვია. მათი ერთი ნაწილი კლუბის ხელმძღვანელობისაგან კატეგორიულად ითხოვს სერბ ნახევარმცველზე უარის თქმას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმუქრებიან, რომ ყოველი მატჩისას სტანკოვიჩს სტვენით აიკლებენ.

"ბებერი ქალბატონი" შემტევ ნახევარმცველს ეძებს. "ინტერმა" დეიანი ტრანსფერზე დააყენა. "იუვენტუსმა" ფეხბურთელს კონტრაქტი შესთავაზა. მხარეები ხელფასზე უკვე შეთანხმდნენ. დარჩა "ნერაძურისთან" გარიგება. "ინტერი" 14 მილიონ ევროს ითხოვს. "იუვეს" ძალიან ეძვირება. მას სტანკოვიჩის შეძენა 7.5 მილიონად სურს.

რატომ არ სურთ ტურინელ ტიფოზებს დეიანის ყიდვა? "გაძეტა დელო სპორტს" ამ კითხვაზე ორი სავარაუდო პასუხი აქვს. პირველი: სტანკოვიჩი "ინტერთან" ასოცირდება. "ინტერი" კი "იუვენტუსის" მოსისხლე მტერია. ესე იგი, ვერც სერბი ნახევარმცველი ჩაითვლება "ქალბატონის" მოკეთედ. და მეორე: სტანკოვიჩმა გასული სეზონი ძალიან სუსტად ჩაატარა. საყოველთაო შეფასებით, მისი კარიერის საუკეთესო წლებმა ჩაიარა. ამიტომ ტურინულ გრანდში მისი ადგილი არ არის.

"გაძეტა დელო სპორტი" არ გამორიცხავს, ფანების ზეწოლის გამო, "ქალბატონმა" ჩანაფიქრზე უარი თქვას. კლუბს ოფიციალური კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# კოკოშკოვმა ახალი გუნდი მონახა



იგორ კოკოშკოვი

გასულ კვირას გაცნობეთ, რომ "დეტროიტ პისტონსის" მთავარ მწვრთნელად **ფლიპ სონდერსის** ნაცვლად **მაიკლ კერი** დაინიშნა. ისიც გითხარით, საქართველოს ნაკრების თავკაცის, **იგორ კოკოშკოვის** გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშაა-თქო. გუშინ, არაოფიციალური, მაგრამ სარწმუნო წყაროების ცნობით, გაზეთმა "არიზონა რეპაბლიკმა" გაავრცელა ინფორმაცია იგორ კოკოშკოვის "ფინიქსის" მწვრთნელთა შტაბში შეყვანის შესახებ. ჟურნალისტი პოლ კორო მხოლოდ იგორ კოკოშკოვზე არ საუბრობს - ზოგადად "ფინიქს სანზის" შტაბში მიმდინარე ცვლილებებზე ლაპარაკისას ერთ აბზაცს ბატონ იგორს უთმობს.

ჟურნალისტი გვახსენებს, რომ ფინიქსელთა მთავარ მწვრთნელად "დეტროიტში" მომუშავე **ტერი პორტერი** დაინიშნა. მან პირველ ასისტენტად დატოვა **ელვინ ჯენტრი,** რომელსაც "ნიუ იორკში" გადასულმა მაიკ დანტონიმ წაყოლა სთხოვა და უარი მიიღო.

ტერი პორტერის მეორე ასისტენტი "სანზის" ლეგენდარული მოთამაშე **დენ მაიერლე** იქნება. მას კალათბურთელის ამპლუაში "ფინიქსში" 14 სეზონი აქვს გატარებული. ბოლო დროს "სანზის" ტელევიზიაში მუშაობდა. პორტერმა კიდევ ერთი ასისტენტი "ნიუ ჯერსი ნეთსიდან" გადმოიყვანა - **ბილ კარტრაითი,** ხოლო იგორ კოკოშკოვზე ჟურნალისტი **პოლ კორო** შემდეგს ამბობს:

"იგორ კოკოშკოვი "დეტროიტის" სამწვრთნელო შტაბში სამი წლის განმავლობაში მუშაობდა. ბოლო ორი წელიწადი მან უშუალოდ პორტერის გვერდით გაატარა, რომელიც "პისტონზში" 2006 წელს მივიდა. სხვათა შორის, იგორ კოკოშკოვს კარგი ურთიერთობა აქვს "ფინიქსის" მეორე მწვრთნელ **ელვინ ჯენტრისთან.** სერბი სპეციალისტი NBA-ში პირველად სწორედ ჯენტრიმ მიიწვია - 2002 წელს "ლოს ანჯელეს კლიპერსში". სწორედ მაშინ გახდა კოკოშკოვი პირველი ევროპელი ასისტენტი NBA-ს ისტორიაში. მან 2004 წელს სერბეთის ნაკრებთან ერთად ათენის ოლიმპიადაზე მიიღო მონაწილეობა, მომდევნო წელს კი **ჟელკო ობრადოვიჩის** თანაშემწის რანგში მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრა."

აქვე კოკოშკოვთან დაკავშირებულ კიდევ ერთ სიახლეს მოგახსენებთ. საქართველოში ის 23 ივლისს ჩამოვა, ორი დღის განმავლობაში აქაურ ატმოსფეროს გაეცნობა და 25 ივლისს ნაკრების გაფართოვებულ შემადგენლობასთან ერთად ვარჯიშს შეუდგება. იგი საქართველოში შესარჩევი მატჩების ბოლომდე, 16 სექტემბრამდე დარჩება. ამ დღეს ჩვენი ნაკრები შვედეთში ითამაშებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერები

# ცქიტიშვილს მწვრთნელი შეუცვალეს: კაპობიანკო ბიანკის ნაცვლად



ნიკა ცქიტიშვილი

საქართველოს ნაკრების ფორვარდ **ნიკა ცქიტიშვილს** იტალიურ "ტერამოში" დაბრუნებისას ახალი მწვრთნელი დახვდება. გასულ სეზონში გუნდის დამრიგებელი მასიმო ბიანკი თანამდებობიდან გადააყენეს და მის ადგილას შედარებით გამოცდილი სპეციალისტი ანდრეა კაპობიანკო დანიშნეს.

იგი მანამდე ქვედალიგურ "სალერნოში" მუშაობდა, ხოლო ბოლო სეზონში სერია A-ს კლუბ "აველინოს" წვრთნიდა. "ტერამოს" სამწვრთნელო შტაბში ცვლილებები რომ იყო მოსალოდნელი, ამის შესახებ ნიკა ცქიტიშვილმა გვითთხრა: მასიმო ბიანკის მუშაობით გუნდის უფროსობა უკმაყოფილოა და მის შემცვლელს ეძებს. პლეიოფში რომ ვერ გავედით, ბევრის აზრით, მწვრთნელის დამსახურება იყოო.

როგორი მწვრთნელია კაპობიანკო, ეს მომდევნო სეზონში გამოჩნდება, ჩვენ კი ცქიტოსადმი მისი მიდგომა გვაინტერესებს. პირველადი შთაბეჭდილება დადებითია - "ტერამოს"ახალი დამრიგებელი ქართველს იმედის თვალით უყურებს: *"ბრაუნს, ლულის, პოეტასა და ცქიტიშვილს გუნდთან მოქმედი კონტრაქტები აკავშირებთ და იმედს გამოვთქვამთ, რომ ისინი "ტერამოს"გაისადაც სათანადოდ დაეხმარებიან"*. დანარჩენი ცქიტიშვილზეა...

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ნიკას მენეჯერი ლუჩიანო კაპიკიონი ქართველისთვის უკეთეს გუნდს ეძებს. თუ საინტერესო ვარიანტი მონახა, ხომ კარგი, თუ არა, ნიკა კარიერას "ტერამოში" გააგრძელებს. მას ამ კლუბთან კონტრაქტი 2009 წლის მაისამდე აკავშირებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# ქართველ ქალთა დიდი ნინსვლა



ანა ტატიშვილი

გუშინ, გამოქვეყნდა ქალ და ვაჟ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები, უიმბლდონის ჩემპიონატის გამო ახალ ლისტს მხოლოდ ორი კვირის მერე ვიხილავთ. გაგაცნობთ მსოფლიო კლასიფიკაციაში ქართველთა მდგომარეობას. ჩვენ ქალთა 11-წევრიან სიას სათავეში კვლავ 25 წლის **მაკა ჩახნაშვილი** უდგას, რომელიც 165 სარეიტინგო ქულით მსოფლიოს 179-ე ჩოგანია. მაკამ სამი საფეხურით წაიწია წინ. შეგახსენებთ, რომ მან გასულ კვირაში წარუმატებლად იასპარეზა უიმბლდონის საკვალიფიკაციო ტურნირში, სადაც პირველივე წრეში დამარცხდა.

როგორც ვვარაუდობდით, კარიერის ახალი რეკორდი დაამყარა 18 წლის **ანა ტატიშვილმა,** რომელსაც ელ პასოს 25-ათასიანი ტურნირის მოგებისთვის კუთვნილი ქულები დაერიცხა. ანამ ზუსტად 33 საფეხურით წაიწია წინ და დღეისთვის მსოფლიოს 212-ე ჩოგანია - 134 ქულა აქვს. თურქულ ქემერში მეოთხედფინალში გასვლისთვის **სოფიო შაფათავამ** 7 სარეიტინგო ქულა მიიღო, თუმცა ცხრილში ამის ასახვა ვერ მოესწრო. ასე რომ, სოფიომ ჯერჯერობით, ერთი ადგილი დაკარგა რეიტინგში, 18 წლის შაფათავა 71 ქულით მსოფლიოს 314-ე ჩოგანია.

მსოფლიო კლასიფიკაციაში კიდევ 8 ჩვენებურია, გაგაცნობთ მათ რეიტინგებს: 482 (+2) **თინათინ ყავლაშვილი** – 34 ქულა; 528 (-4) **სალომე დევიძე** – 29; 553 (+24) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 27; 592 (+23) **მანანა შაფაქიძე** – 23; 691 (-1) **სოფიო ქვაცაბაია** – 16; 720 (+73) **ეკა გორგოძე** – 14; 912 (-2) **მაგდა ოქრუაშვილი** – 6; 995 (-) **სოფიო მელიქიშვილი** – 4. როგორც ხედავთ, ყველაზე დიდი ნახტომი წინ 16 წლის ეკა გორგოძემ შეასრულა, მან კარიერის მორიგ პიკს მიაღწია. კარიერის საუკეთესო მაჩვენებელი აქვთ 17 წლის ოქსანა კალაშნიკოვას და 18 წლის მანანა შაფაქიძეს.

### ჯერ მხოლოდ სიმბოლურად

თუკი ქართველი ქალები გვახარებენ და ნელ-ნელა წინ მიიწევენ რეიტინგში, ვაჟებზე ამას ვერაფრით ვიტყვით – მსოფლიო კლასიფიკაციაში მხოლოდ ოთხი ჩვენებურია და **ლადო ჩიხლაძის** გარდა, ყველა ოდენ სიმბოლურად. ჩიხლაძემ დეკემბერში კისრის მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც მას თამაში ჯერ არ განუახლებია, ლადო 62 ქულით მსოფლიოს 452-ე ჩოგანია, ეს შედეგი წინა კვირისას ერთი ადგილით სჯობს. სხვები: 1213 (+6) **ნოდარ ითონიშვილი** – 4 ქულა; 1598 (-7) **გიორგი ჭანტურია** – 1; 1792 (+24) **გიორგი ხრიკაძე** – 1.

### მაკა და თეონა ტურნირებში

ჩახნაშვილი პადოვაშია, სადაც 25-ათასიან ტურნირში ასპარეზობს. ეს ტურნირი შარშან მაკამ მოიგო. ასე რომ, ქართველს ტიტული აქვს დასაცავი. ორგანიზატორებმა საქართველოს პირველი ჩოგანი ძირითად ბადეში მესამე ნომრად განთესეს. პირველ წრეში ჩახნაშვილის მეტოქე იტალიელი **ალის მორონია.** ალმათიში 10-ათასიან ტურნირის ძირითად ბადეშია **თეონა ცერცვაძე,** არადა, მან წააგო საკვალიფიკაციო ბადის მატჩი, თუმცა მთავარ ბადეში ქართველი „იღბლიანი დამარცხებულის" სტატუსით მოხვდა. პირველ წრეში მას ყირგიზი მეტოქე **ბერმეტ დუვანაევა** ეყოლება.

### ლაზარემ კარგად დაიწყო

ირლანდიურ ლიმერიკში ვაჟ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყო, რომლის საპრიზო ფონდი 15 ათასი დოლარია. 17 წლის **ლაზარე კუხალაშვილმა** წარმატებით დაძლია საკვალიფიკაციო ბადე. პირველ წრეში მან შვეიცარიელ **გრეგორი შამბაზს** მოუგო – 7:5, 6:0. მეორე წრეში კუხალაშვილმა ირლანდიელი **დავიდ ოჰარა** დაამარცხა – 3:6, 6:1, 6:4. ძირითადი ბადის პირველ წრეში ჩვენი თანამემამულე ირლანდიელ **ჯეიმს კლასკის** ეთამაშება. **ალექსანდრე თავხელიძე** რუმინეთში ანალოგიურ ტურნირში გამოდიოდა, მაგრამ მან ლაზარესავით ვერ იყოჩალა – პირველივე საკვალიფიკაციო მატჩში წააგო ჰოლანდიელ **პეტერ ლუკასენთან** – 2:6, 0:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# დავით ბარბაქაძე C დივიზიონის ჩემპიონია!

გუშინ ვთქვით, როგორ გაიყვანა თსუ-ელმა **დავით ბარბაქაძემ** აზერბაიჯანის ნაკრები C ლიგის ფინალში. ქართველ ფორვარდს თავი არც მოლდოვასთან გადამწყვეტ მატჩში შეურცხვენია - სწორედ ბარბაქაძისა და **ტაჰირ ბახშიევის** აქტიურობის წყალობით აზერებმა მოლდოვის ნაკრები 80:78 დაამარცხეს.

შეხვედრა მეტად დრამატული გამოდგა. მატჩის საწყის სამ პერიოდში მოლდოველები დომინირებდნენ და საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე 8 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ - 76:68. აზერბაიჯანელები მანამდე ერთხელაც არ გაჭრილან წინ, ამიტომ ძნელი სავარაუდო იყო თამაშის შემობრუნება. სწორედ ამ დროს გამოფხიზლდნენ ბარბაქაძე და ბახშიევი - დათო მოხსნებსა და ჩაჭრებს ერთმანეთს უნაცვლებდა, ხოლო ბახშიევი ქულებს იხვეჭდა. ოთხ წუთში აზერბაიჯანელებმა 11:0 სპურტი მოაწყვეს და სირენამდე წუთით ადრე, მეტოქეს 79:76 გაასწრეს. გამარჯვების მომტანი ორი საჯარიმო ჩვენს მეზობლებს **ფუად ნიფტალიევმა** შესძინა - 80:78.

დათო ბარბაქაძემ ამჯერად მატჩის სნაიპერობა ტაჰირ ბახშიევს დაუთმო - აზერბაიჯანელმა 25 ქულა ჩააგდო, ხოლო დათომ - 14 (5-დან 2 ორქულიანი, 7-დან 3 სამიანი და 1-დან 1 საჯარიმო). 38 წუთში ბარბაქაძის ანგარიშზე 8 დაცვითი მოხსნა, 3 შედეგიანი გადაცემა და 2-2 ჩაჭრა-დაფარება იყო.



დავით ბარბაქაძე

თსუ-ს ფორვარდმა მხოლოდ ჩემპიონობა არ იკმარა და ტურნირის სტატისტიკურ ლიდერებში საპატიო ადგილი დაიდო: ხუთ მატჩში მითვლილი საშუალოდ 10 მოხსნით, იგი შეჯიბრების საუკეთესო მომხსნელი გახდა. მეორე ადგილზეა შოტლანდიელი **მარტრეტ რებოლარი** - 9:8.

სნაიპერთა დავაში დავით ბარბაქაძეს მხოლოდ სან მარინოელმა **ანდრეა რასკიმ** გადაასწრო. რასკი საშუალოდ 22.4 ქულას აგროვებდა, ბარბაქაძე - 19.6 ქულას. მესამე იყო დათოს თანაგუნდელი **ტახირ ბახშიევი** - 19 ქულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ჯომარდობა. საქართველოს ჩემპიონატი

# მტკვარი ყველას დაიტევს, სასტუმრო – ვერა

ბორჯომში დასრულდა საქართველოს მეორე ეროვნული ჩემპიონატი ჯომარდობაში.

ჯომარდობა საზღვარგარეთ რაფტინგის სახელითაა ცნობილი და საკმაოდ პოპულარული სპორტის სახეობაა. ჩვენში კი ქართულად ჯომარდობად მონათლეს და 2 წლის წინათ, საქართველოს ჯომარდობის ფედერაციაც ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჯერ მაინც ახალ ხილად ითვლება, უკვე საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა. ეროვნულ ჩემპიონატში ქალთა 10 და ვაჟთა 22 გუნდი ასპარეზობდა. როგორც ჯომარდობის ფედერაციის პრეზიდენტმა **დავით ქაცარავამ** გვითხრა, კიდევ 15-მდე გუნდს სურდა ჩემპიონატზე გამოსვლა, მაგრამ რაკილა ბორჯომის სასტუმროებში ადგილები აღარ იყო, მათთვის უარის თქმა მოუხდათ.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ რადგან ფინანსური პრობლემები, მაინცდამაინც, არ აწუხებთ (სპორტის დეპარტამენტი და კერძო სპონსორები ეხმარებიან), ქართველი ჯომარდები უკვე საერთაშორისო სარბიელზეც გადიან. წლეულს, ჩვენმა გუნდმა თურქეთის ღია პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა, ევროპის ჩემპიონატზე წასვლაც სურდა, მაგრამ ავსტრიის საელჩომ ვიზები არ გასცა და ჩანაფიქრი ჩაიშალა. სამაგიეროდ, ჩვენი ჯომარდელები გაისად მსოფლიო ჩემპიონატზე აპირებენ ძალების მოსინჯვას.

ალბათ, უპრიანია ორიოდე სიტყვით ავხსნათ ჯომარდობის სტრატეგია. ნიჩბებს უსვამს 6 კაცი (3-3 ორივე კიდეზე), საიდანაც უკან მჯდომი დუეტი, ძირითადად, საჭის ფუნქციებს ასრულებს. დიდწილად სწორედ მათზეა დამოკიდებული გუნდის წარმატება - დროულად უნდა გათვალონ, თუ როგორ დინებაში ჯობია ნავის მიშვება. წინა ოთხეული კი "მოტორია" და ისინი ნავის სისწრაფეს განსაზღვრავენ...

ახლა კი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე გადავიდეთ. მდინარე მტკვარის 900-მეტრიან მონაკვეთზე, 32-მა ეკიპაჟმა მოიყარა თავი, რომლებიც ორი დღის განმავლობაში არკვევდნენ უძლიერესთა ვინაობას. პირველი დღე საკვალიფიკაციო დაშვებებს დაეთმო და ფავორიტები იქვე გამოიკვეთნენ. ვაჟებში "მედრაფტინგი" იყო საუკეთესო, ქალებში კი "თიბისი ბანკის" მეორე გუნდმა "wannabe"-მ იჯომარდა ბრწყინვალედ. ამ ეკიპაჟმა ქალებში ხომ ყველას აჯობა და თქვენ წარმოიდგინეთ, ვაჟთა 22 წყვილში მესამე დრო აჩვენა.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მეორე დღეს, "მედრაფტინგიც" და "wannabe"-ც უპრობლემოდ გავიდნენ ფინალურ სამეულში და ჩემპიონებიც გახდნენ. ქალებშიცა და ვაჟებშიც. მეორეები იყვნენ "თიბისი ბანკის" პირველი გუნდები. რაც შეეხება ბრინჯაოს პრიზიორებს, ვაჟებში "კა-52" გახდა მესამეადგილოსანი, ქალებში კი "ლუკოილი".

**კობა ხატისაშვილი**



წყალბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# ჯორჯიაში ჯორჯია საუკეთესოა

"ლაგუნა ვერეს" აუზზე დასრულდა წყალბურთელთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. როგორც უკვე გაცნობეთ, საქართველოს ჩემპიონატი ბოლოს 1992 წელს ჩატარდა და მხოლოდ წლეულს აღდგა. რასაკვირველია, ასეთმა პაუზამ თავისთავად განაპირობა კადრების სიმწირე და გამოიწვია სხვადასხვა პრობლემები. ახლა ხარვეზებზე ყურადღების გამახვილება არ ღირს, რადგან ყველაზე მთავარი ის არის, რომ ეროვნული ჩემპიონატი აღდგა და ამიერიდან, სისტემატიურად ჩატარდება. ეს კი შემდეგ წლებში, ნელ-ნელა თავისთავად აღმოფხვრის პრობლემებს.

ჩემპიონატს თავიდანვე გამოუჩნდა 2 ლიდერი - ეროვნული ნაკრების წევრებით გაძლიერებულმა თბილისურმა "ჯორჯიამ" და "რუსთავმა" ქულათა მაქსიმუმი დაგროვეს და გადამწყვეტი მესამე ტური აღმოჩნდა, რომელშიც ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. "ჯორჯიამ" საკმაოდ იოლად მოიგო, დარჩენილ შეხვედრებშიც იმარჯვა და შესაბამისად, ჩემპიონი გახდა. რუსთაველები მეორე ადგილს დასჯერდნენ, ბრინჯაოს მედალი კი არმიის სპორტული კომპლექსის გუნდს ერგო.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციებში საუკეთესოები: მეკარე – ზურაბ ჭუმბურიძე (ჯორჯია), მცველი - **გიორგი ხვედელიანი** (ჯორჯია), თავდამსხმელი - ნუკრი ცაგარელი (რუსთავი), ბომბარდირი - გურამ კოტარია (ჯორჯია - 25 გოლი), საუკეთესო მოთამაშე - ზურაბ რურუა (ჯორჯია), საუკეთესო ვეტერანი - დავით რამინიშვილი (რუსთავი), საუკეთესო მოძრავი თავდამსხმელი - ოთარ ქოიავა (რუსთავი), საუკეთესო ახალგაზრდა - ლევან ყავლაშვილი (ლაგუნა ვერე).

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ჯორჯია | 5 | 5 | 0 | 0 | 10 |
| რუსთავი | 5 | 4 | 0 | 1 | 8 |
| ასკ | 5 | 3 | 0 | 2 | 6 |
| ლაგუნა ვერე | 5 | 2 | 0 | 3 | 4 |
| ქუთაისი | 5 | 1 | 0 | 4 | 2 |
| დელფინი | 5 | 0 | 0 | 5 | 0 |

**კობა ხატისაშვილი**

ხელბურთი. მინსკის ტურნირი

# ბოლო ადგილი მირონოვიჩის ტურნირზე

ბელარუსის დედაქალაქში დასრულდა **სპარტაკ მირონოვიჩის** სახელობის ოთხთა ტურნირი, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა მეტ-ნაკლებად კარგად იასპარეზა. თუ მხოლოდ შედეგს გადავხედავთ, ბოლო ადგილი, რაღა თქმა უნდა, წარუმატებლობაა, მაგრამ აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მინსკში არ იყვნენ გუნდის გამოკვეთილი ლიდერი **სერგო დათუკაშვილი** და კიდევ ერთი საკვანძო ფიგურა **რატი მსხვილიძე**. მათ არყოფნაში კი გუნდმა ორივე შეხვედრაში ბოლომდე იბრძოლა და ცოტა რომ გაგვმართლებოდა, მესამე ადგილზე მაინც გავიდოდით. პირველ შეხვედრაში, ტურნირის მასპინძელს შევხვდით. ბელარუსები წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზეც თამაშობდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენზე ძლიერი გუნდი ჰყავთ. საბოლოოდ, მათ 32:25 მოგვიგეს და მესამე ადგილისთვის სათამაშოდ გაგვიშვეს, სადაც რუსეთისგან 34:32 ძლეული ლიტვა გველოდა.

საქართველო-ლიტვა საკმაოდ დაძაბულად წარიმართა და ძირითადმა ერთსაათიანმა მონაკვეთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა - 29:29. პენალტების სერიაში 1:3 დავმარცხდით. საბოლოოდ, 32:30 მოგვიგეს და ბოლო ადგილს დაგვაჯერეს.

ფინალში ბელორუსებმა 27:25 მოუგეს რუსებს და მირონოვიჩის თასი მინსკში დატოვეს.

**კობა ხატისაშვილი**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# საპეკინოდ შანსები რჩება



საქა-რთველო

დღეს, ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი დაიწყება, რომელიც "დიდი სლემის" ეგიდით გაიმართება. პლაჟბურთის ქართული წყვილები **გეორ-გია** გათამაშებაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვებიან.

წინა, პარიზის ეტაპზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ, ქალთა შორის **საქა-რთველომ** პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო რეიტინგში 1 600 ქულით 26-ე ადგილიდან 23-ეზე აინაცვლა და უშუალო კონკურენტ ფინურ წყვილის **(ნისტრიომი-ნისტრიომი)**, რომელიც 25-ე ადგილზეა, 150 ქულით უსწრებს.

წინ კიდევ სამი ეტაპია დარჩენილი, სადაც ნაჩვენები შედეგები რეიტინგზე აისახება. იმისთვის, რომ საქა-რთველომ დამშვიდებულად იგრძნოს თავი ლიცენზიისთვის ბრძოლაში, მინიმუმ ერთ ეტაპზე მაინც უნდა აჩვენოს ისეთივე შედეგი, როგორიც პარიზის ეტაპზე აჩვენა. შეგახსენებთ, რომ პარიზში საქა-რთველომ მერვედფინალში გაალწია და რეიტინგში 320 ქულა მიითვალა.

კვლავ მეჩვიდმეტეა რეიტინგში ვაჟებს შორის გეორ-გია. მართალია, არსებობს თეორიული შანსი იმისა, რომ ჩვენი ფრენბურთელები ულიცენზიოდ დარჩნენ, მაგრამ, ვფიქრობთ, პრაქტიკულად ეს შეუძლებელია. გეორ-გიას 2 650 სარეიტინგო ქულა აქვს და 24-ე ადგილზე მყოფ კანადურ დუეტს (კადიოჰეესე) 870 ქულით უსწრებს.

**რეიტინგი.**

**საოლიმპიადო კვალიფიკაცია.**

ქალები

1.ველში-ტრეანორი (აშშ)-6 240 ქულა
2.ტიან ჯია-ჭანკი (ჩინ)-5 400
3.ჯულიანა-ლარისა (ბრ)-5 280
4.ხუე-ჩანკ ხი (ჩინ)-4 380
5.რენატა-ტალიტა (ბრ)-4 320
6.ბრანგი-იუნგსი (აშშ)-4 300
7.გოლერი-ლუდვიგი (გერ)-3 710
8.არვანითი-კარანთასიუ (საბ)-3 480
9.ბარნეტი-კუკი (ავლ)-3 460
10.პოჰლი-რაუ (გერ)-3 190
11.ჰაკედალი-ტორლენი (ნორ)-2 660
12.მაასეიდე-გლესნესი (ნორ)-2 520
13.ფერნანდესი-პერაზა (კუბა)-2 480
14.შვაიგერი-შვაიგერი (ავსრ)-2 300
15.ესტევესი-კრსპო (კუბა)-2 280
16.კადიკი-მურენი (ჰოლ)-2 040
17.კუთრუმანიდუ-ციარციანი (საბ)-1 980
18. მონტანოლი-სვობოდა (ავსრ)-1 880
19.ურიადოვა-შირიაევა (რუს)-1 850
20.ვან ბრიდამი-მუჰა (ბელგ)-1 670
21.კუნი-შვერი (შვეიც)-1 650
22.საიკი-კუსუჰარა (იაპ)-1 620
23. საქა-რთველო (საქ)-1 600
24.სარპო-ფორი (საფ)-1 500
25.ნისტრიომი-ნისტრიომი (ფინ)-1 450
26.მინუსა-ჯურსონე (ლატ)-1 440

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

# დღეს ფინალური ეტაპია...

თბილისის ჭადრაკის სასახლეში ერთი კვირაა, რაც ცნობილი და ღვაწლმოსილი ქართველი მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის მემორიალი იმართება. წლებია, ამ ტურნირზე ქართული ჭადრაკის მომავალი გამოიცდება და საშეჯიბრო სისტემაც ერთობ განსხვავებულია - გუნდურად ერკინებიან ერთმანეთს მოჭადრაკეები. ჩვენში გუნდური საჭადრაკო სისტემა განუვითარებელია, მაშინ, როცა ნებისმიერ "საჭადრაკო" ქვეყანაში ამ მიმართულებას პრიორიტეტი ენიჭება, მაგრამ ბავშვთა შორის არცთუ მთლად წყალწაღებულები ვართ, - ყოველწლიური გუნდური ჩემპიონატი გარკვეულ სტიმულს მაინც იძლევა... ამჯერადაც ასე იყო და ოთხ ასაკობრივ ჯგუფში საკმაოდ ბევრმა გუნდმა მოიყარა თავი: 8-წლამდელთა შორის 19 გუნდი შეიკრიბა; 10-წლამდელებში 15 მოგროვდა; 12-წლამდელებში 18 გუნდი ვიხილეთ და მხოლოდ 14-წლამდელებში შეიკრიბა არცთუ მრავალრიცხოვანი ჯგუფი - 8 გუნდმა გამოთქვა ასპარეზობის უფლება.

ტურნირი საქვეყნო მასშტაბისაა და მასში მონაწილეობის უფლება ყველა პროფესიულ, გუნდურ გაერთიანებას აქვს. წლევანდელ რაოდენობას ცუდი არ ეთქმის, მაგრამ შედეგში რომ ბევრად მეტი ვიხილოთ, უფრო უკეთესი იქნება...

დებულების თანახმად ტურნირზე გათამაშების ორი ფორმულა დადგინდა: პირველი: 8, 10 და 12-წლამდელებში ოლიმპიური სისტემით გაეჯიბრებოდნენ ერთმანეთს; 14-წლამდელებში კი შვეიცარული სისტემა გახდა საჭირო. საქმე ის გახლავთ, რომ უფრო დაბალ ასაკებში გუნდებთა რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, ხოლო 14-წლამდელებში - მცირე; ამიტომაც უფროსებში წრიული სისტემით უნდა გამოავლინონ უძლიერესი.

განსხვავებულია სათამაშო დროც - მთელ პარტიაზე 50 წუთია განკუთვნილი, ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით. დღეში ერთი ტურია განსაზღვრული. გამარჯვების შემთხვევაში გუნდს ორი ქულა ეწერება, ყაიმის დროს - 1, ხოლო მარცხის შემთხვევაში - ნული. აქედან გამომდინარე, მთავარი გუნდის გამარჯვებაა, მაგრამ ქულათა თანაბრობის შემთხვევაში დამატებითი მაჩვენებელიც მიიღება მხედველობაში და თუკი ესა თუ ის გუნდი ქულათა საერთო ჯამით აჯობებს კონკურენტს, უპირატესობაც მას მიენიჭება. თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარი იქნა, მაშინ ძალაში შევა სხვა განსაზღვრება: 1. ერთმანეთს შორის მატჩის შედეგი; 2. მოგებული მატჩების რაოდენობა; 3. პირველი დაფის შედეგი (ბიჭების პირველი დაფა; გოგონების დაფა და ასე შემდეგ). საქმე ის გახლავთ, რომ ერთ გუნდში ოთხი მოჭადრაკე თამაშობს: სამი ვაჟი და ერთი გოგონა.

არსებობს სხვა განსაზღვრებაც: მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში გუნდები ითამაშებენ 5-წუთიან მატჩს, ყაიმის შემთხვევაში მეორე 5-წუთიან მატჩს გამართავენ. თუკი აქაც თანაფარდობა დაფიქსირდა, უპირატესობა მიენიჭება იმ გუნდს, რომელმაც უკეთესი ადგილი დაიკავა პირველ ეტაპზე. სისტემა ნამდვილად არ გახლავთ იოლი, მაგრამ ასეთი ტიპის საჭადრაკო ასპარეზობების დროს ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი და ორგანიზატორებიც მაქსიმალურად ეცადნენ, ყველა შესაძლო ვარიანტი გაეთვალისწინებინათ...

ბოლოსწინა ტურის წინ 8-წლამდელებში, ლიდერთა შორის ასეთი ვითარებაა: პირველ-მეორე ადგილებისთვის "აისი" და "მიმინო" იბრძოლებენ; მესამე-მეოთხესთვის კი "წინილები" და "გორი-1" შეერკინებიან.

10-წლამდელებში "მამლაყინწები" "გორი-2"-ს დაუპირისპირდებიან პირველობისთვის, ხოლო მესამე-მეოთხე ადგილებს ერთმანეთში "ხიზანიშვილი"-"გორი-1" გაინაწილებენ.

12-წლამდელებში ჩემპიონობას "კახეთი" და "რუსკა და გიო" შეეცილებიან ერთურთს; მესამე-მეოთხე ადგილებისთვის კი თბილისის ჭადრაკის სასახლის გუნდი და "გამბიტი-4" შეიბმებიან.

14-წლიანებში, როგორც მოგახსენეთ, ტურნირი შვეიცარული სისტემით ჩატარდა. აქ ნათელი ყველასთვის დღეს მოეფინება და ჩვენც ინტერესით შეგვიძლია მივადევნოთ თვალი ლიდერთა დაპირისპირებას.

**ზვიად შათირიშვილი**

ძიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

# ბიჭებს მედლები ესიზმრებათ

დღეს, ლატვიურ დაუგავპლისში ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი იწყება. თავდაპირველად ტურნირში "თავისუფლები" ჩაებმებიან, რომლებიც ასპარეზობას ხვალ დაამთავრებენ, 26-27 ივნისს გოგოები იჭიდავებენ, 28-29 ივნისი კი "ბერძენ-რომაელებს" დაეთმობათ. ჩვენი ჭაბუკ "თავისუფალთა" ნაკრების თავკაცმა **თამაზ ბენდიანიშვილმა** ლატვიაში **აკაკი მოწონელიძე** (42), **ზურაბ იაკობაშვილი** (64), **ლევან ქელეხსაშვილი** (50), **ვლადიმერ ხინჩეკაშვილი** (54), **თორნიკე ლურსმანაშვილი** (58), **თენგიზ ჩოჩიშვილი** (63), **დავით გალეგაშვილი** (69), **მამუკა კორძაია** (76), **გიორგი მარსაგიშვილი** (85), **გიორგი ასლანიშვილი** (100) წაიყვანა. დღეს მოწონელიძე, ქელეხსაშვილი, ლურსმანაშვილი, გალეგაშვილი და მარსაგიშვილი იჭიდავებენ.

ვიდრე "ბერძენ-რომაელთა" შემადგენლობაზე გადავალთ, ერთ უცნაურ ფაქტზეც შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას - **ვლადიმერ ხინჩეკაშვილი** ამ ნაკრების გარდა, ახალგაზრდული გუნდის წევრიცაა და სულ რაღაც ოციოდ დღეში ევროპის პირველობაზე უკვე იმ ასაკში იჭიდავებს! ის მართლაც პერსპექტიული და ძალზე ნიჭიერი მოზარდია, რომელიც ხშირად უგებდა თავისზე ბევრად უფროსებს და ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონობაც მოასწრო. მაშინ ის, უცხოეთში, ახალგაზრდებში სწორედ პატარა ასაკის გამო არ აჭიდავეს, თორემ ამისი უფლება მაშინაც მოიპოვა.

"ბერძენ-რომაელთა" დამრიგებელმა **ვაჟა კრავეიშვილმა** დაუგავპლისში საჭიდაოდ **ლევან შავაძე** (42), **გოგიტა გოგბერაშვილი** (46), **გიორგი დავითაია** (50), **ქემალ ხარაბაძე** (54), **საჩინო დავითაია** (58), **ზურაბ დათუნაშვილი** (63), **უშანგი ქიტიაშვილი** (69), **გიორგი აფრიამაშვილი** (76), **რევაზ ნადარეიშვილი** (85) და **სერგო გოგისვანიძე** (100) შეარჩია.

**ირაკლი თავაძე**

რაგბი. ერთა თასი 2009/10

# კვალიფიკაციის განრიგი დადგენილია



საქართველოს ნაკრები 7 თებერვალს გერმანიაში იწყებს

საბერძნეთის კუნძულ კორფუზე ახლახან გამართულ FIRA AER-ის კონგრესზე ერთა თასის მომავალი 2009-10 წლების ერთა თასის გათამაშების პირველი წრის კალენდარი დადგინდა. შეგახსენებთ, რომ ერთა თასის მომავალი გათამაშება ერთდროულად 2011 წელს ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირიცაა. ერთა თასის ორი საუკეთესო გუნდი მსოფლიო თასზე პირდაპირ მოხვდება, მესამეს კი რეპეშაჟში მოუწევს თამაში.

საქართველოს ნაკრები პირველ შეხვედრას 7 თებერვალს სტუმრად გერმანიის ნაკრებთან გამართავს. ჩვენი გუნდის ყველა მატჩი IRB-ის მიერ გამოყოფილ სპეციალურ რიცხვებში, ეგრეთ წოდებულ ფანჯარაში გაიმართება და ექვსი ერის შეხვედრების განრიგს ემთხვევა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**ერთა თასი 2009/10**

2008 წელი

**8 ნოემბერი**

რუსეთი-ესპანეთი

**15 ნოემბერი**

ესპანეთი-გერმანია

2009 წელი

**7 თებერვალი**

გერმანია-საქართველო
ესპანეთი-რუმინეთი
პორტუგალია-რუსეთი

**14 თებერვალი**

საქართველო-პორტუგალია
გერმანია-რუმინეთი

**21 თებერვალი**

პორტუგალია-გერმანია

**28 თებერვალი**

ესპანეთი-საქართველო

**14 მარტი**

საქართველო-რუმინეთი

**15 მარტი**

პორტუგალია-ესპანეთი

**21 მარტი**

რუსეთი-საქართველო
რუმინეთი-პორტუგალია

**2 მაისი**

გერმანია-რუსეთი
რუმინეთი-რუსეთი *(დასადგენია)*

ინტერვიუ ბეგი დარჩიასთან

# შეკრებები ძალისა და რწმენის შესაკრებად



"ბერძენ-რომაელთა" ნაკრებმა დაამთავრა საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი შეკრება სომხურ ნახკაძორში, სადაც ოლიმპიურ ბაზაზე მასპინძლებთან ერთად ემზადებოდნენ. ნაკრების თავკაცმა ბეგი დარჩიამ ნახკაძორში 15-კაციანი გუნდი იახლა - 3-3 მოჭიდავე იმ ხუთ წონაში, სადაც ლიცენზიები მოვიპოვეთ. ცხადია, აქცენტი სწორედ ოლიმპიურ ხუთეულზე კეთდებოდა, დანარჩენებს კი მათი სპარინგ-პარტნიორობა ევალებოდათ. თუმცა მწვრთნელებმა ისე გააკეთეს, რომ ლიდერებს არც იმ უსაგზურო ორ წონაში დააკლებინეს და ისინიც იახლეს - ეს მათ მომზადებას წაადგება.

დარჩიას გუნდი კვირას დაბრუნდა ნახკაძორიდან, თუმცა იქაურობა ქართველების გარეშე დიდხანს არ დარჩენილა - იქ ახლა ჩვენი "თავისუფალთა" ნაკრები გაემგზავრა ასევე ორკვირიან შეკრებაზე და გუნდები გზაშივე შეხვდნენ ერთმანეთს.

ან უკვე დასრულებული შეკრებით "ბერძენ-რომაელებმა" პეკინის ოლიმპიადისთვის მზადების გადამწყვეტი ეტაპი დაიწყეს. მართალია, ისინი აქამდეც ამ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ სხვა, უფრო მცირე ტურნირებზეც ზრუნავდნენ. ცხადია, სხვა დატვირთვით და სხვანაირი გრაფიკით. მაგალითად, იგივე ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი საბაზო შეკრება ბევრად უფრო მსუბუქად გაიარეს, არც პიკში შესვლაზე ზრუნავდნენ, ახლა კი თამაშებისთვის მიზანმიმართულ მზადებაზე გადავიდნენ და მთელი დატვირთვით შეუდგნენ ვარჯიშს. ცხადია, ასეთ გადამწყვეტ ეტაპზე მათი ყოველი ნაბიჯი განსაკუთრებით საინტერესოა. მით უფრო, სომხეთში წასვლამდე ჩვენი გუნდის ლიდერებს - დავით ბედინაძეს, ბადრი ხასაიას და რამაზ ნოზაძეს ტრავმებიც აწუხებდათ. სამწუხაროდ, ეს პრობლემები ბოლომდე კვლავაც ვერ მოგვარდა და ნაკრებს ოლიმპიადისთვის მზადება სათადარიგო ვარიანტით მოუწევს, რომელიც უკიდურესი შემთხვევისთვის შეიმუშავეს. ახლა სწორედ ასეთი ექსტრემალური ვითარებაა. კერძოდ, რამდენიმე ლიდერი ბაქოში, ბოლო სასტარტო ტურნირზე ვერ იჭიდავებს, საშეჯიბრო პრაქტიკის დეფიციტის შევსებას კი საკონტროლო შეხვედრებზე შეეცდებიან. თუცა აჯობებს, ამ ყველაფერზე ნაკრების თავკაც ბეგი დარჩიას მოვუსმინოთ.

**- ბატონო ბეგი, რამდენად წარმატებით ჩაიარა შეკრებამ, ხართ კმაყოფილი?**

- ნამდვილად წარმატებით ჩაიარა, ბიჭებმა კარგად ივარჯიშეს და კმაყოფილიც ვარ. მოგეხსენებათ, ეს შეკრება ოლიმპიურ ბაზაზე გავიარეთ და ძირითად აქცენტს ფიზმომზადებაზე ვაკეთებდით, თუმცა ხალიჩაზეც ვვარჯიშობდით, ოღონდ არა სრული დატვირთვით. სამაგიეროდ, ბიჭები ფიზიკურად მაგრად იტვირთებოდნენ. ცხადია, უმთავრესი ყურადღების ცენტრში ოლიმპიელები იყვნენ, განსაკუთრებით კი ტრავმირებულები - ბედინაძე, ხასაია და ნოზაძე. უნდა ითქვას, რომ იმათაც კარგად იმუშავეს და საერთოდაც მიმაჩნია, რომ მზადება კარგად დავიწყეთ. ბიჭებმა მართლაც კარგი, ნაყოფიერი შეკრება გაიარეს და კარგადაც ივარჯიშეს.

**- ის ტრავმირებული სამეული საბოლოოდ გამოჯანმრთელდა? უკვე შეუძლიათ სრული დატვირთვით ვარჯიში?**

- მიმაჩნია, რომ სრულად გამოჯანმრთელდნენ და უკეთესობაც კი არის, მაგრამ არა იმდენად, რომ ხასაია და ნოზაძე ბაქოს ტურნირზე გამოვიდნენ, რაც ძალზე ცუდია.

**-სომხეთში წასვლამდე მათ შესახებ ამბობდით, რომ ბაქოში მხოლოდ იმ ვარიანტში გაუშვებდით, თუ მათი მდგომარეობა დაგაკმაყოფილებდათ. ჩანს, არ გაკმაყოფილებთ...**

- კი, ასე ვამბობდით და მართლაც დავაკვირდით იქ. სამწუხაროდ, ტურნირის საჭიდაოდ ჯერ კიდევ ვერ გამოჯანმრთელდნენ. მოგვიანებით მინსკში წავალთ შეკრებაზე, სადაც ერთობლივ ვარჯიშებსაც ჩავატარებთ და სპარინგებსაც გავმართავთ. ამით უნდა დავკმაყოფილდეთ.

**- ვარჯიშობენ ისინი სრული დატვირთვით? მახსოვს, ნოზაძემ სომხეთში წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე განაახლა ვარჯიში, ხასაია კი ხალიჩაზე სრულად ვერ იტვირთებოდა...**

- ამ შეკრებაზე ხალიჩაზე ინტენსიურად არც ვემზადებოდით. ისინი ამ ეტაპისთვის საჭირო მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, მაგრამ შეჯიბრებაზე გამოსვლა ჯერ ადრეა.

**- და ოლიმპიადამდე ტურნირებში არ გამოვლენ? ისიც მახსოვს, ბაქოს ტურნირი თუ ჩაგეშლებოდათ, მაშინ მათ გაგზავნას ესპანეთში აპირებდით. ახლა აღარც ესპანეთის ვარიანტი განიხილება?**

- სამწუხაროდ, ესპანეთიც გამოირიცხა. მიგვაჩნია, რომ სატურნიროდ გამოჯანმრთელებას ვერც მაშინ მოასწრებენ - ის შეჯიბრება ერთ კვირაში იმართება, ეს დრო კი არ ეყოფათ. მათთვის სატურნირო პრაქტიკას მინსკის ერთობლივი ვარჯიშები შეასრულებს. ეს გადაწყვეტილება იმიტომაც მივიღეთ, რომ ორივე სპორტსმენი ძალზე გამოცდილია და წლეულს ევროპის ჩემპიონატიც იჭიდავეს. მათთვის სატურნირო დანიშნულებას მინსკის სპარინგები შეასრულებს.

**- ნახკაძორში მასპინძლებთან სპარინგები არ გაგიმართავთ?**

- არა, ამისგან თავი შევიკავეთ, რადგან სპარინგ-პარტნიორები ჩვენვე წავიყვანეთ აქედან - ყოველ ოლიმპიელს 2-2 კაცი ახლდა. სომხეთის ნაკრები ძლიერი გუნდია, მაგრამ ამ ეტაპზე არც მათი და არც სხვების დახმარება არ გვჭირდებოდა.

**- მოკლედ, ოლიმპიადისთვის მზადების გეგმა მნიშვნელოვნად შეგეცვალათ...**

- დიახ, ტრავმების გამო მართლაც შეგვეცვალა და სათადარიგო ვარიანტზე გადავედით. 1-10 ივლისს ბორჯომში გავივლით შეკრებას, 13-26 ივლისს მინსკში გავემგზავრებით ერთობლივ ვარჯიშებზე, სადაც, ჩემი ინფორმაციით, 6-7 გუნდი იქნება. ამის შემდეგ სულ რაღაც 5 დღე გავჩერდებით თბილისში, ოღონდ აქაც მოკლე შეკრებას გავივლით და საკონტროლო შეხვედრებსაც გავმართავთ. პეკინში ჩვენი დელეგაციის პირველ ნაწილს დავემგზავრებით - 2 აგვისტოს და აკლიმატიზაციის გასავლელად 10-დღიან შეკრებას იქ გავივლით.

**- ბორჯომის შეკრებაზე სომხეთის გუნდიც ხომ არ ჩამოვა, რასაც ადრე ვარაუდობდით?**

- არა, მარტონი ვიქნებით. სპარინგები და სხვების დახმარება არც იმ ეტაპზე დაგვჭირდება. ყოველ ოლიმპიელს 2-3 სრულფასოვანი სპარინგ-პარტნიორი ისეც ეყოლება და ჩვენითვე გავალთ ფონს. ბორჯომში კროსებიც გვექნება, ფიზმომზადებაც და ხალიჩაც. ვფიქრობ, ეს ვარჯიშები ტრავმირებულთა საერთო მობილიზებას გააკეთებს, სანაცვლოდ კი ისინი მინსკის შეკრებას მაქსიმალური დატვირთვით გაივლიან.

**- დაბოლოს, ბაქოს ტურნირზე წასაყვანი შემადგენლობაც ვთქვათ.**

- ბაქოში 27-29 ივნისს "ოქროს დიდი პრიზის" ფინალური ტურნირი გაიმართება, სადაც მონაწილეებს კვოტებით იწვევენ. ესენია ლიცენზიანტები, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მედალოსნები და მსოფლიო თასზე ხუთეულში მოხვედრილები. ამ სიით იქ გამოსვლის უფლება ლაშა გოგიტაძემ (55), დავით ბედინაძემ (60), მუხრან მაჭუტაძემ (66), მანუჩარ კვირკველიამ (74), ვლადიმერ გეგეშიძემ (84) და გურამ ფერსელიძემ (120) მიიღეს. მოგვიანებით აზერბაიჯანელებმა წმინდა მეგობრული ჟესტით დამატებით კიდევ 5 კაცის გამოყვანის უფლება დაგვრთეს. ამ ხუთეულისთვის გიორგი გვენეტაძე (55), რევაზ ლაშხი (60), შმაგი გულიაშვილი (74), დავით ქარჩავა (84), გენო ხელია (96) შევარჩიეთ. აი, ასეთი გუნდით ვიჭიდავებთ ბაქოში.

**ირაკლი თავაძე**

ევროპის ჩემპიონატი. U-19

# მწვრთნელი ჩავლეიშვილია



დავით ჩავლეიშვილი

FIRA AER-ის ევროპის ჩემპიონატი ცხრამეტწლამდელ მორაგბეთა შორის წლეულს პირველად ტარდება. პოლონეთის ქალაქ სოპოტში თავს 16 ქვეყნის გუნდი მოიყრის, რომლებიც ორ A და B ჯგუფში განაწილდებიან.

ელიტურ A ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან ერთად რუმინეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, რუსეთის, პოლონეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის გუნდები იასპარეზებენ. ჯგუფში ბოლო ადგილზე გასული მომდევნო წელს B ჯგუფის გამარჯვებულს გაუცვლის ადგილს.

პატარა ბორჯღალოსნების პირველი მეტოქე ჰოლანდიის ნაკრები იქნება. ნაკრების მწვრთნელად კი ახლახან საქართველო ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ყოფილი მწვრთნელი **დავით ჩავლეიშვილი** დაინიშნა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**20 სექტემბერი**

მეოთხედფინალი

**რუმინეთი-ბელგია**
**საქართველო-ჰოლანდია**
**რუსეთი-პოლონეთი**
**ესპანეთი-პორტუგალია**

**24 სექტემბერი**

ნახევარფინალი

**29 სექტემბერი**

ფინალი

# საქართველო კვლავ მეთოთხმეტეა

ორშაბათს, IRB-ის ახალი რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა. მართალია, „ბორჯღალოსნები" კლასიფიკაციაში ადგილიდან არ დაძრულან– კვლავ მე-14 ადგილზე არიან, მათ სიახლოვეს მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება. საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს 69,43 ქულა აქვს და კვლავ 0,24 ქულით ჩამორჩება მე-13 ადგილზე მყოფ ტონგას. ჩვენმა გუნდმა რუმინეთში 25:3 გაანადგურა იტალიის A ნაკრები, მაგრამ ეს შეხვედრა გასაგები მიზეზების გამო რეიტინგზე არ ასახულა. სამაგიეროდ, შეიცვალა ჩვენი მდევარი. მე-15 ადგილზე კანადის ნაკრებმა გადაინაცვლა, კანადამ 68,81 ქულა დააგროვა, მე-16 ადგილზე ჩაიწია იაპონიამ 67,57 ქულით. მოწინავე ათეულში ცვლილება საერთოდ არაა, მსოფლიოს ნომერი პირველი სარაგბო ნაკრები კვლავ სამხრეთი აფრიკაა 90,81 ქულით. „ქურციკებს" მოყვებიან: ახალი ზელანდია – 89,79 ქულა და არგენტინა – 85,42 ქულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი. უიმბლდონი. ქალების ბადე

ივანოვიჩი (სერ, 1)
დე ლოს რიოსი (პარ)
დეში (საფ)
იუანი (ჩინ)
ბალტაჩა (ბრიტ)
კერბერი (გერ)
ჟენგი (ჩინ)
ციბულკოვა (სვკ, 30)
სკიავონე (იტა, 20)
პაჩეკი (ავსტრია)
იანი (ჩინ)
მედინა გარიგესი (ესპ)
რიბარიკოვა (სლოვაკ)
ნიკულესკუ (რუმ)
გარბინი (იტა)
შაფაი (უნგ, 15)
შნიდერი (შვეიც, 12)
დელაკუა (ავსტრა)
ამანმურადოვა (უზბ)
პარმენტიე (საფ)
სტოსური (ავსტრა)
ოლარუ (რუმ)
ონდრაშკოვა (ჩეხ)
ვაიდიშოვა (ჩეხ, 18)
რაზანო (საფ, 27)
როდინა (რუს)
ლაგოსტერა (ესპ)
ვესნინა (რუს)
მოისბურგერი (ავსტრი)
გალოვიტცი (რუმ)
დუბუა (კან)
ჩაკვეტაძე (რუს, 8)
კუზნეცოვა (რუს, 4)
იოჰანსონი (საფ)
კ. ბონდარენკო (უკრ)
ფუჯივარა (იაპ)
პენი (საფ)
სტრიჩოვა (ჩეხ)
საუთი (ბრიტ)
ა. ბონდარენკო (უკრ, 28)
კორნე (საფ, 17)
პავლიუჩენკოვა (რუს)
როდიონოვა (რუს)
ნა ლი (ჩინ)
დომახოვსკა (პოლ)
კრეიბასი (საფ)
ბენეშოვა (ჩეხ)
ა. რადვანსკა (პოლ, 14)
ბარტოლი (საფ, 11)
ლისიცკი (გერ)
პერებიინისი (უკრ)
კვიტოვა (ჩეხ)
მატეკი (აშშ)
ბრემონი (საფ)
დუშევინა (რუს)
კირილენკო (რუს, 19)
მორესმო (საფ, 29)
პერკლროუდი (აშშ)
სეკერა (ვენ)
რუანო პასკუალი (ესპ)
ზაკოპალოვა (ჩეხ)
უ. რადვანსკა (პოლ)
კანეპი (ესტ)
ს. უილიამსი (აშშ, 6)




**ნინა 30 ფინალი**

| | |
|---|---|
| 1978 ნავრატილოვა (ჩეხ)-ევერტი (აშშ) | 2:6, 6:4, 7:5 |
| 1979 ნავრატილოვა (ჩეხ)-ევერტი (აშშ) | 6:4, 6:4 |
| 1980 გულაგონგი (ავსტრა)-ევერტი (აშშ) | 6:1, 7:6 |
| 1981 ევერტი (აშშ)-მანდლიკოვა (ჩეხ) | 6:2, 6:2 |
| 1982 ნავრატილოვა (აშშ)-ევერტი (აშშ) | 6:1, 3:6, 6:2 |
| 1983 ნავრატილოვა (აშშ)-ჯაგერი (აშშ) | 6:0, 6:3 |
| 1984 ნავრატილოვა (აშშ)-ევერტი (აშშ) | 7:6, 6:2 |
| 1985 ნავრატილოვა (აშშ)-ევერტი (აშშ) | 4:6, 6:3, 6:2 |
| 1986 ნავრატილოვა (აშშ)-მანდლიკოვა (ჩეხ) | 7:6, 6:3 |
| 1987 ნავრატილოვა (აშშ)-გრაფი (გერ) | 7:5, 6:3 |
| 1988 გრაფი (გერ)-ნავრატილოვა (აშშ) | 5:7, 6:2, 6:1 |
| 1989 გრაფი (გერ)-ნავრატილოვა (აშშ) | 6:2, 6:7, 6:1 |
| 1990 ნავრატილოვა (აშშ)-გარისონი (აშშ) | 6:4, 6:1 |
| 1991 გრაფი (გერ)-საბატინი (არგ) | 6:4, 3:6, 8:6 |
| 1992 გრაფი (გერ)-სელეში (იუგ) | 6:2, 6:1 |
| 1993 გრაფი (გერ)-ნოვოტნა (ჩეხ) | 7:6, 1:6, 6:4 |
| 1994 მარტინესი (ესპ)-ნავრატილოვა (აშშ) | 6:4, 3:6, 6:3 |
| 1995 გრაფი (გერ)-სანჩეს ვიკარიო (ესპ) | 4:6, 6:1, 7:5 |
| 1996 გრაფი (გერ)-სანჩეს ვიკარიო (ესპ) | 6:3, 7:5 |
| 1997 ჰინგისი (შვეიც)-ნოვოტნა (ჩეხ) | 2:6, 6:3, 6:3 |
| 1998 ნოვოტნა (ჩეხ)-ტოზია (საფ) | 6:4, 7:6(2) |
| 1999 დავენპორტი (აშშ)-გრაფი (გერ) | 6:4, 7:5 |
| 2000 ვ. უილიამსი (აშშ)-დავენპორტი (აშშ) | 6:3, 7:6(3) |
| 2001 ვ. უილიამსი (აშშ)-ანენი (ბელ) | 6:1, 3:6, 6:0 |
| 2002 ს. უილიამსი (აშშ)-ვ. უილიამსი (აშშ) | 7:6(4), 6:3 |
| 2003 ს. უილიამსი (აშშ)-ვ. უილიამსი (აშშ) | 4:6, 6:4, 6:2 |
| 2004 შარაპოვა (რუს)-ს. უილიამსი (აშშ) | 6:1, 6:4 |
| 2005 ვ. უილიამსი (აშშ)-დავენპორტი (აშშ) | 4:6, 7:6(4), 9:7 |
| 2006 მორესმო (საფ)-ანენი (ბელ) | 2:6, 6:3, 6:4 |
| 2007 ვ. უილიამსი (აშშ)-ბარტოლი (საფ) | 6:4, 6:1 |

დემენტიევა (რუს, 5)
კამერინი (იტა)
დიტი (აშშ)
ბაშჩინსკი (შვეიც)
დულკო (არგ)
რეზაი (საფ)
ვორაკოვა (ჩეხ)
დავენპორტი (აშშ, 25)
პეერი (ისრ, 24)
ობრაიენი (აშშ)
საფაროვა (ჩეხ)
ლუა (საფ)
კოენ ალორო (საფ)
ჰსიე (ტაივ)
ჩანი (ტაივ)
საფინა (რუს, 9)
აზარენკა (ბლრ, 16)
პირონკოვა (ბულ)
ბიჩკოვა (რუს)
კირსტეა (რუმ)
სანტანჯელო (იტა)
ანი (ესტ)
გოვორცოვა (ბლრ)
პეტროვა (რუს, 21)
ბამერი (ავსტრია, 26)
არვიდსონი (შვედ)
პენგი (ჩინ)
კუტუზოვა (უკრ)
მაკაროვა (რუს)
კუდრიავცევა (რუს)
ფორეტცი (საფ)
შარაპოვა (რუს, 3)
ვ. უილიამსი (აშშ, 7)
კავადაი (ბრიტ)
კეოტავონგი (ბრიტ)
კინგი (აშშ)
მიულერი (გერ)
მარტინეს სანჩესი (ესპ)
კასტანიო (კოლ)
მირზა (ინდ, 32)
პენეტა (იტა, 22)
ვაკულენკო (უკრ)
სუგიამა (იაპ)
ვიკმაიერი (ბელ)
კლეიბანოვა (რუს)
ობზილერი (ისრ)
ერანი (იტა)
ჰანტუხოვა (სვკ, 10)
ზვონარევა (რუს, 13)
ნაკამურა (იაპ)
ტანასუგარნი (ტაილ)
ჩეტკოვსკა (ჩეხ)
კრაიჩეკი (ჰოლ)
ერაკოვიჩი (ზელ)
გორგესი (გერ)
სრებოტნიკი (სლო, 23)
ვოზნიაჩკი (დან, 31)
ჰრდინოვა (ჩეხ)
ვოზნიაკი (კან)
კორიცევა (უკრ)
ვისკოგოევა (რუს)
სუარეს ნავარო (ესპ)
სავჩუკი (უკრ)
იანკოვიჩი (სერ, 2)

უიმბლდონი I წრე

# პირველი მსხვერპლი ნალბანდიანია

გუშინ, ლონდონის "ოლ ინგლენდ ქლაბის" კორტებზე სტარტი აიღო საჩოგბურთო სეზონის მესამე მთავარმა მოვლენამ, უიმბლდონის ტურნირმა, რომელსაც პირველივე დღეს მისი ყოფილი ფინალისტი, მეშვიდე ნომრად განთესილი არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანი** გამოეთიშა.

არგენტინელ ჩოგბურთელს გუდანაბადი კანადელმა **ფრანკ დანცევიჩმა** ააკვრევინა, ვისაც რეიტინგში 95-ე ადგილი უკავია. არგენტინელმა ვერაფერი დაუპირისპირა ძლიერი მოწოდების მქონე (დანცევიჩმა სულ 16 ეისი მოაწოდა, რომელთაგან ბოლოთი გამარჯვების ქულა მოიპოვა) ჩოგბურთელს და ერთი სეტის მოუგებლად დაემშვიდობა ტურნირს, რომლის ფინალშიც მან 2002 წელს ითამაშა და ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტთან** დამარცხდა.

ტურნირი ოდნავ უკეთ დაიწყო ჰიუიტმა, ვისაც ჰოლანდიელი **რობინ ჰაასეს** დასამარცხებლად ხუთი სეტი დასჭირდა. ჰიუიტს თეძოს ტრავმის გამო, თითქმის მთელი სათიხნარო სეზონი გაუცდა. ოზი მეჩოგნე ამბობს, რომ ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ კორტზე სხარტად მოძრაობას ჯერაც ვერ ახერხებს, ეს კი სერიოზული ნაკლია, რომლის გამოსწორებასაც დრო და სათამაშო პრაქტიკა სჭირდება.

ჰაასესთან შეხვედრაში ჰიუიტს მეტოქის უმძლავრესი მოწოდების გამკლავებაც გაუჭირდა. ჰოლანდიელმა ჩოგბურთელმა შეხვედრის განმავლობაში 28 ეისის მოწოდება მოასწრო, თუმცა ჰიუიტის გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა. თანაც, ჰაასეს პირველი სეტის შემდეგ ორივე ფეხზე მასაჟი დასჭირდა. თუმცა თამაში რომ განაახლა, ტრავმის ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა. მეორე სეტის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც ორი ბრეიკ პოინტი გაანიავა, ავსტრალიელმა ჯავრი ჩოგანზე იყარა.

პირველი წრე იოლად განვლეს ფავორიტებმა, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** და მესამე ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. შვეიცარიელმა სამი სეტი იმყოფინა სლოვაკი **დომინიკ ჰრბატის** დასამარცხებლად, მეორემ კი ერთი სეტი დათმო გერმანელ **მიხაელ ბერერთან** შეხვედრაში.

ტურნირის პირველ დღეს, სენსაციის მომასწავებელი გამოდგა ჯოკოვიჩისა და ბერერის შეხვედრის მეორე სეტი, რომელშიც გერმანელმა ზედიზედ ხუთი გეიმის მოგება შეძლო და მალე სეტებში ანგარიში გაათანაბრა. თუმცა მომდევნო სეტებში ბევრი არაფრით გამოუჩენია თავი და სენსაციაც არ შედგა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**კაცები**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-დომინიკ ჰრბატი (სლვკ) 6:3, 6:2, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)**-მიხაელ ბერერი (გერმ) 7:5 2:6 6:3 6:0; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 7:6(6), 6:3, 3:1 სტახოვსკი გამოეთიშა; **მარკოს ბალდატისი (კვიპ, 10)**-სტივ დარცისი (ბელგ) 6:3 6:2, 6:7(5), 6:3; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 11)**-ევგენი კოროლევი (რუს) 4:6 6:1 6:4 3:6 7:5; **სტანისლას ვავრინკა (შვეი, 13)**-მარკოს დანიელი (ბრა) 6:3, 6:2, 7:5; **ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 15)**-რობი გინეპრი (აშშ) 7:6(3), 7:5, 7:5; **სიმონ შტადლერი (გერმ)**-ივო კარლოვიჩი (ხორვ, 18) 4:6 7:6(4) 6:3 7:5; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალ, 20)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:7(4), 6:3, 6:3 6:7(1), 6:2; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 21)**-სემ ქვერი (აშშ) 2:6, 6:4, 6:4, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 22)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერმ) 6:4, 6:3, 6:2; **ანდრეას ზეპი (იტა, 29)**-ტობიას კამკე (გერმ) 5:7, 6:3, 6:2, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ, 31)**-ბრაიან დაბული (არგ) 7:6(1), 3:6, 6:3, 6:4; **მარიო ანჩიჩი (ხორვ)**-მიშელ ლოდრა (საფრ, 32) 6:4, 7:6(7), 2:0 ლოდრა გამოეთიშა; **ფლორენ სერა (საფრ)**-ლუ იენ-ჰსუნი (ტაივ) 6:4, 6:4, 6:7(3), 6:3; **ილია ბოზოლიაცი (სერბ)**-კრის გუჩონე (ავსტრალ) 3:6, 6:4, 6:4 6:3; **ოლივიე როხუსი (ბელგ)**-დუდი სელა (ისრ) 6:4, 7:5, 6:4; **თომას ბელუჩი (ბრა)**-იგორ კუნიცინი (რუს) 7:6(5) 7:6(5) 3:6 6:2; **სიმონე ბოლელი (იტა)**-ალექს ბოგდანოვიჩი (ბრიტ) 7:6(4) 4:6 6:3 7:6(4); **ტომას იოჰანსონი (შვედ)**-ვინს სპადეა (აშშ) 6:7(8), 6:7(5), 6:3, 6:4, 6:3; **ალბერტ მონტანესი (ესპ)**-კარლოს ბერლოში (არგ) 6:3, 7:6(2), 6:4; **მიშა ზვერევი (გერმ)**-ალექსანდერ პეია (ავსტ) 6:3, 6:4, 6:4; **რობინ სოდერლინგი (შვედ)**-კევინ კიმი (აშშ) 7:5, 0:6, 6:3, 6:4; **როკო კარანუშიჩი (ხორვ)**-ლუის ორნა (პერუ) 7:6(4), 6:3, 6:1; **მარკ გიშელი (საფრ)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 4:6, 7:5 ნიშიკორი გამოეთიშა; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-პაველ სნობელი (ჩეხ) 6:4, 6:2, 6:3; **ბობი რეინოლდსი (აშშ)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:2, 6:2 ვოლანდრი გამოეთიშა; **ფილიპ პეტჩშნერი (გერმ)**-ჰიუნ-ტაიკ ლი (სამხ.კორეა) 6:7(4), 6:1, 6:4 ლი გამოეთიშა; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-ალეხანდრო ფალა (კოლუ) 6:3, 6:7(2), 6:0, 6:4; **მარატ საფინი (რუს)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:1, 6:2, 5:4; **იგორ ანდრეევი (რუს)**-ირჟი ვანეკი (ჩეხ) 6:7, 7:6, 6:2, 6:2; **ფრანკ დანცევიჩი (კან)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 7) 6:4, 6:2, 6:4

**ქალები**

**ანა ივანოვიჩი (სერბ, 1)**-როსანა დე ლოს რიოსი (პარაგ) 6:1, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 4)**-მატილდ იოჰანსონი (საფრ) 6:7(5), 7:5, 6:3; **სერენა უილიამსი (აშშ, 6)**-კაია კანეპი (ესტ) 7:5, 6:3; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 8)**-სტეფანი დუბუა (კან) 2:6, 6:1, 8:6; **მარიონ ბარტოლი (საფრ, 11)**-საბინ ლისიცკი (გერმ) 6:2, 6:4; **კეისი დელაკვა (ავსტრალ)**-პატი შნიდერი (შვეი, 12) 6:4, 3:6, 6:1; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 14)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:3, 6:0; **აგნეშ შავაი (უნგრ, 15)**-ტატიანა გარბინი (იტა) 6:1, 6:3; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს)**-ალიზე კორნე (საფრ, 17) 7:6(6), 7:6(4); **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 18)**-სუზანა ონდრაშკოვა (ჩეხ) 6:2, 6:2; **ვერა დუშევინა (რუს)**-მარია კირილენკო (რუს, 19) 6:3, 6:3; **ევგენია როდინა (რუს)**-ვირჟინი რასანო (საფრ, 27) 0:6, 6:2, 6:4; **ალონა ბონდარენკო (უკრ, 28)**-მელანი საუთი (ბრიტ) 6:3, 6:7(1), 6:4; **ამელი მორესმო (საფრ, 29)**-ემილი პერკლროუდი (აშშ) 6:4, 6:3; **ძი ჭენი (ჩინ)**-დომინიკა ციბულკოვა (სლვკ, 30) 6:4, 6:3; **ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ)**-მილაგროს სეკერა (ვენ) 6:1, 6:4; **ედინა გალოვიცი (რუმ)**-ივონ მოისბურგერი (ავსტრ) 6:1, 6:2; **ბეთანი მატეკი (აშშ)**-სევერინ ბრემონი (საფრ) 5:7, 6:0, 6:1; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-რიკა ფუძივარა (იაპ) 1:6, 6:4, 6:3; **ლი ნა (ჩინ)**-ანასტასია როდიონოვა (რუს) 3:6, 6:0, 6:1; **პაულინ პარმენტიე (საფრ)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 7:5, 6:4; **ელენა ვესნინა (რუს)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 6:7(6), 6:4, 6:4; **ნატალი დეში (საფრ)**-იუან მენი (ჩინ) 6:7(7), 6:3, 6:0; **ელენა ბალტაჩა (ბრიტ)**-ანგელიკ კერბერი (გერმ) 6:3, 2:6, 7:5; **ურსულა რადვანსკა (პოლ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:1, 6:4; **სამანტა სტოშური (ავსტრალ)**-იოანა რალუკა ოლარუ (რუმ) 6:2, 6:2; **მარტა დომახოვსკა (პოლ)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:1, 3:6, 6:4; **ტატიანა პერებიინისი (უკრ)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ) 6:4, 0:6, 6:4; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-ძი იანი (ჩინ) 6:3, 6:0; **ბარბორა სტრიჩოვა (ჩეხ)**-კამილ პენი (საფრ) 7:5, 4:6, 7:5;

ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 20)-ტამირა პაშეკი (ავსტრ) 6:3, 4:4 შეწყდა

მაგდალენა რიბარიკოვა (სლვკ)-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:1, 3:6, 4:2 შეწყდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. სავარაუდო ტრანსფერები

# კლივლენდი ვარსკვლავის ძიებაში და სხვა ამბები



ლებრონს ვარსკვლავი სჭირდება

პირველი ივლისიდან ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სატრანსფერო ბაზარი გაიხსნება და კლუბები შემადგენლობების გაძლიერების შესაძლო ვარიანტებს განიხილავენ.

"კლივლენდ კავალიერზში" ხვდებიან, რომ მხოლოდ **ლებრონ ჯეიმსით** წარმატების მიღწევა ძალიან რთულია და ამის გამო, კლუბის შეფობა ამ ზაფხულს, NBA-ის რომელიმე ვარსკვლავის დამატებას შეეცდება. ასე მაგალითად, კლივლენდელებს უკვე მზად აქვთ წინადადება "მილუოკისთვის". კერძოდ, "კავალიერზს" "ბაქსიდან" **მაიკლ რედის** გადაბირება სურს, სანაცვლოდ კი, მცველ **ული შჩერბიაკსა** და მძიმე ფორვარდ **ანდერსონ ვარეჟაოს** თმობს.

Cleveland Plain Dealer-ის ინფორმაციით, თუ "მილუოკი" ამ წინადადებას არ დათანხმდება, "კლივლენდი" ყურადღებას "გოლდენ სტეიტის" გამთამაშებელ **ბაირონ დევისსა** და "კლიპერსის" ფორვარდ **ელტონ ბრენდზე** გადაიტანს.

ამასობაში ირკვევა, რომ "კავალიერზის" შეფობა ორი კალათბურთელის შენარჩუნებას აპირებს. 1 ივლისიდან თავისუფალი აგენტები ხდებიან მცველები - **დანიელ გიბსონი** და **დელონტე უესტი** და კლუბის ხელმძღვანელობამ ორივეს ახალი კონტრაქტი შესთავაზა. ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მომავალი თვის დასაწყისში გაიმართება.

■ ■ ■

დიდი გეგმები აქვს "დეტროიტ პისტონზსაც". უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ კლუბის პრეზიდენტმა **ჯო დუმარსმა** გამოაცხადა - ამიერიდან, გუნდში ხელშეუხებელი კალათბურთელი არ არსებობს და მომავალ ტრეიდებში ნებისმიერი მათგანი შეიძლება იყოს ჩართულიო.

როგორც ESPN.com იტყობინება, "დეტროიტი" გრანდიოზულ ტრეიდს ამზადებს. ის "დენვერ ნაგეტსს" სთავაზობს სასტარტო ხუთეულის ორ წევრს - **ჩონსი ბილაპსსა** და **ტაიშონ პრინსს**, სანაცვლოდ კი, ფორვარდ **კარმელო ენტონის** ითხოვს. ახლა, ჯო დუმარსი "ნაგეტსის" ხელმძღვანელობის პასუხს ელის.

კიდევ ერთი ცნობა, რომელიც "დენვერს" შეეხება. ამ გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა **ალენ აივერსონმა** გადაწყვიტა, არ გაწყვიტოს კლუბთან მოქმედი კონტრაქტი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაბიჯი ვეტერან კალათბურთელს 20 მილიონით უფრო მდიდარს გახდის.

*"ჩემს კლიენტს "დენვერში" საქმეები კარგად მისდის და ამიტომაც არ აპირებს ამ ზაფხულს კლუბის გამოცვლას"*, - აცხადებს კალათბურთელის აგენტი **ლეონ როუზი**.

Denver Post-ის ცნობით, "ნაგეტსის" ხელმძღვანელობას კიდევ მოუწევს აივერსონთან მოქმედი კონტრაქტის გაგრძელებაზე მოლაპარაკებები. თუ მხარეები შეთანხმებამდე ვერ მივლენ, მომდევნო ზაფხულს ალენი თავისუფალი აგენტი გახდება.

■ ■ ■

ორი საინტერესო წინადადება უდევს მაგიდაზე "ფინიქსის" გენერალურ მენეჯერს, **სტივ კერს**.

პირველი გარიგება ამ კლუბს "პორტლენდმა" შესთავაზა. ამ უკანასკნელს ბრაზილიელი თავდამსხმელის, **ლეანდრო ბარბოზას** დამატება სურს და მიზნის მისაღწევად, "სანზს" ფორვარდ **მარტელ უებსტერსა** და მომავალ დრაფტში მე-13 ნომრის არჩევის უფლებას სთავაზობს.

მეორე წინადადება "ტორონტო რეპტორზისგან" არის. კანადელებს მიაჩნიათ, რომ მათი შემადგენლობის გაძლიერება ფრანგ ლეგიონერ **ბორის დიაოს** შეუძლია. თუ "ფინიქსი" "რეპტორზთან" თანამშრომლობაზე წავა, დიაოს სანაცვლოდ მას გამთამაშებელი **ტი ჯეი ფორდი** და მე-17 დრაფტ-პიკი დარჩება.

**მოამზადა გია თვალაბეიშვილმა**

კრივი. სატიტულო ბრძოლები

# მეფე აბრაჰამმა პანტერა დაამარცხა

IBF-ის (კრივის საერთაშორისო ფედერაცია) ვერსიით საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონი, გერმანიის სახელით მოასპარეზე სომეხი **არტურ აბრაჰამი** გასულ უქმეებზე, ფლორიდის ჰოლივუდში კოლუმბიელ "პანტერა" **ედისონ მირანდას** რემატჩში შეხვდა და მეორედაც, ამჯერად ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა.



წინა ბრძოლისგან განსხვავებით, რომელიც ორი წლის წინათ, სექტემბერში ჩატარდა, ამჯერად რინგზე აბრაჰამს თავისი ქამარი არ გამოუტანია, რადგან ბრძოლა საშუალედო წონაში შედგა. თუმცა, ამის მიუხედავად, ორივე მოკრივე მეორე ჯახისთვის მთელი სერიოზულობით მოემზადა.

საქმე ისაა, რომ პირველ ბრძოლაში, აბრაჰამმა, ვისაც კრივის სამყარო "მეფე არტურის" მეტსახელით იცნობს, "პანტერა" ყბამოტეხილმა, ქულებით დაამარცხა. მაშინ მირანდამ აბრაჰამს ყბა მეხუთე რაუნდში მოსტეხა. მაგრამ შემდეგ, თავური და წელსქვევით დარტყმებისთვის, ხუთი ქულა (!) დაკარგა და ქულებით დათმო 12-რაუნდიანი ბრძოლა. ნაგებამ მირანდა რინგზევე აატირა მან და პირდაპირ განაცხადა, მსაჯებმა გამარჯვება საქვეყნოდ მომპარესო.

ასე იყო თუ ისე, ჩემპიონმა რემატჩის საშუალება მისცა. ოლონდ, ამჯერად რინგზე თავისი ქამრის გამოტანისგან თავი შეიკავა. *"მე ნამდვილი ჩემპიონი ვარ, ჩემპიონები კი ყოველთვის თავის თავში არიან დარწმუნებულნი"*, - ბრძოლამდეც და ბრძოლის შემდეგაც განაცხადა აბრაჰამმა (27-0, 22 ნოკაუტი), რომელმაც ამჯერად შავი დღე აყარა თავგასულ მეტოქეს.

არადა, პირველი ორი რაუნდი მან დაცვაში გაატარა. გონგიდან გონგამდე, მას თავი ხელებით ჰქონდა დაფარული და ყოველთვის ცდილობდა, მეტოქის შეტევებისთვის თავი აერიდებინა. კოლუმბიელმა, როცა თავისი აგრესიულობით მიზანს ვერ მიაღწია, კვლავ ზედმეტად მოინდომა და ჩემპიონს წელსქვევით დაარტყა, რისთვისაც რეფერიმ მხოლოდ გაფრთხილება აკმარა.

მესამეში აბრაჰამი გაიხსნა და მეტოქეს რამდენიმე დარტყმაც აგემა. როგორც ჩანს, ეს "მეფის" მიერ ჩატარებული "ბრძოლით დაზვერვა" იყო. ყოველ შემთხვევაში, მეოთხე რაუნდის დასაწყისშივე, მან განმგმირავი დარტყმები აგემა მირანდას (30-3, 26 ნოკაუტი). მეოთხე რაუნდის დაწყებიდან ნახევარი წუთიც არ იყო გასული, რომ ჩემპიონის ცაცია ჰუკმა მირანდა რინგზე დასცა. მართალია, კოლუმბიელი სწრაფად წამოდგა, მაგრამ აშკარა იყო, რომ მისი ბრძოლისუნარიანობა მკვეთრად შემცირდა. ეს რომ ასე იყო, მალე დადასტურდა – მორიგმა ცაცია ჰუკმა კოლუმბიელს მეორე ნოკდაუნი აგემა. რეფერიმ მირანდას ამჯერადაც რვამდე დათვლა აკმარა, მაგრამ როცა "მეფე" არტურმა ისევ თავისი ცაციათი, მეტოქე მესამედაც დასცა (მეოთხე რაუნდის დაწყებიდან 1 წუთისა და 13 წამის შემდეგ), ხელები გაასავსავა და ბრძოლაც ტექნიკური ნოკაუტით შეწყვიტა.

ახლა აბრაჰამი საშუალო წონის საუკეთესო მოკრივის, ამერიკელი **კელი პავლიკის** გამოწვევას აპირებს და რა თქმა უნდა, მისი მიზანი ამ წონში გაბატონებაა.

პარალელურად, კოპენჰაგენში (დანია), დანიელმა **მიკელ კესლერმა** (40-1, 22 ნკაუტი), ვინც პროფესიულ კარიერაში პირველი მარცხი ნოემბერში, უელსელი **ჯო კალძაგესგან** ინვნია და მას ზესაშუალო წონაში ერთბაშად ორი, WBA-ის (კრივის მსოფლიო ასოციაცია) და WBC-ს (კრივის მსოფლიო საბჭო) ტიტულები დაუთმო, გერმანელი (ყაზახეთში დაბადებული) **დიმიტრი სარტისონი** (22-1) ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა და WBA-ის ვაკანტურ ტიტულს (კალძაგე ქვემძიმეში გადავიდა) დაეუფლა.

კესლერმა სარტისონი პირველად ბოლოსწინა რაუნდში დააგდო, მაგრამ გერმანელმა წამოდგომა შეძლო. მომდევნო, ბოლო რაუნდში, როცა კესლერმა მეტოქე ისევ დასცა, რეფერიმ ბრძოლის გაგრძელებისგან თავი შეიკავა და დანიელის სასარგებლოდ ტექნიკური ნოკაუტი დააფიქსირა.

**მოამზადა მერაბ ლორთქიფანიძემ**

## TV სპორტი

### 24 ივნისი. შაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:20 ევრო 2008. საუკეთესო მატჩები.
15:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:45 ევრო 2008. საუკეთესო მატჩები.
17:50 საფეხბურთო კლუბი.
18:50 ევრო 2008. საუკეთესო მატჩები.
21:00 საფეხბურთო კლუბი.
22:00 ევრო 2008. საუკეთესო მატჩები.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:15 მძლეოსნობა.
09:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლევერკუზენი-შალკე.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ხორვატია-თურქეთი.
13:00 სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
13:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლაციო-მილანი.
15:10 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. სან ხოსე-დეტროიტი.
17:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ატლეტიკო-ბარსელონა.
18:40 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ბირმინგემი. ინგლისი.
21:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. საუკეთესო მატჩები.
23:20 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ხორვატია-თურქეთი.
01:15 წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
01:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლევერკუზენი-შალკე.
03:25 მძლეოსნობა.
05:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლაციო-მილანი.

#### EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
11:30 მაუნტინბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
12:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ფინალი. იტალია.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
14:00 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ესპანეთი-იტალია.
16:00 სნუკერი. მსოფლიო სერია. II დღე. ჯერსი. ბრიტანეთი.
17:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ჰოლანდია-რუსეთი.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
20:15 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. პორტუგალია-გერმანია.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
22:15 პროფესიული კრივი. მჩატე ზონა. გ. სტარქსი (აშშ)-ა. ლედესმა (კოლუმბია). გოუ იორკი. აშშ.
23:00 პროფესიული კრივი.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ხორვატია-თურქეთი.

#### EUROSPORT-2

09:00 ახალი ამბები.
09:15 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი.
11:00 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ხორვატია-თურქეთი.
13:45 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. მანი-კური. საფრანგეთი.
14:15 ახალი ამბები.
16:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ფინალი. იტალია.
17:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. ჩიკაგო-დალასი.
18:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ტაილანდი. ჩინეთი.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. პორტუგალია-გერმანია.
23:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთის გრან პრი.
01:00 ახალი ამბები.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### შვედეთი

II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ატვიდაბერგი-ენჩოპინგი | 2:1 |
| დეგერფორსი-კვიდინგი | 0:0 |
| იონჩოპინგი-სირიუსი | 2:2 |
| ბუნკეფლო-ვასბი | 0:3 |
| მიალბიუ-ჰაკენი | 0:2 |
| იორგრიტე-ბრომაპიოკარნა | 5:0 |

#### ისლანდია

| | |
|---|---|
| აკრანესი-ტროტური | 1:1 |
| ჰკ-რეიკიავიკი | 0:3 |
| კეფლავიკი-ფიოლნირი | 1:2 |
| ფრამი-ბრეიდაბლიკი | 2:1 |

ველოსპორტი. პრო ტური

# კროიციგერის მოულოდნელი ტრიუმფი

ტურ დე ფრანსისწინა მოსამზადებელი ბოლო ტურნირი – შვეიცარიის ტური ჩეხი **რომან კროიციგერის** გამარჯვებით დასრულდა. კროიციგერი, ვინც ოთხი წლის წინათ, საგზაო ველორბოლაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, პირველი ჩეხი ველომრბოლია, ვინც შვეიცარიული, ცხრადღიანი ტურის მოგება შეძლო.

კროიციგერმა ლიდერის ყვითელი მაისურა შაბათს, მას შემდეგ იგდო ხელთ, რაც სამთო დროზე რბოლაში გაიმარჯვა. საბოლოოდ, გამარჯვებულს 49 წამით ჩამორჩა "ასტანას" გერმანელი ველომრბოლი **ანდრეას კლოდენი**, ვინც სამწუხაროდ, საფრანგეთის ველომარათონზე ვერ იასპარეზებს.

*"ეს ჩემი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებაა. მოყვარულობისას, შვეიცარიის გზებზე არაერთხელ მიასპარეზია და მიხარია, რომ პროფესიონალობაში პირველი მრავალეტაპიანი რბოლა აქ მოვიგე. ორი დღის წინათ, დროზე რბოლის მოგების შემდეგვე ვიცოდი, რომ მთლიანად რბოლის მოგებაც შემეძლო. ახლა კი მიზანს მივაღწიე და ამით ბედნიერი ვარ. ადვილი არც ბოლო ეტაპი ყოფილა, მაგრამ თანაგუნდელების წყალობით, პოზიციის შენარჩუნება არ გამჭირვებია"*, - განაცხადა 22 წლის ჩეხმა, ვისთვისაც პირველი ველომარათონი შარშანდელი ვუელტა იყო, წლეულს კი ფრანგულ ტურზე პირველად იასპარეზებს.

შვეიცარიული ტურის ბოლო ეტაპი კი შვეიცარიელმა **ფაბიან კანჩელარამ** მოიგო. დროზე ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონმა მეშვიდე ეტაპიც მოიგო და ამჯერადაც, ბოლო კილომეტრებზე წამოწყებული შეტევის წყალობით მიაღწია გამარჯვებას, რომელიც მისთვის ორმაგად სასიხარულო იყო – ბერნი მისი მშობლიური ქალაქია.

სხვათა შორის, კანჩელარამ ამ სეზონში მილანი-სან რემოს კლასიკური რბოლის მოგებითაც გამოიჩინა თავი, შარშან კი ფრანგული ტურის მესამე ეტაპი მოიგო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### შვეიცარიის 72-ე ტური

მე-9 ეტაპი. ალტდორფიდან ბერნამდე (168 კმ)

**1. ფაბიან კანჩელარა (შვეიცარია, CSC) 4:01.07 (41.905 კმ/სთ); 2. ფილიპ ჟილბერი (ბელგია, ფრანსის დე ჟუ); 3. დანიელ მორენო ფერნანდესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.04; 4. მატეო ტოსატო (იტალია, ქვიკ სტეპი) 0.05...**

საბოლოო კლასიფიკაცია

**1. რომან კროიციგერი (ჩეხეთი, ლიკვიგაზი) 35:43.46; 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 0.49; 3. იგორ ანტონ ფერნანდესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 1.55; 4. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) 2.11; 5. ტომას ლოვკვისტი (შვედეთი, ჰაი როუდი) 2.37...**

მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი

### VIII ეტაპი

#### (ბრიტანეთის გრან-პრი)

#### 125 cc

1. სკოტ რედინგი (ბრიტანეთი, "აპრილია") - 41.39,472; 2. მაიკ დი მელიო (საფრანგეთი, "აპრილია) - +5,324; 3. მარკ მარკესი (ესპანეთი, KTM) - +5,806; 4. სერხიო გადეა (ესპანეთი, "აპრილია") - +13,990; 5. სიმონე კორსი (იტალია, "აპრილია") - +16,855; 6. ტომოიაში კოიამა (იაპონია, KTM) - +17,181.

**საერთო ჩათვლა:** 1. მაიკ დი მელიო - 132 ქულა; 2. სიმონე კორსი - 109; 3. შტეფან ბრადლი (გერმანია, "აპრილია") - 77; 4-5. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, "აპრილია"), პოლ ესპარგარო (ესპანეთი, "დერბი") - 75; 6. ხოან ოლივე (ესპანეთი, "დერბი") - 74.

#### 250 cc

1. მიკა კალიო (ფინეთი, KTM) - 42.14,410; 2. მარკო სიმონჩელი (იტალია, KTM) - +0,353; 3. ალვარო ბაუტისტა (ესპანეთი, "აპრილია") - +1,237; 4. ექტორ ბარბერა (ესპანეთი, "აპრილია") - +8,875; 5. თომას ლუტი (შვეიცარია, "აპრილია") - +11,359; 6. ჰიროში აოიამა (იაპონია, KTM) - +16,124.

**საერთო ჩათვლა:** 1. მიკა კალიო - 131 ქულა; 2. მარკო სიმონჩელი - 123; 3. ალექს დებონი (ესპანეთი, "აპრილია") - 101; 4. მატია პაზინი (იტალია, "აპრილია") - 98; 5. ექტორ ბარბერა - 82; 6. ჰიროში აოიამა - 80.

#### მოტოგრანპრი

1. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, "დუკატი") - 44.44,982; 2. ვალენტინო როსი (იტალია, "იამაჰა") - +5,789; 3. დანიელ პედროსა (ესპანეთი, "ჰონდა") - +8,347; 4. კოლინ ედვარდსი (აშშ, "იამაჰა") - +12,678; 5. ანდრეა დოვიციოზი (იტალია, "ჰონდა") - +14,801; 6. ხორხე ლორენსო (ესპანეთი, "იამაჰა") - +15,690.

**საერთო ჩათვლა:** 1. ვალენტინო როსი - 162 ქულა; 2. დანიელ პედროსა - 151; 3. კეისი სტოუნერი - 117; 4. ხორხე ლორენსო - 104; 5. კოლინ ედვარდსი - 82; 6. ანდრეა დოვიციოზი - 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს უიმბლდონია



**როლან გაროსის შემდეგ ვნებები ჯერ არ ჩამცხრალა და ჩოგბურთელებს კარს მოადგა "დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირი. 23 ივნისს, ლონდონის მშვიდ გარეუბანში საჩოგბურთო სიგიჟე იწყება - მას უიმბლდონი ჰქვია. ეს არის მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული, ძველი და მდიდარი ტურნირი.**

ბევრ ჩოგბურთელს არ უყვარს უიმბლდონი. რაც არ უნდა იყოს, ჩვენს დროში ბალახის კორტები ერთგვარ ანაქრონიზმს წარმოადგენს. მთელი სეზონის განმავლობაში, პროფესიონალი ჩოგბურთელები ბალახზე ზუსტად ოთხი კვირა თამაშობენ. აქ არ არის გრძელი გათამაშებები, რაც ასე უყვარს პუბლიკას. და ბალახიც, ტურნირის მეორე კვირის დასაწყისისთვის, თითქმის მთლიანად გადათელილია. ყველას ახსოვს ლეგენდარული **ივან ლენდლის** სიტყვები - ბალახი კარგია ძროხებისთვის, ჩოგბურთში კი, ბევრი სხვა საფარი არსებობსო. ყოფილმა ჩეხოსლოვაკიელმა ისე დაასრულა კარიერა, ერთხელაც ვერ მოიგო უიმბლდონი, თუმცა ორჯერ ფინალში გაღწევა შეძლო.

ეს ყველაფერი კარგად იციან All England Lawn Tennis & Croquet Club-ის მფლობელებმაც, რომლებიც ინგლისის ჩოგბურთის ფედერაციასთან ერთად ატარებენ უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არც მათ აქვთ ყოველ წელიწადს ახალი გაზონის (ბალახს სპეციალურად ზრდიან იორკშირის ერთ-ერთ ფერმაში) დაგების დიდი სურვილი. მაგრამ ეს ხომ ინგლისია - აქ დიდი მოწიწებით ეპყრობიან ყველაფერს, რაც ცოტათი მაინც უკავშირდება ისტორიას.

უიმბლდონს კი, ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველი ტურნირი 1877 წელს გაიმართა. მაშინ პირველობა მხოლოდ მამაკაცებს შორის ერთეულთა თანრიგში გათამაშდა და ერთბაშად 500 მაყურებელს მოუყარა თავი. ყოველმა მათგანმა თითო შილინგი დახარჯა მატჩების სანახავად.

მაყურებლების რაოდენობას რაც შეეხება, უიმბლდონის არსებობის 131-წლიან ისტორიაში, ის დაახლოებით ათასჯერ გაიზარდა - ყოველწლიურად, ორი კვირის განმავლობაში, კორტებს ნახევარი მილიონი გულშემატკივარი სტუმრობს. აჟიოტაჟი მართლაც დიდია. ეს არის, ალბათ, "დიდი სლემის" ერთადერთი ტურნირი, სადაც საჩოგბურთო კომპლექსის გარშემო კარვების ქალაქები იშლება. ტურნირის დღეებში, ლონდონის საშუალო დონის სასტუმროებში თავისუფალი ოთახების სერიოზული დეფიციტი შეინიშნება, ხოლო ძვირფას სასტუმროში გაჩერების საშუალება ბევრს არ აქვს.

გარდა ამისა, უიმბლდონი ერთ-ერთი იშვიათი ადგილია ბრიტანეთში, სადაც შეიძლება ბილეთებზე უგრძესი რიგები ნახოთ. რიგში კვლავ ის ადამიანები დგანან, რომლებიც სიმდიდრით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ ძალიან სურთ ცენტრალურ ან პირველ კორტზე კარგი საჩოგბურთო მატჩის ნახვა. ყოველდღიურად, გასაყიდად გამოაქვთ არაუმეტეს 500 ბილეთისა (დანარჩენი ადრე იყიდება) და აქ ფასები უფრო დაბალია, ვიდრე ამას ავტორიზებული სააგენტოები გვთავაზობენ. სხვაობა დაახლოებით 30 პროცენტია: ტურნირის პირველ 10 დღეს, ბილეთი 40 დოლარი ღირს, ბოლო ოთხ დღეს, ანუ გადამწყვეტ მატჩებზე - 130 დოლარი. ზედმეტი ბილეთისთვის ნადირობა - ეს საჩოგბურთო ექსტრემალების გზაა. ხელზე ბილეთის ყიდვა მაინც რისკთან არის დაკავშირებული - გამორიცხული არაა, რომ ყალბი ბილეთი შემოგაჩეჩონ.

უფრო მშვიდი და ბანალური გზაა - შეიძინოთ ტური უიმბლდონზე. თუმცა ეს ძვირი სიამოვნებაა. მაგალითად, ტურნირის პირველ კვირაზე დასწრება, ორ ადამიანს ჯამში 5560 დოლარი დაუჯდება. ამ თანხაში არ შედის თვითმფრინავის ხარჯები. მეორე კვირისთვის, ასეთი პაკეტი უკვე 7360 დოლარს უტოლდება (ასევე ორი ადამიანისთვის). ხოლო იმავე მეორე კვირას, უმაღლეს დონეზე მომსახურება 20 ათასი დოლარი ღირს (და კვლავ, თვითმფრინავის ხარჯების ჩაუთვლელად).

ასეთი დიდი თანხის გადახდის მიუხედავად, VIP მომსახურებას მაინც ვერ მიიღებთ. უიმბლდონი, არა როგორც ტურნირი, არამედ როგორც ორგანიზაცია, წინა პლანზე თავის წევრებს აყენებს. სულ კლუბში 375 მუდმივი და დაახლოებით ასამდე დროებითი წევრი არსებობს, რომლებსაც ყოველწლიურად გადაირჩევენ ხოლმე. ამ ელიტისთვის, აგრეთვე საერთაშორისო საჩოგბურთო ფედერაციების უმაღლესი რანგის ფუნქციონერებისთვის არსებობს სამეფო ლოჟა, რომელიც მხოლოდ 75 სტუმარს იტევს (სხვათა შორის, თავად დედოფალი სამჯერ სტუმრობდა უიმბლდონს - 1957, 1962 და 1977 წლებში) და ოდნავ მოკრძალებული - International Box.

მაგრამ ასეთი კარჩაკეტილობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არაარისტოკრატული წარმოშობის მდიდარ მოქალაქეებს არ შეუძლიათ საკუთარი თავისთვის სამეფო კომფორტის შექმნა.

ოფიციალურად, უიმბლდონზე VIP-ადგილები არ იყიდება. მათ ნაცვლად შესაძლებელია ობლიგაციების შეძენა. კლუბის მფლობელებმა პირველად ასეთი ნაბიჯი 1920 წელს გადადგეს. იმ მომენტისთვის ტურნირი უკვე უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა და არენა ყველა მსურველს ვერ იტევდა. იმისთვის, რომ სტადიონი გაეფართოვებინათ, საჭირო იყო უიმბლდონის პარკის მიმდებარე მიწების შეძენა - სულ 53 ჰექტარი, რაშიც 75 ათასი ფუნტი უნდა გადაეხადათ.

50 ფუნტად ღირებული ობლიგაციები სწრაფად გაიყიდა. უფრო მეტიც, ყველას არ ეყო და დამატებით დაბეჭვდა დასჭირდათ. ობლიგაციას რაღაც მოგებაც მოჰქონდა, მაგრამ მას ამისთვის არ ყიდულობდნენ. ამ "ფასიანი" ქაღალდის მფლობელს გარანტირებული ჰქონდა ცენტრალურ ან პირველ კორტზე გასამართ ყოველ მატჩზე პირველი კლასის ბილეთის შეძენის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ობლიგაციის მფლობელს შეეძლო პუბლიკისთვის დახურულ ადგილებზე შეღწევა. მოკლედ, ექსპერიმენტი იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ ობლიგაციებს დღემდე ყიდიან. უკანასკნელად ასეთი აქცია 2006 წელს ჩატარდა. ხუთწლიანი ობლიგაციები 9 ათას ფუნტად გაიყიდა და საერთო შემოსავალმა 460 ათასი ფუნტი შეადგინა. ასეთი ქაღალდის მფლობელს, ძველებურად უნარჩუნდებათ ტურნირის დასწრებისას ყველაზე კომფორტული პირობები.

ობლიგაცია არამხოლოდ კარგი ბილეთის შეძენის საშუალებას იძლევა. უფლება გაქვთ Renshaw Restaurant-ში ან ორ სპეციალურ ბარში ისადილოთ. ინტერიერის მხრივ, განსაკუთრებული არაფერია - საკმაოდ უბრალო, მაგრამ გემოვნებიანი რესტორანი, სადაც ძირითადად იასამნისფერი და მწვანე სჭარბობს - უიმბლდონის ოფიციალური ფერები. სხვათა შორის, ფასები არც ისე მაღალია. ყველაზე ძვირფასი ღვინო დაახლოებით 28 ფუნტი ღირს, შამპანური უფრო ძვირია - 50 ფუნტი. კერძებს რაც შეეხება, მაგალითად, შოტლანდიური ლობსტერი ანანასითა და მანგოთი 26 ფუნტი დაგიჯდებათ. ხოლო ცნობილი უიმბლდონური მარწყვი ნაღებით, რაც ორი კვირის განმავლობაში 150 ათასი პორცია იყიდება, სულ რაღაც 2 ფუნტი ღირს.

რა თქმა უნდა, სასურველი ობლიგაციები უკვე გაყიდულია, მაგრამ მეორად ბაზარზე მაინც შეიძლება მათი შოვნა. ლონდონში ბევრი ისეთი სააგენტო არსებობს, რომლებიც მათ ხელთ არსებულ "ფასიან" ქაღალდებს არენდით იძლევიან. მაგალითად, მისამართზე www.tickets4tennis.com, 9 ათას ფუნტად შეგიძლიათ მოიწყოთ უიმბლდონზე დაუვიწყარი 4-დღიანი ტური (რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება გადამწყვეტი მატჩების დღეები).

ბუნებრივია, All England Lawn Tennis & Croquet Club-ში ყოფნა მხოლოდ ჩოგბურთის მატჩების ყურებით არ შემოიფარგლება. აქ მარტო სეირნობაც საინტერესოა. ბევრი რამის დათვალიერება შეიძლება - ძეგლების, მუზეუმის, სადაც უკვე რამდენიმე ათასი ექსპონატი ინახება. ტურები ყოველდღე ეწყობა. ღირებულება 15 ფუნტს შეადგენს. აქვეა ძალიან ლამაზი ყვავილების ბაღები, რომლებსაც ყოველ წელიწადს თავიდან რგავენ. ამ საკითხით უკვე 30 წელიწადია, კომპანია Denny & Son არის დაკავებული, რომელიც ყოველწლიურად 57 ათას სხვადასხვა ყვავილს აწვდის კლუბს. ტურნირის დასრულების შემდეგ, მათი ძირითადი ნაწილი იყიდება, ასე რომ, ყველას შეუძლია შინ უიმბლდონის ცოცხალი ნაწილით ხელდამშვენებული დაბრუნდეს.

**გია თვალაბეიშვილი**



ძველი ჩემპიონები